გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№183 (242) 14-21 აგვისტო 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

# უნიჭობისა და უყაირათობის დემონსტრაცია...

ჩემს მაგიდაზე დევს მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული, სქელტანიანი, საკმაოდ ძვირადღირებული წიგნი **"ახალი საქართველო"**, რომელშიც მე ფული არ გადამიხდია – ეს წიგნი საქართველოს მოსახლეობას უფასოდ დაურიგეს **"ნაციონალთა"** აქტივისტებმა, რაც, რატომღაც, ნაციონალებს ამომრჩევლების მოსყიდვად არ ეთვლებათ...

სხვა რომელი ამგვარი თავხედობა ჩათვლიათ?

წიგნში დემონსტრირებულია ის შენობა-ნაგებობები, რომელიც რვაწლიანი მმართველობის განმავლობაში ააგეს ნაციონალებმა, გაღატაკებულ და მოსახლეობისაგან დაცლილ საქართველოში. მართლაც თვალს წაგართმევს წიგნში ილუსტრირებული უახლესი, ლამაზ ფერებად შემინული შენობა-ნაგებობები და ძეგლები, პრეზიდენტის 600-მილიონიანი სასახლე, **"ოლვეის ულტრას"** მსგავსი ხიდები და სკვერები, დასასვენებელი სახლები, გმირთა მოედანზე დაყუდებული ფალოსის ძეგლი, **"შლოპანცები"**, კვერცხები, შადრევნები, **"ბენდუქიძის ოყნა"**, სასტუმრო **"ივერიასთან"** (ახლა რომ **"რედისონს"** უწოდებენ) უშნოდ ახორხლილი, ვეება, მისი ავტორივით თავბოლოგაუგებარი ველოსიპედი და გამწვანებული პარკები...

ავადმყოფი ხომ ავადმყოფური წარმოსახვის უნარით გამოირჩევა, ხოლო სააკაშვილი რომ პათოლოგი და ფსიქიურად დაავადებულია, ამის თაობაზე გაზეთი **"ილორი"** და მასმედიის სხვა საშუალებები ორიოდ კვირის წინ მოუთხრობდნენ მკითხველს, რაც არავის უარყვია ან გაუპროტესტებია!

არც ის არის ძნელად მისახვედრი, რომ ამ, უმეტესად უაზრო და უფუნქციო ნაგებობებში დიდი ფულია დახარჯული, მეტად დიდი ფული!..

ამასთან დაკავშირებით ერთი დიდი ხნის წინანდელი ამბავი გვინდა მოვუთხროთ მკითხველს: მაშინ, როცა ჟურნალ **"ნიანგის"** მთავარ რედაქტორად მუშაობდა ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძე, მისი მოადგილე გახლდათ შესანიშნავი ქართველი პოეტი და იუმორისტი ზაურ ბოლქვაძე, რომელთაც, გარდა სამსახურეობრივი მოვალეობისა, დიდი მეგობრობაც აკავშირებდათ ერთმანეთთან.

ერთხელ სულგანათლებული ზაური საკმაოდ შეზარხოშებული მოვიდა სამსახურში და სულგანათლებულმა ნოდარმა ნახევრად ხუმრობით უთხრა:

– ზაურ, კიდევ დალეული რომ მოხვიდე სამსახურში, იცოდე, გაგანთავისუფლებ!

– ლომი, ამდენი თუ შეგიძლია, საქართველო გაანთავისუფლე! – ასევე ნახევრად სერიოზულად უპასუხა ზაურმა, რაზედაც ნოდარმა სიცილი ვეღარ შეიკავა, ხელი ჩაიქნია და მისაღებიდან კაბინეტში შევიდა.

მეც იგივე სურვილი გამიჩნდა, მეკითხა ამ გამოცემის ორგანიზატორი ნაციონალებისათვის:

– თქვე დალოცვილებო, ამდენი საშუალება თუ გაგაჩნდათ, ამ სატრაბახო წიგნში ბიუჯეტის (რომელიც უბრალო მოქალაქეების ჯიბეებიდან ფორმირდება) კუთვნილი მილიონების გადაყრას, არ სჯობდა, ეს ფული სტიქიით (ასევე თქვენი გამყიდველური და წინასწარგანზრახული მავნებლური პოლიტიკის გატარების შედეგად) დაზარალებულთათვის მოგეხმარებინათ, განა უფრო არ მოიმადლიერებდით მათ?

ან, ამდენი უაზრო მშენებლობისათვის ფულის გადაყრას არ სჯობდა გასაწყლებულ-გაუბედურებული ხალხისათვის პენსიები და შემწეობები გაგეზარდათ?

მაგრამ, გარდა იმისა, რომ სომეხი სააკაშვილის და მისი სომხური ბანდის მიზანი ქართველი ხალხის ხელშეწყობა კი არა, მათი გაღარიბება და ქვეყნიდან ლუკმა-პურის საძიებლად გადახვეწაა, ამ მშენებლობებში მათ საბიუჯეტო თანხების მითვისების ბევრად მეტი საშუალება უჩნდებათ, რადგან პენსიებიდან და შემწეობებიდან მათ არავინ არაფერს დაუბრუნებს, ზემოდჩამოთვლილი უაზრო მშენებლობებიდან კი, გაგიხარიათ – მსუყე-მსუყე **"ატკატებს"** მიიღებენ!

მით უმეტეს, რომ, ყოველი სახის ტენდერებს, როგორც წესი, ამათი ფავორიტი ფირმები იგებენ!

მუდამ მშურდა დიდი რუსი მოგზაურის მიკლუხო-მაკლაის, რომელმაც ველური ტომების სიყვარული და ნდობა სარკის ნატვრევებითა და სხვადასხვა ჭრელა-ჭრულა ნივთებით მოიპოვა. ყოველივე ეს კი, მოგზაურსა და მკვლევარს საკმაოდ იაფი უჯდებოდა.

სააკაშვილმა და ნაცებმა კარგად იციან, რომ მათ მიერ დროებით გაბითურებული საქართველოს მოსახლეობის სიყვარულისა და ნდობის მოპოვება ასეთი იაფი ნივთებით არ შეიძლება, ამიტომ ჩართეს საქმეში ათასლარიანი ვაუჩერები, საპენსიო პროგრამები და სოციალური გარანტიები (უკვე მერამდენედ) და ბიუჯეტის ხარჯზე გამოცემული ზემოდნახსენები არაფრისმთქმელი წიგნი, რომელიც იაფფასიანი პროპაგანდისტული ტრიუკი უფროა, ვიდრე ვიდრე ხალხის ინტელექტუალურ მოთხოვნაზე ზრუნვა!

საინტერესოა, რამდენი ხანი შეიძლება ხალხის გატუტუცება? ალბათ ზუსტად იმდენი ხანი, რამდენ ხანსაც ჩვენ თავად გავიტუტუცებთ თავს და დავუჯერებთ ნაციონალთა როყიო დაპირებას, თუდაც ისეთს, როგორიცაა 37 ევროდ ევროპის ქვეყნებში მოგზაურობა, ბათუმის, შატილის, სვანეთისა და კახეთის მსოფლიო დონის კურორტებად ქცევა, სამომავლო უზრუნველი ცხოვრება და სხვა მრავალი.

მათი განცხადებებით გამოდის, რომ სააკაშვილი და ნაციონალები დიდად გამოირჩევიან გაღატაკებულ (მათ მიერვე) ქართველ ხალხზე განუხრელი ზრუნვით და ყოველთვის **"ცდილობენ ბიუჯეტის თითოეული კაპიკი ადამიანებს მოახმარონ"!**

მათი ამგვარი ზრუნვა უამრავ მოვლენაში გამოსჭვივის. მაშინ, როცა კახეთი და სამცხე-ჯავახეთი მიწასთან გაასწორა სტიქიამ და მოსახლეობას ლამის აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა, ივანიშვილმა 80 მილიონი ლარი გადაურიცხა ბიუჯეტს, რათა ხელისუფლებას იგი დაზარალებული ხალხისათვის მოეხმარა.

ნაციონალებმა კი რა გააკეთეს?

უპირველესად ის განაცხადეს, რომ ივანიშვილმა გადახდილი 80 მილიონი ლარით მასზე დაკისრებული ჯარიმის თანხა დაფარა, ახლა ეს ფული ქველმოქმედება კი არა, ბიუჯეტის ფულია და როგორც გვინდა ისე განვკარგავთო!

უფრო აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ, ჯერჯერობით, სტიქიისაგან დაზარალებულ მოსახლეობაზე კაპიკი არ გაცემულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დანიშნულებით ივანიშვილმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუყოვნებლივ გადარიცხა 80 მილიონი ლარი, საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ადგილობრივ გამგეობათა ხელმძღვანელებს **"ნაცებმა"** პრემიების სახით დაურიგეს 6 ათასი ლარი, მათ მოადგილეებს კი 3.000 ლარი!

ესეც შენი **"ნაციონალური"** ზრუნვა მოსახლეობაზე!

ბიძინა ივანიშვილმა, ამავე დროს, განაცხადა, რომ ბევრად მეტ თანხას გადარიცხავდა კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, მაგრამ მისი ეს კეთილშობილური ნაბიჯი შეიძლება მოსახლეობის წინასაარჩევნოდ მოსყიდვად შეაფასონ სააკაშვილმა და მისმა დამქაშმა იმ **"ნაცებმა"**, რომელთაც საბოლოოდ ჩაკლეს ქველმოქმედება საქართველოში, ფონდ **"ქომაგისა"** თუ სხვა საქველმოქმედო კომპანიებისა თუ კერძო პირების საბანკო ანგარიშების დაყადაღებით!

ალბათ მშვიდად არც კი შეიძლება ამგვარი ცინიზმისა და ხალხისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების კომენტირება! მით უმეტეს, როცა იმ ამბავსაც შეიტყობს ადამიანი, რომ **"ნაციონალი"** თანამდებობის პირები კვლავაც აგრძელებენ ძვირადღირებული პერსონალური ავტომანქანების შეძენას, რადგან, როგორც ერთმა ამგვარმა გადაგვარებულმა ფუნქციონერმა განაცხადა, თურმე: **"შეიძლება ზაპოროჟეცითაც იაროს პასუხისმგებელმა პირმა, მაგრამ ძვირადღირებული მანქანით როცა დადიხარ მოვალეობის შესასრულებლად, მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და უფრო პროდუქტიულიც ვარ"**-ო.

ვერაფერს იტყვი, მართლაც **"ნაციონალური რკინის ლოგიკაა"**, მერე რა, რომ სიხარბითა და უზნეო ამბიციითაა გაჟღენთილი!

მეტი საქმე არ მაქვს, ჩვენი აშენებული ქვეყანა თქვენ გადმოგაბაროთ და დაგანგრევინოთო, – ამის შესახებ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ზემო აჭარაში, ბეშუმობის დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას, **"წარსულის პოლიტიკოსებზე"** საუბრისას განაცხადა.

სააკაშვილისავე სიტყვებით, ყოველთვის არსებობენ წარსულის პოლიტიკოსები, რომლებიც აცხადებენ, რომ ძველი დრო სჯობდა.

**"ახლა, ვინც წარსულიდან თავისი "მუმიფიცირებული ხელებით" ეპოტინება ჩვენს ახალ აღმშენებლობას, ვინც ურცხვად აცხადებს, რომ თურმე ძველი დრო უკეთესი ყოფილა, ვინც ტელევიზიით ყვება, რომ თურმე ახალი კურორტები მთის დამახინჯებაა, თურმე ახალი გზები ეს არის თქვენი ავთენტურობის შეურაცხყოფა, ის ხალხი, ვინც იძახის, რომ ჩვენ უნდა დავაბრუნოთ კორუმპირებული მოხელეები, ის ხალხი, ვინც იძახის, რომ ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ძველებური ცხოვრების წესი, ის ვინც გვეუბნება, რომ უნდა დავბრუნდეთ ძველი იმპერიული კონტროლის ქვეშ, რადგან იქ უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ჩვენ მათ გვინდა ვუთხრათ – უკან წასასვლელი არსად აღარა გვაქვს",** – განაცხადა პრეზიდენტმა.

უკან დასახევი გზა მართლაც არა აქვთ, რადგან უკან ხანგრძლივი, შეიძლება სამუდამო პატიმრობაც კი იყოს ჩასაფრებული, წლების განმავლობაში ჩადენილი დარბევების, ხალხის დაწიოკების, მკვლელობებისა და უამრავი სახელმწიფო დანაშაულისათვის!

უფრო თავხედურს ვერაფერს მოისმენს ადამიანი, რადგან ამ სიტყვებში გამოსჭვივის დიქტატურას მოწყურებული, ხელისუფლებას მანიაკალურად ჩაბღაუჭებული ადამიანის სურვილი, რომელიც იმუქრება, რომ სისხლის ფასადაც კი არ დაუთმობს ძალაუფლებას სამართლიანი არჩევნების გზით გამარჯვებულ ოპოზიციურ ძალას. იმედია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები სააკაშვილის ამ მუქარას, რაც შეიძლება მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლადაც კი იქცეს, გადაუგზავნიან იმ ქვეყნების მეთაურებს (განსაკუთრებით – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაქ ობამას და სახელმწიფო მდივანს ქალბატონ ჰილარი კლინტონს), რომელთაც ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ პირსისხლიანი მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიულობითა და ტოლერანტობით გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეა!

ისეთი ბაქიბუქით ახსენებს სააკაშვილი **"მისი ინიციატივით ჩატარებულ მშენებლობებს",** თითქოს ჩვენი ჯიბეებიდან შევსებული ბიუჯეტის სახსრებით კი არა, საკუთარ სომეხ მამა-პაპათა (სედრაკ სააკიანცებისა და გარეგინ გარეკილების...) მიერ დანატოვარი ფულით აკეთებდა ყოველივე ამას. იმის თქმა კი ავიწყდება, რომ სწორედ ივანიშვილის **"მუმიფიცირებული ხელებით"** ნაბოძები საქველმოქმედო თანხებით აშენდა საქართველოში ბევრი რამ, თუნდაც სამების ტაძარი, სამხედრო ყაზარმები, დასასვენებელი სახლები და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებები, შეძენილი იქნა ავტომანქანები პატრულისათვის, საწვავი ამ მანქანებისათვის. სწორედ ივანიშვილის ფული რომ შემოაკლდათ, რადგან თავადვე მოუსპეს ამ ადამიანს ქველმოქმედების გაწევის საშუალება, დღეს ისე აქტიურად ვეღარ მოძრაობენ პოლიციელები და აქა-იქა თუ ნახავ პატრულის მანქანებს!




ძალაუფლებას დახარბებული სააკაშვილისა და საქართველოს ხელისუფლებაში თბილად მოკალათებული ასზე მეტი ეთნიკური სომეხისათვის, რომლებიც ქართულ გვარებს არიან ამოფარებულები ალბათ ძნელი შესაგნებია, რომ, ის, რაც კარგია მდიდარი სახელმწიფოსათვის, სრულიად უადგილოა ისეთი გაღარიბებული და გაუბედურებული ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომ საქართველოს მოსახლეობის მეტი წილი, წლების განმავლობაში, უცხოეთშია გადახვეწილი ლუკმა-პურის საძებრად, უვლის სხვათა ბავშვებსა და დაუძლურებულ მოხუცებს, სხვებს ურეცხავს საცვლებს, მაშინ, როცა საკუთარი ბავშვები და მოხუცები უპატრონოდ და მოუვლელად ჰყავს მიყრილი.

სააკაშვილის თქმით, ქართველი ხალხის მოტყუება ძალიან ძნელია.

**ვეთანხმებით, მაგრამ ალბათ თავად იგრძნო, რომ უკვე ვეღარ შესძლებს მის მიერ მრავალგზის გაცუცურაკებული ხალხის კიდევ ერთხელ მოტყუებას!**

როცა ქართველი ერი შეიგნებს, რომ ბიუჯეტის თანხა არის მისი და არა სახელისუფლებო ვირთხების საკუთრება, მაშინ სააკაშვილის თუ უგულავას ხელისუფლება ვერ გაბედავს ბიუჯეტში თვითნებურად ხელის ფათურს, თავიანთი კომერციული საცეცების მეშვეობით ვეღარ გაბედავენ 1000-ლარიანი კიპარისის ნერგების შეძენას, მომღერლების ჩამოსაყვანად მილიონების ხარჯვას და ბიუჯეტში გამოყოფილი სარეზერვო თანხების მოხმარებას ვიღაც უნიჭო შოუმენების მოწვევაზე, მაშინ, როცა სტიქიით დაზარალებული კახეთის და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა ელემენტარული სახსრების გარეშეა დარჩენილი!

რაც შეეხება ქართული **"ნაციონალური ღირებულებების"** დემონსტრაციას, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული წიგნი საქართველოს ყველა ოჯახს უფასოდ დაურიგდება, მისი ტირაჟი (რომელიც წიგნში სავალდებულოა მიეთითოს, მაგრამ ნაცგამომცემლებს რატომღაც **"დაავიწყდათ"**) ორასი ათასზე მეტი მაინც უნდა იყოს. წიგნის საკმაოდ მაღალი პოლიგრაფიული და საგამოცემო დონის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ამ პროექტში რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა. და ეს მაშინ, როცა მალე ზამთარი დადგება, კახეთის ბევრი მოსახლე საცხოვრებლის გარეშეა დარჩენილი და კაპიკების მოლოდინში ლამის ხელგაწვდილი დგას, განადგურებულ მოსავალსა და საბანკო კრედიტების დაფარვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რამაც შეიძლება საერთოდ სახლ-კარისა და ბაღ-ვენახების გარეშე დატოვოს სტიქიისაგან დაზარალებულები!

მოკლედ, ძვირადღირებული წიგნი გამოიცა და საქართველოს მოსახლეობას შეუძლია დატკბეს ნაციონალთა რვაწლიანი აღმშენებლობითი წიაღსვლებით, რომლის პოლიტიკურ შლეიფად რჩება ტოტალური სიღარიბე, უმუშევრობა, უიმედობა, უზნეობა, ამორალურობა...

სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვისათვის მთავარი წინასაარჩევნო ქულების დაგროვებაა, საქართველოს მოსახლეობა კი თუნდაც წყალს წაუღია, რადგან! სომეხი რეაქციონერი დაშნაკებისათვის საქართველოს მოსახლეობაზე ზრუნვა მუდამ უცხო ხილი იქნება.

მაგრამ მაინც მადლობა მინდა განვუცხადო ამ შინაარსობრივად არაფრისმთქმელი წიგნის გამომცემელ ნაციონალებს, რადგან მოახლოებულ ზამთარში ღუმელში რომ შევუძახებ, ნახევარი საათით მაინც გავითბობ სიცივით გათოშილ ძვლებს!

როგორც ამბობენ, ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც საქმეა!

# ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

## აფხაზეთისა და აფხაზების სიყვარული ნაციონალურად...

ვერა და ვერ ისვენებენ ინტერნეტის სახელისუფლებო მხარდამჭერი-მომხმარებლები, რომლებიც ნებისმიერ საშუალებას არ უშვებენ ხელიდან, რომ შხამი და ბოღმა არ შეაფრქვიონ ოპოზიციას და ქებით ლამის ცაში აიყვანონ საქართველოს დამაქცევარი ხელისუფლება. სწორედ საქართველოს ხელისუფლება რომ ებრძვის ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, ამაში მრავალი მათი საძრახისი საქმე გვარწმუნებს, თუნდაც ის, თუ როგორ ებრძვიან ნაცები და მათი ნეტარღიმილიანი ბელადი სააკაშვილი ქართველებს აფხაზებსა და ოსებს შორის დიალოგის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას და სახალხო დიპლომატიის განვითარებას. ამიტომ, სახელისუფლებო ტელეარხები და ინტერნეტგამოცემები ხშირად ლანძღავენ უშვერი სიტყვებით მოძმე აფხაზებსა და ოსებს და, რაც მთავარია, ამას აკეთებენ ისეთი ნიშნისმოგებით, თითქოს ისტორიულ მტრებთან ჰქონდეთ საქმე და არა მოძმე ერებთან, რომლებიც ნაციონალ მანქურთთა მსგავსი ბოროტი ძალების ნებით ჩამოცილდნენ დედა-სამშობლოს! ძალიან ხშირად გვაუწყებენ ისინი, თუ როგორი ბედნიერები ვართ ქართველები და როგორი უბედურები არიან **"რუსების გადამკიდე აფხაზები და ოსები"**, მაშინ, როცა ყველაფერი პირიქითაა!

აი, ერთ-ერთი ასეთი ინფორმაცია:

**"აფხაზები ტურისტების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩივიან. დამსვენებლებს, ძირითადად, ძველი, "ვისაც ახსოვს" კატეგორიის ადამიანები წარმოადგენენ. კურორტის ძლიერ მხარედ მიიჩნევა ამინდი, ვინაიდან აფხაზეთი გაცილებით ნაკლებად ნალექიანია, ვიდრე საქართველოს სხვა საზღვაო კურორტები. რაც შეეხება სერვისს, ის ძალიან დაბალი დონისაა – არ არის ინტერნეტი (თუ არის, მხოლოდ ცუდი ხარისხის), მომსახურე პერსონალი ვერ ფლობს უცხო ენას, ანაზღაურება დაბალია, შეუძლებელია ბანკომატით სარგებლობა.**

**"დამსვენებლები ასევე უკმაყოფილონი არიან ადგილობრივი "ჯიგიტებით", რომლებსაც, როგორც აღნიშნეს, აღიზიანებთ ქალაქში საცურაო კოსტიუმებით მოსიარულე ტურისტები. ასევე, აღსანიშნავია, რომ ტურისტები უჩივიან კრიმინალის მაღალ დონეს"** – წერს ინტერნეტგამოცემა **"მარკეტერი"**.

საინტერესოა ამ საიტზე მკითხველთა მიერ გაგზავნილი კომენტარები:

**სანდრო**

***"აქ კი წერთ კრიმინალი და ტურისტების ნაკლებობააო, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ვინც იყო ჩასული აფხაზეთში, ყველა აღნიშნავს რომ ძალიან ბევრი დამსვენებელია და ყველაფერი ბევრად უკეთესადაა, ვიდრე ჩვენ გვეუბნებიან".***

**ნანუ**

***"თქვე უბედურო დაბოღმილებო, არ შეიძლება აფხაზებისადმი ასეთი მძულვარე დამოკიდებულება. უკვე დაიღვარა საკმარისი სისხლი! კმარა ამდენი ძალადობა. ასეთი ირონიითა და სარკაზმით კი კონფლიქტს არასოდეს არ მოეღება ბოლო. შემწყნარებლები უნდა ვიყოთ, თუ გვსურს, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთთან მისასვლელი გზები მოვძებნოთ!"***

უამრავია ამგვარი გამოხმაურება და ყველას კომენტირებას ვერ შევძლებთ.

ნუთუ ამის შემდეგ ვინმე დაიჯერებს, რომ საქართველოს არაქართულ ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს ერთნაირად თბილი დამოკიდებულება გააჩნია აფხაზებისა და ოსებისადმი? მაგრამ სააკაშვილი და მისი ავადსახსენებელი პოლიტიკური შლეიფი მალე გადაინაცვლებს მოუსავლეთში და ავ მოგონებად შერჩება ჩვენს მეხსიერებას, ქართველები, აფხაზები და ოსები კი კვლავ ძმებად დავრჩებით!



## იტალიელი ექიმები დაეხმარებიან აფხაზ ყმაწვილს ესლამ ბასარიას ლეიკემიისაგან განკურნებაში



გუდაუთელი ყმაწვილი ესლამ ლადარია, რომელიც ლეიკემიის მძიმე ფორმითაა დაავადებული, მკურნალობის კურსს იტალიაში გადის. მას ამზადებენ ძვლის ტვინის გადასანერგად, რომელიც აგვისტოში ჩატარდება. ეს შესაძლებელი გახდა აფხაზეთისა და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროების საქმიანი ურთიერთობების გაღრმავების შედეგად.

იტალიური კლინიკა ოპერაციას უფასოდ ჩაატარებს – მხოლოდ გადასანერგი ძვლის ტვინის თანხა იქნება გადასახდელი, რაც უდავოდ დიდი ხელშეწყობაა პაციენტისათვის. რაც შეეხება გადასანერგი ორგანოს შესაძენ თანხას, იგი ავადმყოფს საქველმოქმედო ფონდმა **"აშანამ"** შეუგროვა. და ეს მაშინ, როცა საქართველოს მენტალურად და ეთნიკურად არაქართულმა ხელისუფლებამ არჩევნების წაგების შიშით კატეგორიულად აკრძალა ყოველი სახის ქველმოქმედება, რითაც სასიკვდილოდ გასწირა ის უამრავი მძიმე ავადმყოფი, რომლის ოჯახსაც არ გააჩნია მკურნალობისათვის საჭირო თანხები. მთელ ამ პროცესს კი ორგანიზებას უწევს აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში მაურო მურჯია. 18 წლის ესლამ ლადარია უკვე სამი წელია ებრძვის ამ მძიმე სენს. მას მკურნალობდნენ აფხაზეთსა და რუსეთში, მაგრამ დაავადება უკან არ იხევდა. დღეს იგი უკვე იტალიაშია. იტალიის ქალაქ პეიზაროს ექიმები გარანტიას აძლევენ ესლამ ბასარიას, რომ მას სამუდამოდ განკურნავენ ამ ავი სენისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ურთულესი ოპერაცია აგვისტოს თვეში ჩატარდება.

200 ათას ევროდ ღირებულ ოპერაციის ხარჯებს მთლიანად თავის თავზე იღებს საავადმყოფო, რაც განსაკუთრებული შემთხვევაა ამ სფეროში. დიპლომატების მაურიო მურჯიას და ტატიანა მიხაილოვას ძალისხმევით შესაძლებელი შეიქნა დიპლომატიური ბარიერების გადალახვა და პრეცენდენტის შექმნა: აფხაზი ყმაწვილი იტალიაში სრულიად უფასოდ იმკურნალებს. მაურო მურჯიას თქმით ეს ფაქტი ძალიან შეუწყობს ხელს მომავალში ამ ორი სახელმწიფოს დაახლოებას.

**"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იტალია მალე აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. და თუ ეს ასე არ იქნება, ის მაინც მოხერხდება, რომ შესაძლებელი გახდება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გარკვეულ დონეზე შენარჩუნება, გამოცდილების გაზიარებისა და სხვა სასარგებლო პროცესების განხორციელებისათვის"** – ამბობს ბატონი მარიო მურჯია.

დონორის ძვლის ტვინის ხარჯი პაციენტს უნდა გაეწია, რისთვისაც მილიონი რუბლის შეგროვების ფუნქცია თავის თავზე აიღო საქველმოქმედო ფონდმა **"აშანა"**. ფონდის დირექტორმა ქალბატონმა ჯივეირა კოლოსოვამ აღნიშნა, რომ ეს ურთულესი ამოცანა გახლდათ, რადგან დრო არ ითმენდა – პაციენტის მდგომარეობა ყოველ წუთს შეიძლებოდა საბედისწეროდ გართულებულიყო. პრობლემას ისიც წარმოადგენდა, რომ ფონდს არ გააჩნდა ასეთი სოლიდური თანხის შეგროვების გამოცდილება.

**"ეს გახლდათ ჩვენი პირველი გამოცდა. აფხაზეთში ჩვენ არასდროს შეგვიგროვებია მილიონი რუბლი. ამ შემთხვევაში ჩვენ ვმოქმედებდით დამოუკიდებლად, რუსფონდის მხარდაჭერის გარეშე. დროც ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა, ამიტომ, სიმართლე გითხრათ, ვშიშობდი, რომ მიზანს ვერ მივაღწევდით. ვჩქარობდით, რადგან ფულადი სახსრების ჩვენს ანგარიშზე გადმორიცხვასაც საკმაო დრო სჭირდებოდა და მოგროვებული ფულის იტალიაში გადარიცხვასაც"**, – მოგვითხრობს ქალბატონი ჯევეირა კოლოსოვა.

ახლა ესლამი ოპერაციისათვის ემზადება და მან მშვიდად და ვაჟკაცურად გადაიტანა ურთულესი თერაპიული კურსი. მაურო მურჯიას ცნობით ყმაწვილი საავადმყოფოში უაღრესად მძიმე მდგომარეობაში შევიდა, ახლა კი მას ლეიკემიის ნიშნები სრულიად გაუქრა. ექიმები მტკიცე პირობას იძლევიან, რომ ეს დაავადება არასოდეს დაბრუნდება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ძალზე სერიოზული გამოცდა: ოპერაცია და ჯანმრთელობის აღდგენის პერიოდი.

**"ჩვენი ბედი ახლა ექიმ ვიზანისა და ღმერთის ხელშია"**, – ამბობს მაურო მურჯია. როგორც საქველმოქმედო ფონდ **"აშანას"** დირექტორი ჯევეირა კოლოსოვა მოგვითხრობს, შეგროვებული თანხის 60 პროცენტი აფხაზეთის რიგითმა მოქალაქეებმა გაიღეს. რუსეთიდან კი ფონდს დახმარების ხელი გაუწიეს მსხვილმა წარმოება-დაწესებულებებმა. იმდენად, რამდენადაც საჭირო სახსრები ჯერ კიდევ არ არის მოგროვებული, ფონდი მოუწოდებს აფხაზეთის წარმოებებს, რომ ყმაწვილს გაუწოდონ დახმარების ხელი. დახმარება სჭირდება ესლამის მშობლებსაც, რომლებიც დღეს გარკვეული მიზეზების გამო უმუშევრები არიან, და რაც მთავარია, დიდი ხელშეწყობა სჭირდება მკურნალობის შემდეგ თავად ესლამსაც.

სასურველია, რომ აფხაზ ყმაწვილს, ასევე, დახმარების ხელი გაუწოდონ საქართველოს მოქალაქეებმა და წარმოება-დაწესებულებებმაც, რისი სურვილის გამჟღავნების შემთხვევაშიც ჩვენ დავადგენთ შესაბამის რეკვიზიტებს.

**მარიანა კოტოვა**

**რედაქციისაგან** – სახალხო მოძრაობა **"სამეგრელო"** და გაზეთი **"ილორი"** თანადგომას უცხადებენ ესლამ ლადარიას, უსურვებენ მას საბოლოოდ გამოჯანმრთელებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

## ახალი სასაზღვრო პუნქტები ენგურზე

საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე დამატებით ახალი გადასასვლელები გაკეთდება. აფხაზეთის ლიდერი ბატონი ალექსანდრე ანქვაბი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის **(ФСБ)** აფხაზეთის სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის უფროსს შეხვდა. სააგენტო **„აფსნიპრესის"** ინფორმაციით, მათ საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე არსებული მდგომარეობა განიხილეს.

ბატონ ალექსანდრე ანქვაბის თქმით, მოქალაქეების უფრო უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საზღვარზე ახალი გადასასვლელების გაკეთება იგეგმება, რაც, ძირითადად, გალის რაიონის მოსახლეობაზე იქნება გათვლილი. მართლაც დროული და აუცილებელი ღონისძიებაა.

**თბილისი, საქინფორმი.**



## აფხაზეთში რელიგიური გაერთიანებების შესახებ კანონპროექტს განიხილავენ

როგორც აფხაზეთის საინფორმაციო სააგენტო **„აფსნიპრესი"** იტყობინება, აფხაზეთის პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი **„სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ"**, რომელიც ძალაში შესვლის შემდეგ საშუალებას მისცემს რელიგიურ ჯგუფებს, განსაკუთრებული იურიდიული სტატუსითა და საკუთრების უფლებით ისარგებლონ.

თუმცა, კანონპროექტი მეორე მოსმენით პრეამბულის გარეშე იქნა მიღებული, ვინაიდან აფხაზი დეპუტატები მის ფორმულირებაზე ვერ შეთანხმდნენ.

**„აფსნიპრესის"** ინფორმაციით, კანონპროექტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ აფხაზეთი საერო სახელმწიფოა, რომელიც პატივს სცემს მსოფლიოს ყველა რელიგიას: ქრისტიანობას, ისლამს, იუდაიზმს და სხვა რელიგიებს, ასევე, ტრადიციულ აფხაზურ სარწმუნოებას, რომელიც მსოფლიოს ხალხებისა და აფხაზი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

დეპუტატი საიდ ხარაზია პრეამბულაში ახალი ფორმულირების დამატების წინადადებით გამოვიდა, რომელშიც აფხაზეთის ისტორიაში მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის განსაკუთრებულ როლს გაესმებოდა ხაზი. თუმცა, განათლების, კულტურისა და რელიგიის საპარლამენტო კომიტეტმა, რომელიც კანონპროექტის ინიციატორია, ამ წინადადებას მხარი არ დაუჭირა.

**„აფსნიპრესის"** ცნობით, საბოლოოდ, დეპუტატები შეთანხმდნენ, პრეამბულის გარეშე მიეღოთ კანონპროექტი მეორე მოსმენით და მესამე და საბოლოო მოსმენამდე მის ფორმულირებაზე განხილვები განეგრძოთ.

**საქინფორმი**



# ელიავას ბაზრობის უთქმელი სატკივარი



მაშინ, როცა კახეთს და რამდენიმე რეგიონს სტიქიამ გადაურა და ქვეყანა მილიონობით ლარით დააზარალა, მთავრობა ლამის სრული შემადგენლობით კახეთში იყო და ერთი რაიონიდან მეორეში გადაადგილდებოდა, დაზარალებული მოსახლეობის პრობლემებს უკეთ ეცნობოდნენ... იმ დღეებში, ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა გაავრცელა ინფორმაცია, სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლებისთვის გადასახურავი მასალის დიდი ნაწილი ბაზრობიდან ფულის გადაუხდელად წაიღესო. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ინფორმაციას საზოგადოების ერთი ნაწილის ირონიული შეფასებები მოჰყვა, თუმცა სხვას ამბობდნენ ის ინდმეწარმეები, ვისაც ელიავას ბაზრობაზე მაღაზიები აქვთ გახსნილი და სამშენებლო მასალებს ჰყიდიან.

გადავწყვიტეთ, წავსულიყავით, რათა ადგილზე გაგვერკვია, სინამდვილეში რა მოხდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ გულს ადვილად არ გადაგვიშლიდნენ. **"ჟურნალისტის"** გაგონებაზე, ინდმეწარმეებსა და გამყიდველებს აგრესია შეეტყოთ, თუმცა, ოპოზიციური მედიის ხსენებაზე მათი დამოკიდებულება შეიცვალა. და მაინც, მოთხოვნა ანონიმურობაზე, უცვლელი დარჩა, – **"შენ სახლში წახვალ, შვილო და შენი საქმის გაკეთებას შეუდგები, მე კი ხვალ აქ ველარ უნდა მოვიდე. ჩემისთანები დაუტოვებიათ მშრალზე?"** – გვეკითხება ჟურნალისტების ინტერესით გაღიზიანებული შუახნის მამაკაცი და სამშენებლო მასალების მაღაზიის კარს ცხვირწინ გვიხურავს.

გაცილებით თამამი და გახსნილია მეორე, მისივე ასაკის მამაკაცი, **ჟუმბერ ვერძიშვილი**:

– 60 წელს მიღწეული კაცი ვარ. 15 წელზე მეტია აქ ვმუშაობ და ბოლო დროს რაც ხდება, მსგავსი არ მახსოვს. მარტო კახეთის სტიქიის დროს კი არა, მანამდეც ბევრჯერ წაუღიათ უფასოდ, არც გვეუბნებოდნენ, სად მიჰქონდათ. გვეტყვიან, ვინც არიან და საიდანაც, ფულს რამდენიმე დღეში გადმოგირიცხავთო და მერე ვიღას ახსოვს... ეგ არ გამაღარიბებს და ყველაფერი ალალი იყოს მაგ დაზარალებულ ხალხზე, მეც კახელი ვარ, მაგრამ ჩვენი სახელი მაინც ახსენონ, თვითონ რომ იწერენ ქულებს.

**– რას გეუბნებიან, საიდან ვართო?**

– ხელისუფლებიდან, პირველად კი არ წაუღიათ ასე **"ნისიად"**. ყოველ სტიქიურ უბედურებას მოსახლეობასთან ერთად ჩვენც შიშით ველოდებით, მაგრამ...

დაახლოებით მსგავს ამბავს გვიყვება 50 წლის ქალბატონი, მაგრამ ვინაობას არ გვიმხელს. თანდათან ჩვენს გარშემო პატარა წრე იკვრება და მადაზე მოსული გამყიდველები და ინდმეწარმეები ერთმანეთის მსგავს ამბებს გვიყვებიან, – 200 ცალი აგური წაიღეს, სახურავიც... საშენი მასალები და პლასტიკატი ჩატვირთეს მანქანაში... ფულს რამდენიმე დღეში გადმოგირიცხავთო... ხან ერთი და იგივე ადამიანები მოდიან, ხანაც – სხვები. ძირითადი სამიზნე შედარებით დიდი მოცულობის მაღაზიებია. ბოლო **"სტუმრობისას"** გერმანიიდან, სულ რამდენიმე დღის წინ შეკვეთით ჩამოტანილი ძვირიანი კრამიტი, მთლიანი ყუთებით ჩატვირთეს და წაიღეს, – ერთმანეთს უნდა დავეხმაროთო.

**– რამდენი ყუთი წაიღეს?** – ვეკითხები შეწუხებულ ქალს.

– საკმაოდ. მის გარდა სხვა რაღაცებიც წაიღეს, მაგრამ... – წინადადებას არ ამთავრებს, ვერ რისკავს, მის გვერდით გოგო უგულავას ახლობელს აქვს მაღაზია და ეშინია, მისი სიტყვები ხვალ და ზეგ წინ არ დახვდეს. – ორი სტუდენტი მყავს სახლში, – ამბობს დაბნეული.

**– რატომ არ იჩივლეთ? რაღაც ფორმით მაინც გაგეპროტესტებინათ,** – ვეკითხებით, ცოტა არ იყოს, გაბრაზებული.

– რა ფორმით? – კითხვას მიბრუნებენ ისინი.

– ვისი რა საქმეა, მე ვის რას მივცემ, ჩემია და მინდა, ვჩუქებ. თქვენ ჟურნალისტები ინტრიგანები ხართ. ერთია ფულის შოვნა და მეორეა ადამიანობა. რასაც გასცემ შენიაო, არ წაგიკითხავთ? – უკმაყოფილო ტონით ხმამაღლა მოგვმართავს წითური კაცი.

– რომელი ადამიანობა, ნოდარა, რომელი? – ეკითხებიან ჩვენი თანამოსაუბრეები.

– რა გინდათ, ხალხო, რუსის უფროსობა მოგენატრათ? კი ვიცი, რომ გენატრებათ. აქ ბევრი სულს გაყიდის, ოღონდ ისევ საბჭოთა კავშირი დაბრუნდეს,– ირონიული ღიმილით ამბობს ნოდარა...

– აბა, ამერიკელი ჯობია? – ირონიულად პასუხობს დაბალი ქალი.

– ოქტომბრამდე როგორმე გავუძლებთ, – ლამის ერთხმად გვპასუხობენ და თავიანთ მაღაზიებს უბრუნდებიან.

– მთელი ცხოვრება მოითმინეთ, ხალხო, მთელი! – ყვირის თავის **"ტაჩკაზე"** სულის მოსათქმელად ჩამომჯდარი **"მეტაჩკე"**, – ვიცით, რომ საქართველო მიშასია, ვანოსი და გიგისი.

**"პოლიტიკური დებატები"** დასრულდა. სიცხით გათანგულს გაგვიმართლა და 122 ნომერი ყვითელი სამარშრუტო ტაქსი გავაჩერეთ. თავში **"ქართული ოცნების"** რამდენიმე ლიდერის სიტყვები მიტრიალებდა, – მოსახლეობაში შიში დათრგუნულია!.. ნამდვილად არ არის, ბატონებო, ასე...

# რეკრუტირებული დემაგოგია თუ წახალისებული იდიოტიზმი

**„ქართული ოცნების“** პოლიტიკური გააქტიურების პარალელურად საზოგადოების დიდმა ნაწილმა გამოღვიძება დაიწყო, რაც ხელისუფლებას არასასიამოვნო მომავალს უქადის. ამიტომ, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ თავიანთი ძირმომპალი რეჟიმის გადარჩენას დემაგოგიური და პოპულისტური დაპირებებით შეძლებდნენ და ამ სიტუაციაში მთავარი როლის შესრულება ვანო მერაბიშვილს მიანდეს.

თავიდან მერაბიშვილის დანიშვნამ პრემიერ-მინისტრის პოსტზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა და დაბნეულობა გამოიწვია, რადგან ამას არავინ მოელოდა. მართალია განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, ვინაიდან მერაბიშვილი ისედაც მთავრობის **„არაღიარებული“** პრემიერ-მინისტრი იყო, რომელიც გილაურის ბუტაფორიულ ფიგურას შირმად იყენებდა და რეალურად მთავრობას თვითონ მართავდა. ახალ პოსტზე დანიშვნით კი მისი ძალაუფლება დე-იურედ გაფორმდა, მაგრამ ამ უბრალო პოლიტიკური სვლის უკან აშკარაა, რომ არა **„დაფარულის გაცხადების“** სურვილი, არამედ სააკაშვილის **„შიში“** იმალება, რაც გამოწვეულია უნდობლობით ერთერთი ყველაზე გავლენიანი მინისტრისადმი, რომელსაც ძალოვნები ექვემდებარებოდა. ასევე, რაც ყველაზე მთავარია მერაბიშვილისადმი სიმპატიით არის განწყობილი სააკაშვილის მთავარი მოწინააღმდეგე ბიძინა ივანიშვილიც. ამიტომ გადამწყვეტ მომენტში ღალატის შიში დაედო საფუძვლად მორიგ სამთავრობო კარუსელს. ამ ნაბიჯით კი უბრალოდ კეისარმა პოტენციური ბრუტუსი მოიშორა და პოლიტიკაში ყველაზე მძიმე ტვირთი – არჩევნებში მმართველი ძალის გამარჯვებაზე პასუხისმგებლობა აჰკიდა.

უკვე ყველასთვის ცხადია, რომ მთავარი პოლიტიკური მეტოქეები ნაციონალური მოძრაობა და **„ქართული ოცნება“** წინასაარჩევნოდ ერთმანეთს მემარცხენე შინაარსის დაპირებებით უპირისპირდებიან და ამ გზით საზოგადოების გულის მოგებას ცდილობენ. თუმცა, მერაბიშვილის და მთელი ნაც-ელიტის მიერ გაჟღერებული ბევრი იდეა და მოსახლეობისთვის მიცემული დაპირება ბიძინა ივანიშვილის და კოალიცია **„ქართული ოცნების“** პროგრამიდან არის გადმოკოპირებული. ეს კი ერთ რამეზე მეტყველებს: ხელისუფლება პრაგმატული იდეების კრიზისს განიცდის, რის გამოც პლაგიატს მიმართა და მისი მთავარი ოპონენტის იდეები მოიპარა!

თუმცა ახლად გაპრემიერებული მერაბიშვილი ამას კატეგორიულად უარყოფს: **„ვაპირებ, ვუპასუხო იმ ბრალდებას, რომ თითქოს „ქართული ოცნების“ პროგრამა გადავაკოპირე ... ჩემთვის მთავარია, რას ფიქრობს ქართველი ხალხი. ჩვენი პროგრამა არის შედგენილი ჩვენს მიერ, კონკრეტულ მონაცემებზე, ციფრებზე დაყრდნობით. მე მგონი, არავის არ გაჩენია შეკითხვა იმ თანხებზე, იმ დაპირებებზე, რომელიც ჩვენ გავეცით. ეს დაპირებები არის რეალისტური. სიმართლე გითხრათ, მე არც შემიდარებია ეს პროგრამა სხვა პოლიტიკური პარტიების პროგრამისთვის. მე ვფიქრობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რა წერია პროგრამაში და არა ის, რომელ პროგრამას ჰგავს ის. მთავარია, პროგრამა და ხალხი, რომელიც ამ პროგრამას შეასრულებს. ჩვენ შეგვწევს ძალა, გვაქვს დაგროვილი რესურსები, რომ დანაპირები შევასრულოთ,“** – განაცხადა მერაბიშვილმა. ყოფილი **„საქართველოს ხერხემალი“** ალბათ **„დაგროვილ რესურსებში“** მისი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მიერ ამ რვა წლის განმავლობაში მოსახლეობის გაღლეტის გზით მითვისებულ ფინანსურ რესურსებს გულისხმობს, რომელსაც ახლა საკუთარი ძალაუფლების გადასარჩენად გამოიყენებენ. მაგრამ საზოგადოება კარგად აცნობიერებს რომ ელიტური კორუფციის ზეობით და საბიუჯეტო სახსრების უკანონოდ მითვისებით გამდიდრებული ხელისუფლების გამოა ქვეყნა სიღარიბის საშინელ წუმპეში ჩაძირული.

ცნობისთვის, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური გააქტიურების დღიდან მუდმივად აცხადებს, რომ მისი პრიორიტეტები იქნებოდა: **სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მილიარდიანი ფონდის შექმნა, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის ყოვლისმომცველი პაკეტი და პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებაა.**

როგორც ჩანს ხელისუფლებამ ნათლად დაინახა, რომ მოსახლეობა ივანიშვილის პროგრამისადმი ინტერესს გამოხატავდა, ვინაიდან დღეს საზოგადოების უმთავრესი პრობლემა სოციალური საკითხების მოუგვარებლობაა, ამიტომ ამომრჩევლების წინაშე დემაგოგიური დაპირებებით წარსდგა, რაც არაერთხელ გაუკეთებიათ ამ რვა წლის მანძილზე.

წმინდა წყლის დემაგოგია და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა ვანო მერაბიშვილის პროგრამა, სადაც საუბარია: სოფლის მხარდაჭერისათვის 4 მილიარდი ლარის ჩადებაზე (წელიწადში 1 მილიარდი), ასევე ჯანდაცვის სფეროსთვის ოთხი წლის განმავლობაში 3 მილიარდი ლარის გამოყოფაზე, ასდოლარიან პენსიაზე, საყოველთაო დაზღვევაზე, ყველა უმუშევრის დასაქმებაზე და ა.შ. არადა ხელისუფლებისთვის დღემდე პრიორიტეტული მიმართულება ტურიზმი, ძალოვანი სტრუქტურების რეფორმირება და ინფრასტრუქტურული პროექტები იყო და არა სოფელი და სოფლის მეურნეობის განვითარება.

ცალსახად უნდა ითქვას რომ ხელისუფლება მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი ოთხწლიანი პროგრამით საზოგადოებას აშკარად დასცინის. მაგალითისთვის გამოდგება თითოეული ოჯახისთვის **ათასლარიანი ვაუჩერის** გაცემაზე გაკეთებული დაპირება, რომელიც ოთხ წელზე უნდა გადანაწილდეს. ეს კი იმას ნიშნავს რომ თითოეული ოჯახი წელიწადში 250 ლარს, თვეში 20 ლარს და დღეში 70 თეთრს მიიღებს. ანუ მერაბიშვილი თავისი **„ინოვაციური“** პროგრამით ქართველ ამომრჩევლებს პირდება დღეში 70 თეთრად ცხოვრებას.

მთელი ამ სიტუაციის კომიკური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებამ ივანიშვილის საკუთრებაში რეალურად არსებულ 6,4 მილიარდს, გაცილებით უფრო მეტი ოღონდ ვირტუალური მილიარდები დაუპირისპირა, რომელიც ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში არ მუშაობს არცერთი მსხვილშემოსავლიანი საწარმო, სოფლის მეურნეობა მკვდარია, ბიზნესი ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, შესაბამისად მისი განვითარებისთვის შესაძლებლობა არ არსებობს, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტი ძირითადად მოსახლეობისთვის წართმეული კერძო საკუთრების უკანონოდ გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლებით, ჯარიმებით და საპროცესო გარიგებებით ივსება.

სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის გადამკიდე ქართული საზოგადოება საარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის გამო ყოველთვის მოტყუებული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, **„გაღლეტილი“** მერაბიშვილი დემაგოგიური ხელოვნების გამოყენებით ამომრჩევლების მოტყუებას უფრო თავხედურად ცდილობს ვიდრე ამას სააკაშვილი აკეთებდა მისი რვაწლიანი მმართველობის განმავლობაში.

მერაბიშვილის დემაგოგიური პროგრამა, რომელსაც ერთი შეხედვით სოციალისტური ელფერი დაჰკრავს გარკვეულწილად მმართველ პარტიას უქმნის საფრთხეს საკუთარი მხარდამჭერი და მის მიმართ ლოიალურად განწყობილი ე.წ. ლიბერტარიანული ელიტა, რომელსაც არცთუ უმნიშვნელო გავლენა აქვს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე მის ამომრჩეველთა რიგებს ჩამოაშოროს. ვინაიდან ეს ადამიანები, ჯერ კიდევ მანამ, სანამ მერაბიშვილი ახალ პროგრამას წარადგენდა ბიძინა ივანიშვილს კიცხავდნენ მისი საარჩევნო პროგრამის **„გადაჭარბებული“** სოციალური ხასიათის გამო.

წესით **„ლიბერტარიანელებს“** მერაბიშვილი უნდა გაეკიცხათ და მისი პროგრამა გაეკრიტიკებინათ. მაგრამ ის ადამიანები ვინც ივანიშვილს საყოველთაო ჯანდაცვისა და სოფლის დახმარებისათვის მილიარდი ლარის გამოყოფის პირობას სოციალიზმის მშენებლობად აფასებდა, ვანო მერაბიშვილის მსგავს იდეას საზოგადოების დაკვეთის ოპტიმალურ პასუხად მიიჩნევენ. მათთვის არასახარბიელო სიტუაციიდან ამ ადამიანებმა მაინც იპოვეს გამოსავალი და დღეს ხელისუფლების თავგამოდებული მხარდამჭერი ეს **„ნაღები საზოგადოება“** ცალსახად აცხადებს, რომ მართალია მერაბიშვილის პროგრამა პოპულისტურია და განუხორციელებადი, ასევე, გაცილებით უფრო მიუღწეველი ვიდრე ივანიშვილის პროგრამა, თუმცა მაინც **„კეთილშობილურიაო“**. ძნელია ჩაწვდე ამ **„რთულ ლოგიკას“** და გაიაზრო თუ რატომაა კეთილი ის ადამიანი ვინც ყველაზე მეტად ატყუებს საზოგადოებას, ამომრჩეველს. თუმცა მათი ეს **„პოზიცია“** კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ დეგრადირებულ აზროვნებაზე და საკუთარი პოლიტიკური მრწამსისადმი უპრინციპო დამოკიდებულებაზე.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ ვანო მერაბიშვილის ახალი პროგრამა **„მეტი სარგებელი ხალხს“** და უპირველესი მიზანი **„მთავარი მტრის – უმუშევრობის დამარცხება“** უსაზღვროდ პოპულისტური და დემაგოგიური დაპირებებია, რომელიც საზოგადოებას მორიგი **„აბსურდის თეატრის“** სცენაზე დადგმული სპექტაკლის საყურებლად ითრევს.

თუკი ამ რვა წლის განმავლობაში ხელისუფლებას მოსახლეობისთვის სიკეთე არ გაუკეთებია, მაშინ ლოგიკურად ჩნდება კითხვა საზოგადოებამ რატომ უნდა გამოუცხადოს ისევ ნდობა იმ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყანაში ჩატარებული ყოველი არჩევნების დროს დაპირებებს უხვად გასცემდა, ხოლო რეალურად **„მიშუშებული“** ნაგებობების აშენების მეტი სხვა სიკეთე არ შეუქმნია.

გარდა ამისა უკვე ხელისუფლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით და ბიუჯეტის ხარჯზე ცდილობს მოსახლეობის არჩევანზე ზეგავლენის მოხდენას. დიდი ალბათობით არჩევნებამდე სააკაშვილის რეჟიმის ეს პოლიტიკა უფრო აგრესიულ ხასიათს მიიღებს, რაც ამომრჩეველთა ნაწილის დაშინებასა და მოსყიდვაში გამოიხატება. ბიძინა ივანიშვილმა მესტიაში, სოფელ ჭუბერში სტუმრობისას ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელ მოსყიდვის მცდელობაზე ისაუბრა: **„სულ მალე არჩევნები იქნება. ახლა დაფაციცდებიან, რა თქმა უნდა, ერთი ტომარა ფქვილი აღარ ყოფნით, ჩვენ შემოვედით და აიწია თამასა, რეალური ოპოზიცია გაჩნდა. ამათ ფული აქვთ და საშუალება, დაიწყებენ ხალხის ტოტალურ მოსყიდვას, არ შეცდეთ! შესაძლებელია დახმარებები მიიღოთ, მაგრამ არჩევანი გააზრებული და არაემოციური უნდა გააკეთოთ. არ გაცვალოთ დროებითი ორლარიანი შემოსავალი ჩვენს მომავალზე. არ გაყიდოთ მომავალი“.**

სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები, თავიანთი დემაგოგიურ დაპირებებით შეურაცხყოფას აყენებენ ქართველ ამომრჩევლებს. ვინაიდან ასეთი განუხორციელებელი, პოპულისტური პროგრამით ისინი მიზნად ისახავენ **„გაუნათლებელი ბრბოს“, „კომუნისტური მენტალიტეტის ტყვეობაში“** მყოფი საზოგადოების მოტყუებას. როგორც ჩანს, არჩევნებამდე პრემიერი მერაბიშვილის მოვალეობა მხოლოდ მოსახლეობის მოტყუება და გაბითურება იქნება, რომელიც ერთი მარტივი პრინციპით იმოქმედებს: **„მთავარია დაჰპირდე ხალხს ბევრი სიკეთის გაკეთება, ხოლო მის შესრულებაზე შეგიძლია არც იფიქრო, ხალხი ბრმაა და მაინც გამოგყვება“.**

განსხვავება **„ნაციონალური მოძრაობის“** ახლად წარმოდგენილ და შეუსრულებელ დაპირებებს შორის იმდენად დიდია, რომ ვანო მერაბიშვილი ლამაზი სიტყვებით და ვირტუალურ მილიარდებზე აპელირებით მოსახლეობის მოტყუებას ვეღარ შეძლებს. ვინაიდან, საზოგადოება კარგად აცნობიერებს, რომ მერაბიშვილის პროგრამა მორიგი წინასაარჩევნო დემადოგიაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებზეა გათვლილი და ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში მას რეალური განხორციელება არ უწერია.

**ზურაბ ჯამბურია**



სეიბეი კიემილოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სსრკ კომპარტიის ამ რიგგარეშე, **"ეპოქალურ"** ყრილობაზე გამოვიდა ასაკით ბერიას თანატოლი აკადემიკოსი პავლე იუდინი, მაშინ საბჭოთა კავშირის ელჩი ჩინეთში, 1932-1938 წლებში კი წითელი პროფესურის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც ყრილობაზე განაცხადა:

**"ყველამ კარგად უნდა ავუღოთ ალღო ხრუშჩოვის მოხსენების იმ ნაწილს, სადაც მკაფიოდაა ნათქვამი, რომ დღეს მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც შესძლებდა საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმში აღდგენას და სოციალიზმის განადგურებას..."**

ამხანაგმა ნიკიტა ხრუშჩოვმა კი გამოაცხადა არა ხუთწლიანი, არამედ საბჭოთა კავშირის განვითარების შვიდწლიანი გეგმა – 1959-1965 წლებში და მოხსენების დასასრულს განაცხადა:

**"ამხანაგებო! პარტიის XXI ყრილობა ამტკიცებს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აღმშენებლობის დიდებულ გეგმას. ჩვენ პარტიას და გმირ საბჭოთა ხალხს ახალი დიდი ამოცანების გადაჭრა მოუწევს. შვიდწლიანი გეგმის წარმატება კიდევ ერთხელ აიყვანს ჩვენს სამშობლოს ახალ სიმაღლეებზე და დაადასტურებს კომუნიზმის უპირატესობას ხრწნად, მომაკვდავ კაპიტალიზმზე..."**.

ორი წლის შემდეგ – 1961 წელს, უკვე გაიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXII ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა პარტიის მესამე პროგრამა – **"კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა".** იგი უკანასკნელი გამოდგა ხრუშჩოვისათვის – 1964 წლის 14 ოქტომბერს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა **"ძვირფასი ნიკიტა სერგეის ძე"** პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნა. მაგრამ წინ გველოდა კომპარტიის ახალი **"ისტორიული"** ყრილობები...

ჯერ სკკპ ცეკას გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წინამძღოლობით.

შემდეგ სკკპ ცეკას გენერალური მდივნის მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვის წინამძღოლობით...

## XX ყრილობის კურსით...

ანტიპარტიული ჯგუფის **"განადგურებიდან"** ოთხი თვის შემდეგ – 1957 წლის 1 ნოემბერს, ხრუშჩოვმა, მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციების აქტივზე სიტყვით გამოსვლისას საკუთარ თავს შემდეგი შეკითხვა დაუსვა: **"პარტიას რომ ვერ მოეხერხებინა ბერიას დამარცხება, საით წავიდოდა მაშინ ჩვენი სამშობლო?"**.

მართლაც – საით წავიდოდა საბჭოთა კავშირი?

ამ შეკითხვაზე პასუხის მიღება მკითხველს შეუძლია ჟურნალ **"ნოვოე ვრემიას"** 1993 წლის 41-ე ნომრის 34-38 გვერდებზე, ლეონიდ მლეჩინის წერილში **"ლავრენტი ბერია რომ ვერ დაეპატიმრებინათ..."**, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით **"დოკუმენტური ფანტასმაგორიები"**.

ეს ფანტასმაგორია შემდეგი სიტყვებით იწყება:

**"წარმოიდგინეთ, რომ პარტიის მეოცე ყრილობის დახურვაზე სიტყვით გამოდის ბერია და აცხადებს:**

**– უპირველესად, ამხანაგებო, მინდა მოგილოცოთ ჩვენი პარტიის ამ ყრილობის მუშაობა. იგი გახლდათ განახლების ყრილობა... დრო, როცა უხეშად ირღვეოდა სოციალისტური კანონიერება, როცა ფეხქვეშ ითელებოდა პარტიული ცხოვრების ნორმები, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.**

**პარტიის მეოცე ყრილობა გახლდათ პირველი ღონისძიება, რომელზეც ბერია საანგარიშო მოხსენებით გამოდიოდა.**

**როცა მას დასკვნითი სიტყვა მისცეს, დარბაზი ფეხზე წამოდგა და დიდი ხანი მხურვალედ უკრავდა ტაშს. ბერია იღიმოდა და ხელის მოძრაობით თხოვდა დარბაზს დამშვიდებულიყვნენ. მაგრამ დელეგატები აგრძელებდნენ ოვაციას და პატივისცემით შესცქეროდნენ პრეზიდიუმს, რომელიც ასევე გულმხურვალედ ესალმებოდა უდიდესი ქვეყნის ლიდერს..."**

შემდეგ მლეჩინი ბერიას პირით (ან, იქნებ პირიქით?) მოგვითხრობს, იმაზე, თუ როგორ განვითარდა მოვლენები სტალინის გარდაცვალების შემდგომ:

**"ბერიას ამ სიტყვებს დარბაზი გულის ფანცქალით ისმენდა.**

**პუტჩს ამზადებდა ცბიერი და მზაკვარი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც ცდილობდა უბრალო ადამიანის როლი ეთამაშა, ყველასთან ემეგობრა...**

**ნიკიტა ცდილობდა სამუდამოდ დაეკონსერვებინა ყველაფერი, რაც შექმნა სტალინმა, – აგრძელებდა ბერია, – მისთვის დამახასიათებელი იყო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, სრული არაკომპეტენტურობა, მიდრეკილი იყო საკითხების თვითნებურად გადაწყვეტისაკენ, სპეციალისტებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე...**

**(...)**

**ხრუშჩოვი ინტრიგანი და ანტიპარტიული სუბიექტია, დამნაშავეა უკრაინაში, შემდეგ კი მოსკოვში სოციალისტური კანონიერების დარღვევებში... იგი შეუდგა სახელმწიფო გადატრიალებისათვის მზადებას, უნდოდა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამისათვის გადაწყვიტა, რომ გაენადგურებინა ბერია – ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ძალუძდა, რომ წინ აღდგომოდა მის ამბიციებს...**

**(...)**

**ბერიას დაპატიმრება განზრახული ჰქონდა 26 ივნისისათვის".**

მლეჩინის **"ფანტასმაგორიაში"** შეთქმულების მონაწილენი არიან ისინი, ვინც რეალურად მონაწილეობდა ამ შეთქმულებაში: ბულგანინი, სეროვი, კრუგლოვი, ჟუკოვი, ბატიცკი, მოსკალენკო... მაგრამ ბერია ფხიზლად იყო და 26 ივნისის დილას მალენკოვთან მივიდა. მლეჩინი ასე აღგვიწერს ამ სიტუაციას:

**"– შენ რა, ეგორ, გადაწყვიტე ჩემს წინააღმდეგ გამოსვლა? – ჰკითხა ლავრენტი ბერიამ, ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია.**

**დამფრთხალმა მალენკოვმა წამსვე ისკუპა ერთი ბანაკიდან მეორეში და ბერიას დაწვრილებით მოუთხრო ხრუშჩოვის მიერ დაგეგმილი ოპერაციის თაობაზე".**

შემდეგ ყველაფერი ზუსტად ვითარდება **"ისტორიის საპირისპიროდ":** სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფი ქობულოვის ხელმძღვანელობით აპატიმრებს ჟუკოვსა და მის ხალხს, აპატიმრებს სეროვსა და კრუგლოვს, და როცა ხრუშჩოვმა ცეკაც პრეზიდიუმის სხდომაზე თითი დააჭირა **"საიდუმლო ღილაკს"**, შემოვიდა არა ჟუკოვი, არამედ შინაგანი ჯარების ოფიცრები.

**"ხრუშჩოვი, ბულგანინი და ჟუკოვი, – აგრძელებს მლეჩინი, – გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა. ყველა ჩადენილი და ჩასადენი დანაშაულისათვის მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.**

**მალენკოვი და მიქოიანი დარჩნენ საკუთარ თანამდებობებზე.**

**(...)**

**ხრუშჩოვისა და მისი თანამზრახველების დაპატიმრების შემდეგ, რომლებიც ამერიკული დაზვერვის აგენტები აღმოჩნდნენ, ბერია სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა.**

**არავის შეეძლო მას შესცილებოდა პარტიისა და ქვეყნის მართვაში.**

**სწორედ ბერია გამოვიდა მთელი ძალაუფლების პარტიისათვის გადაცემისა და ქვეყნის სამეურნეო საქმეებში არაკომპეტენტურად ჩარევის წინააღმდეგ..."** და ა.შ.

წავიკითხე რა 2007 წელს ეს **"ფანტასმაგორია"**, რომელიც 14 წლის წინ დაიწერა, მე უკიდურესად გაოცებული დავრჩი. ესეც ასე! თავში აზრები მერეოდა: **"ნუთუ მლეჩინი ის ადამიანია, რომელმაც რეალურად შეაფასა ბერიას პიროვნება? არა, ეს ასე არ იქნება! ეს ხომ ლეონიდ მლეჩინია, საკმაოდ ოდიოზური ფიგურა, რომელიც ანტისაბჭოური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი"**.

მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა!

მლეჩინის მიხედვით XX ყრილობის დელეგატებს – შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის დამახასიათებელი სტილით მკაცრად შემოწმების შემდეგ გადაანაწილებენ სხვადასხვა სამხედრო თვითმფრინავებში (სამოქალაქო ავიაცია მაშინ არ იყო, რადგან **"ქვეყანაში უსაქმოდ არავინ დაყიალობდა"**) და სხვადასხვა ბანაკებში მიუჩენდნენ ადგილებს, მავთულხლართების მიღმა.

მლეჩინის ყაიდის საბჭოთა კავშირში ყველა აღმშენებლობით სამუშაოები, ასევე თავდაცვის სამინისტროს სისტემის წარმოება-დაწესებულებების საქმიანობა **"მიმდინარეობდა შრომა-გასწორებითი ბანაკების (გულაგის) მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ"**.

მლეჩინი პირის ტკბობით აგრძელებს ფანტასმაგორიობას:

**"სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამაიკ ქობულოვმა ("ფანტასმაგორიულ"** XX ყრილობაზე – ს.კ.) **დაასახელა ხუთწლედის საკონტროლო ციფრები: სამრეწველო პროდუქციის 83 პროცენტი მიღებულია შრომა-გასწორებითი ბანაკების პატიმართა შრომით...**

**პარტიის XX ყრილობამ დაუსვა ამოცანა საბჭოთა მთავრობას, რომ მაქსიმალურად გაანთავისუფლოს საბჭოთა ხალხი მძიმე ფიზიკური შრომისაგან და ამიტომ გადასცა მთელი წარმოება-დაწესებულებები შრომა-გასწორებითი კოლონიების მთავარ სამმართველოს (გულაგს)"** და ა.შ.

ამ ფანტასმაგორიის ავტორი, რომელიც დაბადებულია 1957 წელს და დამთავრებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, წარმატებით იფურჩქნებოდა ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქაში, თხზავდა რა **"პოლიტიკურ ნარკვევებს"** სერიით – **"იმ მხარეს"**, რომლებშიც ფარდას ხდიდა **"მითებს საბჭოთა საფრთხეზე"**, მოგვითხრობდა რა, თუ **"როგორ სასტიკად უსწორდებოდნენ ამერიკული სპეცსამსახურები ანტისაომარი მოძრაობის აქტივისტებს"** და ა.შ. წარმატებით ჩაეწერა რა **"უძრაობის"** ეპოქაში, იგი დღესაც იფურჩქნება, ამიტომაცაა ასე დაწვრილებით ინფორმირებული საბჭოთა ისტორიის დელიკატურ მომენტებში და სწორედ ეს აძლევს საშუალებას, რომ გამოავლინოს ლავრენტი ბერიას ყველა წამოწყების ჭვრეტის უნარი.

მაგრამ ლეონიდ მლეჩინი საერთოდ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ბერიამ მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებებისა, გულაგის შემადგენლობიდან გამოიყვანა და დარგობრივ სამინისტროებს გადასცა, ხოლო თავად შრომა-გასწორებითი ბანაკების მთავარი სამმართველო იუსტიციის სამინისტროს დაუმორჩილა. მისი ეს **"გულმავიწყობა"** სავსებით გასაგებია – ამ ორი ფაქტის დამოწმება ხომ ყირაზე აყენებს მლეჩინის მთელ ამ **"ფანტასმაგორიულ"** წიაღსვლებს.

და რაც მთავარია, ამ პასქვილების ავტორს არასოდეს შეუნიღბავს თავისი ჭეშმარიტი მიზნები. მას უნდოდა თვალსაჩინო გაეხადა, რომ:

**"ისტორია რამდენიმე ვარიანტისაგან შედგება. რუსეთში სოციალიზმის ბედსაც მრავალი ფაქტორი განაპირობებდა... მაგრამ ქვეყანა განვითარდებოდა მაინც იგივე წრეში – გულაგიდან რეფორმებამდე.**

**რეალური სოციალიზმის მრავალვარიანტობა დაყვანილია მინიმუმამდე, იმიტომ, რომ სოციალისტური საზოგადოების არსებობის გენერალური სქემა გახლდათ... ტერორი"**.

თავის **"ფანტასმაგორიას"** კი მლეჩინი შემდეგნაირად ამთავრებს:

**"ბერიას მიერ 1953 წელს გატარებული რეფორმები, რომელმაც ასე დააფრთხო მისი კოლეგები, უპირველესად, ნაკარნახევი იყო თვითგადარჩენის ინსტინქტით. და კიდევაც რომ განხორციელებულიყო ეს რეფორმები, ქვეყანა მალე მაინც გულაგს დაუბრუნდებოდა. ასე გაგრძელდებოდა მანამ, ვიდრე სოციალიზმი შეწყვეტდა არსებობას.**

**სოციალიზმის მრავალვარიანტულობა უიმედო საქმეა"**.

მე სრულიადაც არ ვაპირებ, მომავალში (გვიანი **"პერესტროიკის"** პერიოდში), ჟურნალ **"ნოვოე ვრემიას"** მთავარი რედაქტორის მოადგილის რეტრო-ფუტუროლოგიური გამოკვლევების კომენტირებას. მაგრამ ვაღიარებ – იმის სურვილს, რომ ეს ყველაფერი მკითხველისათვის გამეცნო, თავი ვერ დავაღწიე.

მიუხედავად მლეჩინის ოპუსისა, სრულიადაც არ იცვლება შემდეგი საკრალური შეკითხვის დასმის კანონიერი საფუძველი: **"საით წავიდოდა რუსეთი, რომელსაც სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერია ჩაუდგებოდა სათავეში"?**

ვფიქრობ, რომ ახლა მკითხველს დამოუკიდებლად შეუძლია გასცეს პასუხი ამ შეკითხვას. მაგრამ მე მაინც დავუბრუნდები ამ საკითხს.

**1964 წლის ოქტომბერში** ხრუშჩოვი ჩამოაგდეს... რუსეთის ბედი ბრეჟნევის დაჯგუფების ხელში აღმოჩნდა... და როგორი ერთსულოვნებითაც არ უნდა გვიმტკიცონ დღეს **"დემოკრატებმა"** საპირისპირო, მოხდა უკან დახევა **"შერბილებული სტალინიზმისაკენ"**.

ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ ახლა სტალინის სახელს ნაკლებად თხვრიდნენ ლაფში. მაგრამ გამორიცხული იყო ბერიას რეაბილიტაცია, თუნდაც **"ატომურ"** დარგში.

რატომ?

თითქოს ხელსაყრელი მომენტი დადგა და საამისო მიზეზიც არსებობდა. ბრეჟნევ-შელეპინის ჯგუფმა ეს-ესაა **"ჩამოაგდო"** ხრუშჩოვი და სავსებით ლოგიკური იქნებოდა ობიექტურად შეეფასებინათ ***ნიკიტა ხრუშჩოვი*** და, ამავე დროს, ეჩვენებინათ ***მისი*** როლი 30-იანი წლების რეპრესიებში. სტალინის მთელი გარემოცვიდან ხომ მხოლოდ **"ნიკიტა"** მდინარედ ღვრიდა უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების სისხლს, იმიტომ, რომ ფარულ ანტიკომუნისტებს, ანტისაბჭოელებს, ტროცკისტებს, პროვოკატორებს აძლევდა ხელს საბჭოთა ხალხის გილიოტინის ქვეშ შერეკვა, სწორედ იმ რეგიონებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სრულიად უმეცარი, უპასუხისმგებლო, ამბიციური არსებები, რომლებიც სავსებით იყვნენ დამოკიდებული საკუთარ გარემოცვაზე.

და ამის ციფრებით დადასტურება შეიძლება!

და თუ ხელისუფლების სათავეში ბრეჟნევის მოსვლით ხდებოდა უკან დახევა **"შერბილებული სტალინიზმისაკენ"**, მაშინ ხომ ხელსაყრელი იქნებოდა ხრუშჩოვის ნამდვილი სახის ჩვენება და მისი ინსინუაციების შერბილება სტალინის მიერ მოწყობილი რეპრესიების თაობაზე. და, რაც მთავარია, იმის გაცხადება, რომ ვოლუნტარისტმა და შურიანმა ხრუშჩოვმა ბერიასაც დაუმსახურებლად შეასხა სიბინძურე... ბერია კი, დიდ სამამულო ომშიც ღირსეული ფიგურა იყო და **"ატომურ"** საქმეებშიც...

მაგრამ ბრეჟნევის ეპოქაში ბერიას მიმართ არ თქმულა ერთი დადებითი სიტყვაც კი.

რატომ?

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# რომელია თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მიწა-წყლები

თურქთა მომთაბარე ტომი, ისტორიაში ცნობილი ოსმალო თურქთა სახელწოდებით, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შეცვალა სელჯუკი თურქები, რომელნიც თავის მხრივ პირველად XI საუკუნეში გამოჩნდნენ მცირე აზიაში. ეს ტომი საქართველოში შემოჭრას იწყებს XV საუკუნიდან.

საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო წელში გამართულიყო მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ და დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამო. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების შედეგად ოსმალო თურქებმა შეძლეს თავიანთი ჭარბი ძალებით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხელში ჩაეგდოთ სამხრეთი საქართველო და იქ დაპყრობილი ქვეყნის მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.



საქართველოს ამ ნაწილის ხელში ჩაგდების მომენტიდან თურქები შეუდგნენ ქართველთა მთელი ეროვნული ყოფის მეთოდურად აღმოფხვრას მოსახლეობის გათურქებისა და ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყანაში ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვის გზით. თურქები ნახევრად ველურ მომთაბარეთა მორალით ხელმძღვანელობდნენ და თავიანთ განზრახვათა განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. თუ რამდენად მკაცრი იყო ეს ღონისძიებანი, ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ საქართველოს დაპყრობილი ოლქების მრავალი მცხოვრები, მშობლიურ წრეს მოწყვეტილი, მასობრივად გარბოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რათა **"თავი ეხსნათ თურქების მიერ ფანატიკური დევნისაგან"** (დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 119) და შეძლებისდაგვარად გადაერჩინათ თავიანთი კულტურის ძეგლები (ხელნაწერები, ხელოვნების საგნები და სხვ.). ცნობილია, მაგალითად, რომ სამცხის ზარზმის მონასტრიდან პატრიოტთა ჯგუფმა თავისი მშობლიური მხარე მიატოვა, თან წაიღო ეროვნული კულტურის ძეგლები და თავშესაფარი პოვა გურიაში, შემოქმედის მონასტერში (დიმიტრი ბაქრაძე, იქვე).

ამ მკაცრ პოლიტიკას, რომელსაც ოსმალო ხელისუფალნი მხარის გასათურქებლად და გასამაჰმადიანებლად ახორციელებდნენ, მოწმობს ის უცილობელი მონაცემებიც, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული **"საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დავთარი"**. ეს ოფიციალური თურქული დოკუმენტი თურქ ხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ არის შედგენილი საქართველოს ახალდაპყრობილი ნაწილისათვის და ამიტომ წარმოადგენს ობიექტურ წყაროს, საიდანაც შეიძლება ამოღებულ იქნას თურქეთის პოლიტიკის დამახასიათებელი მასალები; დასახლებული პუნქტების ჩამოთვლასთან ერთად იგი შეიცავს აგრეთვე იმ სოფლების გრძელ სიებს, რომლებიც შიშით შეპყრობილ ქართველ მოსახლეობას მიუტოვებია. ეჭვგარეშეა, რომ ეს, **"დავთრის"** მიხედვით **"მოსახლეობისგან თავისუფალი სოფლები"** იმ ქართველ პატრიოტთა საცხოვრებელი ადგილები იყო, რომლებმაც, ამაყობდნენ რა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ნახევრად ველურ მომთაბარეებს თავი აბუჩად არ ააგდებინეს. მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური მსხვერპლისა, თავიანთი მშობლიური ადგილები დატოვეს და საქართველოს სხვადასხვა რაიონში გადასახლდნენ. ამ გადასახლების მასშტაბს თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ **"მცხოვრებთაგან თავისუფალი სოფლების"** რიცხვი საქართველოს მარტო იმ ნაწილში, რომელიც **"დავთარშია"** შეტანილი, 300-ს აღწევს!

იმ ძალადობას, რასაც თურქები დაპყრობილ მხარეში ჩადიოდნენ, აღნიშნავს XVIII საუკუნის ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა ამბობს, რომ დაპყრობილი მხარის წარჩინებულ ქართველთა წოდება თურქულ ენაზე გადავიდა, **"დამჭირნეობისათვის ოსმალთა"** (იხ. ვახუშტი, **"აღწერა სამეფოსა საქართველოისა"**, გვ. 131).

მაგრამ თურქი ხელისუფალნი პირდაპირი რეპრესიების გარდა, რასაც ქართველი მოსახლეობა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა, მიმართავდნენ არაპირდაპირი ზემოქმედების ზომებსაც იმისათვის, რომ დაპყრობილი მოსახლეობა იძულებული გაეხადათ ხელი აეღო თავის საუკუნეობრივ ეროვნულ ტრადიციებზე. ეს იყო ეკონომიკური ზეგავლენა, რაც გამოიხატებოდა აუტანელი გადასახადების შეწერით, რომლებითაც სპეციალურად დაბეგრეს არამუსლიმანი მოსახლეობა. იმავე **"დავთარში"** არის მასალები, რომლებიც ახასიათებენ ხალხის ჩაგვრის ამ ხერხს. **"დავთრის"** მიხედვით, მრავალ სხვა გადასახადს გარდა, არამუსლიმანი, ამ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა, იხდის კომლობრივ გადასახადს, ეგრეთ წოდებულ **"ისფენჯს"** 25 ახჩის ოდენობით, რაც იმ დროის მიხედვით მძიმე ტვირთს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და გაღატაკებული იყო მომთაბარეთა ურდოების ხანგრძლივი თავდასხმებით. ამავე დროს კი, მუსლიმანი გაცილებით ნაკლებს იხდიდა: ეგრეთ წოდებულ **"ზენაქს"** და **"მუჯერეთს"**, 18 ან 12 ახჩს. **"დავთარში"** 127, 262, 274, 358, 365 და სხვა გვერდებზე მუსლიმის ყოველ სახელთან არის სპეციალური აღნიშვნა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირი მუსლიმანია და ამიტომ შეღავათიან გადასახადს იხდის.

ასევე მკაცრი იყო თურქეთის პოლიტიკა თურქების მიერ დაპყრობილ მეორე სექტორში – ჭანეთში (ლაზთა ქვეყანაში). დამპყრობი თურქების დაჟინებით მისწრაფებას – ჩაეხშოთ ლაზებში საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარი გამოვლინება – ლაზები უპირისპირებდნენ მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებას და, მიუხედავად სრული იზოლაციისა და მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტისა, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ლაზური ენა. ლაზებისადმი თურქების მხრივ ზიზღით აღსავსე და ეროვნულად შეურაცხმყოფ დამოკიდებულებას მოწმობს თურქული ანდაზა: **"ლაზლარინ თერმონიმისლიმან იემეზ ონი"**, ე.ი. **"ლაზური ფელამუში მუსლიმანს არ ეჭმევაო"** (ნიკო მარი, თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 627).

ვფიქრობ, აქ უადგილო არ იქნება ცოტა რამ ვთქვათ ლაზთა ტერიტორიული გავრცელების შესახებ. ეჭვგარეშეა, რომ ლაზთა ქართველური ტომის ქვეყანა ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით სამსუნის ვილაიეთამდე ჩათვლით. ამის შესახებ ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალგრევის ანგარიში, რომელიც მოყვანილია აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სტატიაში (იხ. გაზეთი **"კომუნისტი"**, 1945 წლის 14 დეკემბერი) სხვა ფაქტითაც დასტურდება. საქმე ის არის, რომ მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში შავი ზღვის სანაპიროს ყველა თურქული დიალექტი, მათ შორის სამსუნის ვილაიეთის დიალექტებიც, უსაფუძვლოდ როდია ცნობილი **"ლაზურ-თურქულის"** სახელწოდებით (გერმანულად **– Lazisch – Türkisch,** იხ. მაგალითად, პოლონელი პროფესორის, ტადეუშ კოვალსკის სამიმოხილვო სტატია **Enzuklopädie des Islam**-ის IV ტომში, გვ. 996 და სხვ.). ცხადია, რომ ანატოლიის ამ ნაწილში გაბატონებული ლაზური ენობრივი სუბსტრატი ფრიად ქმედითი ფაქტორი იყო, რაც სპეციფიკურ ლაზურ ელფერს აძლევდა ლაზთა ამ ტერიტორიაზე ძალდატანებით გავრცელებულ თურქულ ენას.

ეს გარემოება მოწმობს არა მარტო ლაზთა ტერიტორიულ გავრცელებას აღნიშნულ ფარგლებამდე, არამედ ლაზებისა და საერთოდ ქართველთა ტომების კულტურულ უპირატესობასაც დამპყრობ თურქებთან შედარებით.

და მართლაც, ოსმალო თურქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოიჭრნენ, ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდისთვის მომთაბარე ტომების ტიპური წარმომადგენლები იყვნენ. მცირე აზიისა და კავკასიის ცივილიზებულ სახელმწიფოებს რომ შეეჯახნენ, ისინი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს. თურქებმა ჯერ ბიზანტია დაამარცხეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საქართველოს, ჩამოაშორეს იგი ევროპას და გაბატონდნენ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დაპყრობილ ქართველთა ტომებს თურქებმა შემდგომი განვითარების გზა დაუხშეს და ფეხი მოიკიდეს ანატოლიაში, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა, რომ მათ არ განეცადათ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის კეთილმყოფელი გავლენა. ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ფაქტებს არაერთხელ მიუპყრიათ ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებსაც იმ დროისათვის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გაავრცელეს როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მიწის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სიმინდი ანატოლიის ამ ნაწილის თურქებმა ლაზებისგან გადაიღეს. ამაზე მიუთითებს სიმინდის თურქული სახელწოდება – **"ლაზოთი, ლაზუთი"**, რაც ნიშნავს **"ლაზურ მცენარეს"** (იხ. რედჰაუსი, თურქულ-ინგლისური ლექსიკონი, გვ. 1619, **ahmed vefik-faSa, lexje**-ი ოსმანი გვ. 748 და შრომა **"სიტყვა ლაზუტ-ის წარმოშობისათვის"** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში, ტ. V, № 2 გვ. 227).

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა **"საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში"** გამოარკვია, რომ მთელი რიგი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები (გუთანი, ჯილღა) აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა ქართველებისგან გადაიღეს (იხ. დასახელებული შრომა, I, გვ. 248 და სხვ.).

თურქების მიერ უსამართლოდ მიტაცებული სამცხის მხარე საქართველოსათვის იყო არა **"განაპირა მხარე, არა პერიფერია, არამედ ცენტრი"** ქართული კულტურისა. ამ კულტურის შემოქმედნი, რომელთა სახელებთანაც დაკავშირებულია ხალხური და ფილოსოფიური შემოქმედების შედევრები, სამხრეთ საქართველოდან წარმოსდგებოდნენ. აქვე იქმნებოდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ცნობილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოსულ დამპყრობთა მიერ მოსპობის, დანგრევისა და აბუჩად აგდების საგანი გახდა. აკადემიკოსი ნიკო მარი, რომელიც ამ მხარეებში 1904 წელს მოგზაურობდა, ყველგან ხედავდა მატერიალური კულტურის ქართული ძეგლების **"ულმობლად გაძარცულ კედლებს"**; ეკლესიები გადაკეთებული იყო მეჩეთებად. **"მუეძინის ძახილი ბერთის საყდართან, –** ამბობს აკადემიკოსი ნიკო მარი, – **ახლა მე იმდენად სევდის მომგვრელი არ მეჩვენება, რამდენადაც დაბისა და ჯმერქის ეკლესიების, სამონასტრო ტაძრების ახლანდელი უბადრუკი მდგომარეობა"** (**"მოგზაურობის დღიური"**, გვ. 182). ისტორიის უკუღმართობაზე, თურქთა ძალადობაზე აკადემიკოსი ნიკო მარი **"მოგზაურობის დღიურში"** ამბობს: **"სევდის მომგვრელი იყო ოდესღაც ცოცხალი ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის გამარჯვებული ხმის მოსმენა... იმათი ღვიძლი შვილები, ვინც ქრისტიანობის ეს ძეგლები ააგო, მიისწრაფოდნენ მაღლა ტაძარში, რათა თავიანთი ლოცვა აღევლინათ ისეთ ფორმებში, რაც უცხოა ბერთის მშენებელთათვის. სევდის მომგვრელი იყო ამის დანახვა, სევდის მომგვრელი იყო ამის მოსმენა"**.

**სურათი ნათელია. უაღრესად განვითარებული კულტურისა და აყვავებული ეკონომიური კეთილდღეობის ქვეყანა გაპარტახდა და "დღემდე გაყინულია გაველურებაში". ამ ქვეყნის ასეთი სავალალო მდგომარეობა (მისი დაპყრობის შედეგად) მკაფიოდ დაახასიათა მისმა საუკეთესო მცოდნემ, აკადემიკოსმა ნიკო მარმა: "მალე (ქართველებისაგან მოწყვეტის შემდეგ) ამ მხარეში ჩაიფერფლა და ჩაქრა ყოფილი ცხოვრების უკანასკნელი შუქი, და ახალი შუქი აღარ ამობრწყინებულა. მხარის კულტურული ცხოვრება ჩაკვდა. ადამიანი მოკვდა"** (ნიკო მარი, ბათუმი-არტაანი-ყარსი, გვ. 47).

მაგრამ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობაში მუდამ იყვნენ პატრიოტთა ცალკეული ჯგუფები, რომელთა გულშიც ღვიოდა ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოსადმი. ეს პატრიოტები, ამა თუ იმ საშუალებით, თაობიდან თაობას გადასცემდნენ მშობლიურ მეტყველებასა და მშობლიურ დამწერლობას. ერთეული როდი იყო იმის შემთხვევები, რომ ისმებოდა მიტაცებულ ტერიტორიებზე სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემოღების საკითხი. მაგრამ ასეთ ცდებს სულთნის მთავრობა ყოველთვის ახშობდა. ცნობილია, თუ რა ბედი ეწია ლაზ ფაიკეფენდის, რომელმაც სცადა **"გამოეგონებინა ჭანური (ლაზური) ანბანი: იგი გადაასახლეს და საპყრობილეში ჩასვეს, მისი სახლი გაჩხრიკეს და მთელი მისი ნაშრომები და წიგნები დასწვეს"** (ნიკო მარი, მოგზაურობიდან, გვ. 626). მშობლიურ ენაზე დაბრუნების ასეთსავე ცდებს ეკუთვნის სტამბოლში ქართული ენის სახელმძღვანელოს გამოცემის ცდა. თურქეთის ქართველთა ჯგუფის ინიციატივით, XX საუკუნის 20-იან წლებში, ბავშვებისთვის ქართული ენის სასწავლებლად ქართველ კათოლიკეთა კოლონიამ სტამბოლში სახელმძღვანელო გამოსცა. მაგრამ საქმე იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ ძირშივე აღკვეთა ეს ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისკენ.

თურქეთის ქართველთა სიყვარულს სამშობლოსადმი შემდეგი ფაქტიც მოწმობს: სტამბოლში შევხვდი ერთ შუახნის ქართველ მაჰმადიანს, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდა და საქართველოში არასოდეს ყოფილა. მას თავისი მამისგან ესწავლა ქართული კითხვა და მოეხერხებინა რამდენიმე ქართული წიგნის წაკითხვა. მას აინტერესებდა საქართველო და მისი ისტორია და დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში წამოსულიყო. მე სავსებით დავრწმუნდი მისი სურვილის გულწრფელობაში, როდესაც მან ჯიბიდან ამოიღო ქართული წიგნი, აკაკი წერეთლის **"რჩეული ლექსები"**. რამდენიმე ლექსი ზეპირად დაესწავლა.

დღეს, როდესაც დემოკრატიამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ფაშიზმზე, რომელიც ხალხთა მონობასა და ჩაგვრას ქადაგებდა, – საქართველოს, ჩვენის აზრით, იმდენად ის კი არ სჭირდება, რომ დაამტკიცოს თავისი შეურყეველი უფლებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მშობლიურ, მიტაცებულ მიწა-წყალზე, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე აღიმაღლოს ხმა თავის სამართლიან პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ. ამ პრეტენზიათა სამართლიანობა კარგად ცნობილია ობიექტურად მოაზროვნე კულტურული სამყაროსთვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისა და ყველაზე უკეთესად თვით თურქებისთვის, რომლებიც ასე უსახელოდ გამოვიდნენ დემოკრატიული ქვეყნების დიდი ომიდან კულტურისა და ჰუმანიზმის მტრების წინააღმდეგ. საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არც იმდენად შორეულ წარსულში მომხდარა. თურქებმა ან მოსპეს, ან მშობლიური ადგილებიდან განდევნეს მთელი ხალხები. მაგრამ ქართველმა ხალხმა შეძლო არათუ შეენარჩუნებინა თავისი ფიზიკური არსებობა და სახელმწიფოებრიობა, არამედ კიდეც გაეგრძელებინა მრავალსაუკუნოვანი კულტურით დაგვირგვინებული ტრადიციები თავისი წინაპრებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდნენ სწორედ იმ პროვინციებში, ახლა რომ მოწყვეტილნი არიან საქართველოს. საქართველო სისხლხორცეულად დაინტერესებულია ამ პროვინციების მიღებით და კიდევაც უნდა მიიღოს ისინი.

**სერგი ჯიქია,**
**აკადემიკოსი, 1946 წელი**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-182

ამ მხარეს ძველთაგანვე ერქვა **„არია"**, მოსახლეობას **„არიელები"**. **„არ"** მიწათმოქმედების გამომგონებელ ხალხზე მიგვანიშნებს. იქვე კასპიის ზღვასთან მდებარეობს ქალაქი მახა-ჩქალა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მეგრულ სიტყვა **„ხაჩქუასთან"** (თოხნა). ის დაღესტნის ეროვნული გმირის საპატივსაცემად არის დარქმეული. (ამას იმიტომ ვწერ, რომ წიგნში **„კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე"** დაშვებულია შეცდომა.)

მედეამ თავის შემდეგ, ვაჟიშვილი მედე გაამეფა, რომელსაც ადრე ასწავლა სახელმწიფო მმართველობა.

სასიამოვნო სანახავია ახალგაზრდა მეფე ქალის, გამომწვარ თიხაზე შესრულებული ნახატი, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ძალიან ძველი უნდა იყოს (დაახლოებით 2 ათასი წლის წინანდელი), მეფე ქალს, სამეფო გვირგვინის გარდა, სხვა სამკაული არა აქვს: მარჯვენა ხელში, დიდი შინაარსის მომცველი, მწიფე მტევნებით სავსე ვაზის ტოტი, რტო უპყრია, რომელიც ჯვარის (ნუთუ აქედან მომდინარეობს ჯვარის გამოსახულება(?) ფორმისაა. ეს არის სიცოცხლისადმი, ბუნებისადმი მოწიწებით დამოკიდებულების ნიმუში. – მეფე მირიანი და საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო ასე ექცეოდნენ ვაზს. მეფე ქალის მედეას კაბაზე ამოქარგულია მამულისათვის მისი სიყვარულის გამომხატველი სიტყვა **„აიია"**, რომელიც ალბათ პატრონმა ამოქარგა. ცნობილია, რომ მედეას სამართავი ქვეყანა იყო მედეა-მედეთი, რომელიც მისი სამშობლოს **„აიას"** შემადგენელი ნაწილი იყო. ალბათ, სხვა, მეორე ხელოვანის მიერაა შესრულებული ხის ნატიფი, მცირე ზომის ქანდაკებაც – მეფე მედეას დედას – აიას, კოლხეთის დედოფალს, მკურნალ ქალბატონს თავზე მეფის გვირგვინი ადგას (**ნათელა ფოფხაძე**, კოლხი მედეა ვაზის რტოს კვერთხით, გაზ. **„დიოსკურია"**, 2007, აპრილი, №40, გვ. 8.).

ლადო გუდიაშვილმა მეფე ქალი მედეა დახატა ქართული სამოსელით – ჩიხტიკოპით, ლეჩაქით; მდინარის ნაპირზე დგას ცოცხალი ნიანგის მახლობლად, რომელიც მოდარაჯე ურჩხულია. ხელოვანი, მეფე ქალის ახლოს წყნარად მყოფი ნიანგის აღბეჭდვით, სურათის მნახველ-მაყურებელს უხსნის, რომ ნიანგებით სავსე მდ. ნილოსის ხეობაც (აუზიც) ამ მეფის მიერ იმართება. ეს ტილო დიდებული მოაზროვნე ხელოვანის ნაღვაწია.

მაღალი მხატვრული ღირებულება აქვს საუკუნით ადრე ჰოლანდიელი მხატვრის მიერ შესრულებულ ნახატს – მედეასადმი იასონის მიერ სიყვარულის ფიცის სცენას. ეს თვალწარმტაცი ნამუშევარი დაბურული ტყის ერთ კუთხეს გამოსახავს. საუკუნოვანი ხეების ტოტები და მშვიდი ვითარება, მარადიულობის ნიშანს ანიჭებს გარემოს. დაბურულ ჩეროში წყაროსთან ჩამომჯდარა მდიდრული, გრძელი კაბით მოსილი კოლხი ქალი მედეა. ახლოს მდგარი იასონი სამუდამო სიყვარულს ეფიცება ფიქრებში ჩაფლულ მედეას. მხატვარი გადმოგვცემს იასონის გულწრფელ, ალალ ხასიათს. ის რაც შემდგომში მოხდა (იასონის მიერ ფიცის გატეხვა) იასონის ბრალი არ არის, ცხოვრების პირობების, იასონის ხელისუფლის – კორინთოს მეფის ბრალია. ჩანს მხატვარს მიზნად დაუსახავს გვიჩვენოს მედეას ნაღვლიანი მზერა, რომ ცუდი წინათგრძნობა აქვს და მომავლის ეშინია... როდესაც წინასწარ ცნობილია მომავალ უბედურებათა გარდუვალობა და ბედის შეუცვლელობა. ნ. ფოფხაძე აღწერს, აგრეთვე ამსტერდამელი მხატვრის მიერ ზეთის საღებავებით უზადო გემოვნებით შესრულებულ დიდი ზომის სურათს – ოცზე მეტ ადამიანს თავი მოუყრია უზარმაზარ ხესთან და მისი ტოტიდან თოკით იღებს ბატკანს, ჯგუფის შუაში გასხივოსნებულია თავზე გვირგვინ დამშვენებული ტანკენარი მედეა; მედეა მისჩერებია არა იასონს, რომელიც ხიდან თოკით ექაჩება ცხვარს, არამედ თავის მომავალზე ფიქრობს; იქვეა გასამგზავრებლად გამზადებული იალქნიანი დიდი გემი.

1502 წელს ჰაინრიხ ალდეგრევერმა დახატა და ამოტვიფრა გრავიურა – აპოლონიოს როდოსელის **„არგონავტიკაში"** გადმოცემული ისტორიული მასალები.

თითქმის ორი საუკუნის წინ ანსელმ ფოიერბახმა ზეთის საღებავებით შესრულებულ დიდ ტილოში ასახა ბობოქარი ზღვა, მის ნაპირზე ჩამომჯდარი – გასამგზავრებლად გამზადებული მედეა მცირეწლოვანი შვილებით და მედეას თუ მისი შვილების გადიას – აღმზრდელის შავი კაბითა და შავი თავსაბურავით მოსილი ქალის დადარდიანებული სახე – სევდის მომგვრელი სურათია.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ბიჭვის – ფიჭვის ტყეში, კოლხეთის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა მედეას დიდი ქვის ძეგლი. მედეა შიშით გასცქერის ზღვას და საჩქაროდ შორს გამგზავრებას ლამობს. იქვე, მის გვერდით, მიწაზე სხედან მისი შვილები. მოქანდაკის მიერ ქმრის ღალატით გაუბედურებული, კორინთოს სამეფოდან გამოდევნილი ქალის გამოქცევის მომენტია ასახული (**ნათელა ფოფხაძე.** მედეა და იასონი მხატვრობაში და ქანდაკებაში, გაზ. **„დიოსკურია"**, 2008, მარტი, №49, გვ.7.).

ნ. ფოფხაძე, მიუთითებს, რომ მედეასა და იასონის – კოლხეთის ძველი ისტორიის ამსახველი ნახატი და ქანდაკება მრავალი ქვეყნის მუზეუმშია გამოფენილი. რომ XVI საუკუნიდან ეს თემა იმდენად საყურადღებოდ იყო მიჩნეული, რომ დიდი ზომის ნახატებს უკვეთავდნენ და კედლებზე გასაკრავად ხალიჩებს, გობელენებს ქსოვდნენ. ერთ-ერთი დღესაც გამოფენილია ლონდონის ეროვნულ-სახელმწიფო მუზეუმში.

კიდევ ორიოდე მაგალითი: ქ. ლონდონში მდებარე ბრიტანეთის მუზეუმში არის XIII საუკუნის ხელნაწერი წიგნი მსოფლიო ისტორიაზე, რომელშიც სამ ფერად სურათში ასახული იასონის ყოფნა მეფე პელიასის სასახლეში, მეფე იასონს სთავაზობს კოლხეთში გამგზავრებას ოქროს ვერძის ტყავის ჩამოსატანად. ასევე პარიზის – ორსეის მუზეუმშია გუსტავ მორის მედეასა და იასონის ფერადი სურათი. ქალაქ რომის ერთ-ერთ მუზეუმშია დაუნჯებული თეთრი მარმარილოსაგან დამზადებული დიდი ზომის მედეას ქანდაკება – გრძელი კაბით შემოსილი. შესანიშნავი სანახავია 1904 წელს დიდოსტატ ჰერბერტ დრაპერის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებული ტილო, რომელზეც აღბეჭდილ სცენას მხატვარმა **„ოქროს საწმისის – ტყავი"** უწოდა. ნახატი გამოფენილია ქ. ლონდონის ბრედონის მუზეუმში. 1910 წელს რუსსალე ფლინტის ნახატს ეწოდება **„მედეა-იასონი-ოროფაში-ორფევსი და ურჩხული"** (სიტყვა **„ოროფა"** მეგრულია და სიყვარულს, ტრფობას ნიშნავს). XX საუკუნის ოც და ოცდაათიან წლებში და შემდეგ პერიოდში ზღვებში და ოკეანეებში დაცურავდა ორი უცხოური გემი **„მედეა"** და **„იასონი"**. ათიოდე წლის წინათ აშშ-ში შექმნეს ოკეანეებისა და ზღვების წყლის სიღრმის მზომი ორი ხელსაწყო „**მედეა"** და **„იასონი"**. ეს ორი ხელსაწყო ერთმანეთის გარეშე ვერ მუშაობს, ამიტომ დაარქვეს ასეთი სახელები.

საინტერესოა პინდარის მიერ მოხსენებული **„შავთმიანი კოლხების"** ხელოვნება, რომელიც კარგად ცნობილი იყო ძველ საბერძნეთში, ათენში ნაპოვნ ჰიდრას აწერია: **„კოლხის მიერ ვარ გაკეთებული"**. ასევე არის წარწერა **„კოლხმა მომხატა"**.

IV საუკუნეში რომის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში ნახსენებია: **„რომის ხელისუფლების გარეშე მყოფი კოლხთა იმპერია"** (**იაკობ ახუაშვილი.** ოდიში საერისთაო და სამთავრო, საუფლისწულოები ოდიშის სამთავროში, გაზ. **„დიოსკურია"**, 2003, ნოემბერი, №28.).

წამალმცოდნე სოკრატ სალუქვაძის თხოვნით ქართველმა მხატვარმა დახატა მედეა გრძელი კაბით სამკურნალო წამლის დამზადებისას და გაუკეთა წარწერა ლათინურად **„კურა მედიანა"** ანუ **„მედიასეული მკურნალობა"**, რომელიც წლების მანძილზე ამშვენებს ქ. თბილისის ცენტრში მდებარე ნომერ პირველ აფთიაქს – ქალაქის საბჭოს (მერიის) ყოფილ შენობას (ფასადს).

ბათუმში ქალაქის ცენტრში დაიდგა მედეას ძეგლი, რომელშიც გამოსახულია კოლხეთის ერთ-ერთი ტერიტორიული ნაწილის – მედეთის მეფე ქალი მედეა თავის გარეგნული სიმშვენიერით და გრძელი სამოსით, მაღლა აწეული ცალი ხელით ვერძის ოქროს ტყავი აუზიდავს. მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი მედეას ქანდაკება ლამაზია და ამშვენებს ქალაქს. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც თქვეს: რა უნდა კოლხი მედეას ქანდაკებას აჭარაშიო? აჭარაში მცხოვრებმა მურმან დუმბაძემ პრესაში განაცხადა **„მედეას არავითარი კავშირი არა აქვს აჭარასთანო"** (**მურმან დუმბაძე.** არწივის ნაცვლად ახლა **„მედეა"** გადმოყურებს ბათუმს. გაზ. **„ალია"**, 2007 წ. 20 ივნისი. ბატონმა მურმან დუმბაძემ, ალბათ იცის, რომ მისი გვარი მეგრული წარმომავლობისაა. დიდმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ კარგად იცოდა, რომ მისი გვარი დუმბავა იყო). ჯერ ერთი აჭარის მოსახლეობა ლაზური წარმოშობისაა; ისიც, რომ, არა მარტო აჭარა, არამედ მთელი იმერ-ამიერი საქართველო (და არა მარტო საქართველო) კოლხეთი იყო; ცნება აჭარა ძალიან გვიან გაჩნდა. მედეას კავშირი აქვს არა თუ აჭარასთან, არამედ ნებისმიერ ქართულ კუთხესთან, აჭარა ხომ კოლხეთი იყო (თუ ასე მივუდგებით საკითხს, მედეას მეტი კავშირი აქვს აჭარასთან, ვიდრე დუმბაძეს აჭარასთან).

უძველეს ეპოქაში კოლხეთის სამეფო დასახლებული იყო სხვადასხვა ტომებით: ხალდები, ხალბები, კარდუხები, კასკები, ჰენიოხები, შკვითინები, მანრალები, კორაქსები, ტობალები, ტაბალები, სანები, დრილები. იმ ტერიტორიას რომელსაც შემდგომში დაერქვა აჭარა, კოლხეთის სამეფოს რიგითი ტერიტორია იყო. ეს ტომები იყვნენ მეგრული ტერიტორიალური ჯგუფები და ამ სახელით იწოდებოდნენ იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ.

მ. დუმბაძის პასუხად იძულებული ვარ გავიმეორო ნათქვამი: ძვ. წ. IV საუკუნემდე კოლხეთის სამეფო ერთიანი ქვეყანა იყო და მეწამული ზღვიდან, კასპიის ზღვამდე (ჰეროდოტე) მთელ სამხრეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ, რომელთა სასაუბრო იყო კოლხური (მეგრული) ენა. მეცნიერების მიერ დადასტურებულია, რომ კოლხური ენა იგივე მეგრული ენაა.

მაშასადამე, აღნიშნულ ეპოქაში მეგრული ეთნოსი ფაქტობრივად ზოგადეროვნული ეთნოსი იყო.

**„როდესაც კოლხეთის (ეგრისის) სამეფო დაიშალა (ძვ. წ. IV ს.), მის აღმოსავლეთ ნაწილში – ტერიტორიებზე წარმოჩნდნენ იბერიისა და ალბანეთის სამეფოები. ბუნებრივია, ეს ამ სამეფოების მკვიდრები, იბერები და ალბანელები, კოლხების (მეგრელების) შთამომავლები იყვნენ, ხოლო იბერულ (ქართლურ) და ალბანურ ენებს საფუძვლად დაედო კოლხური (მეგრული) ენა"**. I-II საუკუნეებიდან ეგრისის სამეფოში შეიქმნა ლაზიკის – ჭანეთის, აფხაზეთისა და მარგვეთის საერისთაოები, რა თქმა უნდა მეგრული მოსახლეობით – ამას რაიმე ეთნიკური ცვლილებები არ გამოუწვევია (ა. შონია).

როგორც კარგადაა ცნობილი, მკურნალობის ხელოვნებას მედეას სახელის მიხედვით, მისი სახელის უკვდავსაყოფად მედიცინა უწოდეს.

აგნი იოგას ქართველი სპეციალისტი თამაზ თავაძე მიუთითებს, რომ **„დღეს ტიბეტში იოგით მკურნალობენ, ის მედეას დროიდან, კოლხეთიდან არის გადასული, რომ „იოგა" მეგრული სიტყვაა, ხოლო იოგას ხელოვნებას ბევრად უფრო ადრე ფლობდნენ კოლხეთში, ვიდრე მისი ოსტატობით დღეს ასე განთქმულია აღმოსავლეთი. ყველა მაკავშირებელს სხეულში ქართველებმა იოგები დაარქვეს. მე ვამტკიცებ, რომ კოლხი მედეა იოგის უმაღლეს საიდუმლოს ფლობდა... მედეა აგნი იოგას კი არა, ადამიანის ფიზიკური, მორალური და სულიერი ძალების მართვის საიდუმლოს ფლობდა"**, – წერს თამაზ თავაძე.

თამაზ თავაძეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: **„ცნობილი გერონტოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი მძიმედ დაავადებულა, ხსნა ვერსად უპოვია, ტიბეტში წასულა, იქ მოურჩენიათ. უთქვამს საქართველოდან ვარო. ვერაფერი გაუგიათ, სად იყო საქართველო, კოლხეთი უხსენებია მალხაზს და გაოცებულან, კოლხეთიდან აქ რატომ ჩამოხვედით, ჩვენ დღემდე ვსწავლობთ კოლხურ მედიცინას და ჯერაც ვერ ჩავწვდომივართ მის საიდუმლოსო"**. თ. თავაძე აგრძელებს: **„იოგას ხელოვნების საიდუმლო ინახებოდა „ოქროს საწმისში", რომლის მოტაცებაც მხოლოდ მედეას საშუალებით შეძლეს ბერძნებმა და ამის შემდეგ გაბრწყინდა ძველი საბერძნეთი. „ოქროს საწმისის" სრულად შეცნობა დიდ სამსახურს გაუწევს ჯარისკაცებს, ალპინისტებს, მეზღვაურებს, მეშახტეებს – ნებისმიერ გამოუვალ სიტუაციაში ასწავლის როგორ აიტანონ უწყლობა და სხვა რამ". („რა მოიტაცეს ბერძნებმა კოლხეთიდან".** მე ვამტკიცებ, რომ კოლხი მედეა იოგას უმაღლეს საიდუმლოს ფლობდა. გაზ. **„კვირის პალიტრა"**, 2004, 2-12 დეკემბერი, გვ. 27, თამაზ თავაძის ინტერვიუ ეკა ლომიძესთან.)

გერმანელი მეცნიერი კ. შპრენგელი მედიცინის ისტორიისადმი მიძღვნილი თავის ხუთტომიან **„მსოფლიო მედიცინის ისტორიას"** კოლხური მედიცინით იწყებს. ეს არ შეიძლება შემთხვევითი ფაქტი ყოფილიყო. ქართული ხალხური მედიცინის შესახებ უძველესი დროიდან – მესამე, მეორე ათასწლეულიდან მოიპოვება უმდიდრესი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორური მასალები.

ისიც მინდა ვთქვა, რომ საქართველოს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავლად ჰყავდა გამოჩენილი, ბრძენი ქალბატონები. სტრაბონი წერს: კოლხთა მეფის პოლიმონის სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი მეუღლე, ფრიად გონიერი, ჭკვიანი, იშვიათი, ღირსეული ადამიანი პითადორა ავიდა და ქვეყანას წარმატებით მართავდა.

წარღვნის შესახებ ლეგენდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. როგორც აღნიშნავენ ძვ. წ. 8499 წელს (ივნისის დასაწყისში) ატლანტის ოკეანეს დაეცა ასტეროიდი, რამაც გამოიწვია ატლანტიდის დაღუპვა. ერთ-ერთი უძველესია გილგამეშის ეპოსი, სადაც წარღვნის გმირად ნახსენებია ზიუსუდრა. გილგამეშის ეპოსში მოცემული გმირები: სუმბაბა, ენქიდუ, უთუ, არურუ, აგრეთვე მაშუს მთა, თვით გილგამეშიც, როგორც ჩანს, მითითებულია ლაზურ-მეგრულ (ჭანურ) ენაზე. მხოლოდ ზისუდრა არ არის მეგრული სახელწოდება, რომელიც, ეტყობა, შემდგომში შუმერების მიერ არის გადაკეთებული.

გილგამეში გამოყვანილია როგორც ენერგიული და გამბედავი ახალგაზრდა მეფე, რომელიც შუმერული და აქადური ეპოსის გმირია. ამტკიცებენ, რომ გილგამეშის ლეგენდა დაედო საფუძვლად გმირებს ბერძნებისას – ჰერაკლეს, რომაელებისას – ჰერკულესს, ქართველთა – ამირანს და ერემხუტუს (არამხუტუს-კოლხეთი). პირიქით ხომ არა? ამირანის და არამხუტუს ლეგენდა ხომ არ დაედო საფუძვლად სხვა გმირებს – გილგამეშის, ჰერაკლეს, ჰერკულესის ლეგენდებს?

**„შუმერული"** მითოსური კუნძულის სახელწოდება **„დილმუნი"** ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა. დილმუნში ქვრივ-ობლები არ არიან, ყვავ-ყორნები არ ჩხავიან, ლომი არავის ერჩის, მგელი ბატკანს არ გლეჯს და სხვა. დილმუნი წმინდა და უბიწო ადგილია: აღაპა და შვიდი აფქალი დღესაც იხმარება მეგრულად, უფრო მთიან ადგილებში; ასევე ენქიდუ, სუმბაბა, მარდუქი, ენქიეა და სხვები მეგრული წარმომავლობის სიტყვებს ემთხვევა. **„შუმერული"** მითების მსგავსი ზღაპრები მრავლად არის მეგრულ-სვანურში (მასალები მოტანილი გვაქვს **ბადა (ნეგუსის)** სოფიას შრომიდან, ლაზ-მეგრელთა ჩვენს ..., გვ. 96-97.).

როგორც ცნობილია, **„შუმერები"** და პელაზგ-კოლხები ურთიერთშორის დიდ კულტურულ გავლენას ახდენდნენ. ისე, როგორც, **„შუმერები"**, კოლხები დიდ პატივს სცემდნენ მთვარის ღვთაება **„ნანა"-ს** – დედას და მას კოლხები (მეგრელები) განუზომლად თაყვანს სცემდნენ და სცემენ. სამეგრელოს ყველა კუთხეში მშობელ დედას **„ნანა"** ჰქვია და ოთხი თუ ხუთი ათასი წლის წინ ამ ღვთაებრივ სახელ **„ნანა"-ს** ულამაზეს სიმღერებს უმღეროდნენ: **„ნანაია ნანა"**, **„ნანასქუა"**, **„დიდოუ ნანა"**, **„ვოვნანა"**. ასევე, თავიანთი სახელმწიფო **„აია"-ს** სადიდებლად შეუქმნიათ ეგრისელებს (კოლხებს) დაახლოებით ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ ისეთი ულამაზესი სიმღერები, როგორიც არის **„ოდოია"** – მთვარის ღვთაება **„ნანა"-ზე** და იგივე დედაზე. ეს სიმღერები შექმნილია ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე. **„შუმერებსაც"** სიმღერები ჰქონდათ თავიანთ ქალაქ ერეხეთზე და მთვარის ღვთაება **„ნანა"-ზე**. მეგრელებსაც აქვთ სიმღერა ერეხეთზე – **„ერეხეთ მერეხეთი... ერეხეთ ვორექ, მერეხეთ ვორექ"...** ამ სიმღერას დღესაც მღერიან სამეგრელოში

**კლიმენტი შელია,**

**პროფესორი,**

**მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# არნო ხიდირბეგიშვილი: „საქართველოს სააკაშვილის ორეული მართავს!“



მიხეილ სააკაშვილი დააპატიმრეს და მის ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტად ორეული მუშაობს! – ასეთი ეჭვი დიდი ხნის წინ გამიჩნდა და ის ყოველდღიურად დასტურდება. თავად განსაჯეთ: მეფე ნამდვილი რომ იყოს, განა წინასაარჩევნო პერიოდში ტყავიდან არ გამოძვრებოდა, რათა აშშ-ისა და ევროპისთვის თავისი დემოკრატიულობა ეჩვენებინა, ხალხის წინაშე დანაშაულები როგორღაც გამოესყიდა და ამით არჩევნებზე გაემარჯვა?!

სინამდვილეში კი რას ვხედავთ?! სრულიად საპირისპიროს! მრავალიდან მხოლოდ რამდენიმე უკანასკნელ ფაქტს მოვიყვან, დანარჩენი კი მკითხველმა განსაჯოს.

**ფაქტი №1.** რა არის ქვეყანაში დემოკრატიის უმთავრესი კრიტერიუმი? რა თქმა უნდა, არა სასტუმროების, შადრევნებისა და რესტორნების რაოდენობა, არამედ ადამიანის უფლებების დაცულობა, სიტყვის, ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების საქმიანობის თავისუფლება. ივანიშვილის **„ქართული ოცნების“**, ტელეკომპანია **„მაესტროს“** დევნა, **„საქინფორმზე“** ლიბერასტების თავდასხმის ჯერაც გამოუძიებელი საქმე (რომელიც მალე სტრასბურგში აღმოჩნდება): განა მიშა, ის რომ ნამდვილი იყოს, ასეთ უმსგავსობას დაუშვებდა?! მიშა –უდიდესი დემოკრატიზატორი და რეფორმატორი, რომლის იუსტიციის სახლებით აღფრთოვანებული ლორდები და ლორდიხები ამასწინათ ლონდონში ლორდთა პალატაში ერთმანეთს ქოლგებით დაერივნენ?!

**ფაქტი №2**. ორი თვის წინ **„ასავალ-დასავალთან“** ინტერვიუში ვთქვი, რომ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა **„თელასის“** ყიდვის სურვილი გამოთქვა, ხელისუფლება, არჩევნების წინ მოსახლეობის მოსყიდვის მიზნით,იმ აბსურდულ დადგენილებას გააუქმებს, რომლითაც ნაგვის კომუნალური გადასახადი დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობას მიება. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი – დღეს ამ დადგენილებას მართლაც აუქმებენ, მაგრამ უარესი რამ მოიფიქრეს: ახლა ნაგვის გადასახადი მიებმება... გადასახადის გადამხდელის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობს! ესე იგი, ნახევრად მშიერმა თბილისელებმა, რომლებსაც გადასაყრელი ბევრი არც არაფერი აქვთ, ახლა ნაგვის გადასახადი საკუთარი ბინის კვადრატურის პროპორციულად უნდა იხადონ?! განა პიარის ოსტატი სააკაშვილი, ის რომ ნამდვილი ყოფილიყო, ხმის მიცემამდე სულ რაღაც ორთვენახევრით ადრე ელექტორატს ასე გაანაწყენებდა?!

არადა, ეს ხომ იმისათვის კეთდება, რომ ძირძველი თბილისელები ძველი თბილისის ამჟამად პრესტიჟული ცენტრალური რაიონებიდან, მე-19 საუკუნის ევროპული არქიტექტურის სტილის ულამაზესი სახლებიდან გამოაძევონ, სადაც ბინები, მომიტევეთ, **„ხრუშჩოვკებზე“** ბევრად დიდია! **„პენსიონერებო და უმუშევრებო, ფართობის მიხედვით ნაგვის გადასახადის დაფარვა არ შეგიძლიათ?! ქალაქის გარეუბნებში, კორპუსებში გადადით საცხოვრებლად და ამიერიდან ფეხები იქამდე გაჭიმეთ, სადამდეც საბანი გაგწვდებათ! თქვენს ყოფილ ბინებში კი ფულიანები შევლენ!“** – აი, იმ ხელისუფლების ახალი ჩანაფიქრი, რომელსაც სააკაშვილის ორეული ხელმძღვანელობს...

დიახ, სწორედაც რომ ორეული, რადგან ნამდვილ სააკაშვილს თავისი გადაწყვეტილებები არასდროს გაუუქმებია: ვინმეს ახსოვს, რომ მიშას უკან დაეხიოს?! არავის! ესე იგი, ან მიშა ნამდვილი არ არის, ანდა... ხელისუფლებამ თავისი გადაწყვეტილების მცდარობა აღიარა! და აქ ერთბაშად ორი კითხვა იბადება:

პირველი – თუ დადგენილება, რომლითაც ნაგვის კომუნალური გადასახადი დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობას მიება, ხელისუფლებამ მცდარად ცნო, დაუბრუნდებათ თუ არა გადასახადის გადამხდელებს ამ მცდარი დადგენილების მოქმედების მთელ პერიოდში გადახდილი თანხა?

მეორე – თუკი ეს დადგენილება მართლზომიერი იყო, ხომ არ გვევლინება მისი გაუქმება საპარლამენტო არჩევნების წინ მოსახლეობის პირდაპირ მოსყიდვად?!

**ფაქტი №3**. ნუთუ პრეზიდენტ სააკაშვილს დაავიწყდა, 2003 წლის ნოემბერში, **„ვარდების რევოლუციამდე“** ორიოდე დღით ადრე, თუ როგორ ურიგებდა მისი თანამებრძოლი (დღეს რომ მაღალი სახელმწიფო პოსტი უკავია) პარლამენტის გვერდითა შესასვლელთან 10, 20, 30 ლარს **„რევოლუციონერებს“**, რომელთა წყალობითაც ეს **„რევოლუცია“** შედგა?! რა თქმა უნდა, ნამდვილ მიშას ეს ახსოვს და ამიტომ რა სახით დაადანაშაულებდა დღეს ივანიშვილს მოსახლეობის მოსყიდვაში?!

**ფაქტი №4.** ახალი სამთავრობო პროგრამა **„მეტი სარგებელი ხალხს“**, რომელიც მოსახლეობის საყოველთაო დასაქმებას ითვალისწინებს (ესე იგი, მთელი ეს წლები სხვა პროგრამა – **„მეტი სარგებელი ხელისუფალთ“** – მოქმედებდა?!). განა სააკაშვილი, ის რომ ნამდვილი იყოს, არ მოინდომებდა, დანაშაული გამოესყიდა უფროსი თაობის წინაშე, რომლის ჩარეცხვისკენმოუწოდებდა, როგორც მძიმე საბჭოთა წარსულის უსარგებლო გადმონაშთის?! რა თქმა უნდა, მოინდომებდა, განსაკუთრებით – არჩევნების წინ!

ჩვენ კი რას ვხედავთ?! დასაქმების ახალი სამინისტროს აგენტები უმუშევრების მონაცემთა ბანკის შესაქმნელად თითოეულ ოჯახში რეკავენ და თავიდანვე აზუსტებენ: **„დაგვისახელეთ უმუშევრები თქვენს ოჯახში, მაგრამ მხოლოდ 20-დან 40 წლამდე, თუ ასეთები არ გყავთ, და თუ არა, კარგად ბრძანდებოდეთ!“**. ასე უფუჭებენ იმიჯს სააკაშვილს მტრები, რომლებმაც ის ორეულით შეცვალეს...

**ფაქტი №5.** სტიქიური უბედურება კახეთში, რომელიც კრასნოდარის სტიქიური უბედურების კვალდაკვალ მოხდა (რუსეთსა და საქართველოში სტიქიური უბედურებებიც კი ერთდროულად ხდება!..). „სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას 150 მილიონი ლარი სჭირდება!“ – პრეზიდენტ სააკაშვილის ორეულმა იგივე ციფრი დაასახელა, რომლითაც მანამდე ოპოზიციონერი ივანიშვილი დააჯარიმა... და საქმე აქ ის კი არ არის, რომ უსამართლოდ ექსპრორირებული არასდროს არავის შერგებია, არამედ ის, რომ, მიშა ნამდვილი და არა ორეული რომ ყოფილიყო, პირდაპირ სთხოვდა ამ ფულს ბიძინას, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა, და არ დააჯარიმებდა მას და თან ამისთვის კანონებსა და კონსტიტუციაში სპეციალურად ათობით შესწორებას კი არ შეიტანდა!

**ფაქტი №6.** ჩვენი უმაღლესი მთავარსარდალი ნამდვილი რომ იყოს და არა ორეული, განა ის სტიქიური უბედურების ზონებში რეზინის კალოშებით ირბენდა?! განა უმაღლესი მთავარსარდალი (სტალინს ვგულისხმობ) ომს მოიგებდა, თავის **“სტავკაში”** ჯდომის ნაცვლად ერთი ბრძოლის ველიდან მეორეზე რომ ერბინა და მეთაურები ეკონტროლებინა?!

მთავარსარდალმა ხელქვეითებს უნდა უმთავარსარდლოს, თუკი მათ ენდობა: რისთვის დაქრის მიშა რაიონებში და თავისი იქ ყოფნით ადგილობრივ ხელისუფლებას პირდაპირი მოვალეობების შესრულებაში ხელს უშლის?! სად დაიძინებენ პრეზიდენტი და მისი დაცვა, რის მირთმევას და დალევას ინებებენ, რა ვქნათ, თუ მას მშვენიერ სქესთან გართობა მოუნდება, რა დაუჯდება რაიონის ბიუჯეტს ეს ექსტრიმი? – აი, რით ჰქონდათ ამ დღეებში თავი დამატებით დაკავებული საბრალო რაიონულ ხელმძღვანელებს...

პასუხი მარტივია: რაიონებში სირბილი სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნო პიარი და სწორედ ის მოსახლეობის მოსყიდვა, რომელშიც სააკაშვილის ორეული ხელაღებით ადანაშაულებს ივანიშვილს! იმიტომ, რომ ნამდვილმა მიშამ კომკავშირული სკოლა გაიარა და, თავისი ორეულისგან განსხვავებით, მშვენივრად არჩევს, სად პროპაგანდა და აგიტაციაა, სად – მოსყიდვა, სად კი – პიარი!

**ფაქტი №7.** ნამდვილი სააკაშვილი არასოდეს გადაწყვეტდა ახალი პარლამენტის აშენებას ქუთაისში, რადგან თბილისში ძველის რემონტზე სულ ცოტა ხნის წინ მილიონობით ლარი დაიხარჯა, მათ შორის, ეზოს ძვირადღირებულ საფარზე, სადაც პრეზიდენტი მაღალ სტუმრებს იღებდა. ახალი პარლამენტის მშენებლობაზე დახარჯული ფული კი (შენობის მოწყობა, სამსახურებისა და არქივის გადასვლა, პარლამენტარებისათვის დაქირავებული ბინების გადასახადი და საწვავისა და ავტომობილების მიმდინარე ხარჯები რომც არ ჩავთვალოთ) ათობით სტიქიური კატასტროფის ლიკვიდაციას ეყოფოდა!

და განა ნამდვილი მიშა (რომელსაც საშინლად აკრიტიკებენ იმისთვის, რომ ყველა სტრატეგიული ობიექტი და ქართული ეკონომიკის მთელი დარგები რუსულ კაპიტალს მიჰყიდა!) რუსეთის მთავარ მოკავშირეს – ჩინეთს – პარლამენტს მიჰყიდდა? ისტორიულ შენობას თბილისის ცენტრში, საქართველოს მთავარი მოედნიდან – თავისუფლების – ორიოდ ნაბიჯში, რომლის წინ ქართველისსისხლი ბევრჯერ დაღვრილა?!

როგორც ამბობენ, ეს, პრაქტიკულად დაუნგრეველი შენობა, დანგრეული მართლმადიდებლური ტაძრის ადგილას აშენებული, ჩინელ ბიზნესმენებს მიჰყიდეს, რომლებიც საქართველოში მცირე ბიზნესის შთამბეჭდავ სეგმენტს ფლობენ; რომლებიც საქართველოში უკვე 100 ათასზე მეტნი არიან; რომელთა უმეტესობა გაჭირვებულ, უმუშევარ, მაგრამ ბინისა და რეგისტრაციის მქონე ქართველ ქალებზე დაქორწინდა...

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ნორჩი ვერა ქობალიას საყურადღებოდ: დადის ხმები, რომ ჩინელები პარლამენტის, სოცრეალიზმის საუკეთესო ტრადიციებში აშენებულ შენობას იმიტომ ყიდულობენ, რომ იქ მაო ძედუნის მუზეუმი მოაწყონ, ხოლო ეზოში, შადრევანთან, უმაღლესი მთავარსარდლის ნეშტი გადმოასვენონ (ისევ სტალინს ვგულისხმობ).

ამის შემდეგ ჩინეთის ხელმძღვანელობა დაავალდებულებს ყველა ჩინელს – ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოინახულონ დიადი მესაჭის – მაო ძედუნის მუზეუმი და მისი დიადი მეგობრის – გენერალისიმუს სტალინის საფლავი!

წარმოგიდგენიათ, როგორ გამდიდრდება საქართველო ჩინური კულტურული ტურიზმისაგან, როგორი მდგრადი გახდება ამის შემდეგ ქართული ეკონომიკა?! მოსვლია თავში ამგვარი ბიზნესიდეა ჩვენს პატარა ვერას?!

**ფაქტი №8**. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ თბილისში აფხაზეთის რაიონების რამდენიმე ათეული ყოფილი მკვიდრი მუშაობს (ენა არ მიბრუნდება, ეს ადამიანები დევნილებად მოვიხსენიო!) – ძალზე მცირერიცხოვანი, მაგრამ სოლიდურად უზრუნველყოფილი კატეგორია ნაძირალებისა, რომლებსაც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და დევნილების აფხაზეთში დაბრუნება ხელს არ აძლევს, რადგან მათ, სამხედრო დამნაშავეებს, ფიცის გამტეხ ყოფილ „კაგებეშნიკებს“ და სხვა ჯურის მოღალატეებს, აფხაზეთში აღარ ჩაესვლებათ! მხოლოდ ომით, რომლის ტალღაზეც იმედოვნებენ იქ დაბრუნებას, მაგრამ არა ჩვეულებრივ დევნილებთან ერთად, არამედ სამხედრო ხუნტის სათავეში, რომელიც, მათი იმედებით, იქ სისხლიან დიქტატურას დაამყარებს და ანგარიშსწორებას დაიწყებს...

ისინი თბილისშიც იმავეს ამზადებენ: სააკაშვილის ორეულის მიერ გაყალბებული არჩევნების შემდეგ, რომელშიც **„ნაცმოძრაობა“** გაიმარჯვებს, სპეცსამსახურთა კმაყოფაზე მყოფი ეს სექსოტები დედაქალაქში **„გრძელი დანების ღამის“** მოწყობას ლამობენ. მათ ბლოგებზე სხვაგვარად მოაზროვნეებთან ანგარიშსწორებისა და სამეგრელოში შექმნილი სახალხო ლაშქრის აფხაზეთში პარტიზანული ომისთვის გამოყენების (თანაც – წელსვე) კონკრეტული გეგმები დევს!

სააკაშვილი (რომელიც რუსეთთან თუნდაც რაიმე ურთიერთობის დასამყარებლად პუტინთან გასვლის ნებისმიერ გზას ეძებს!) ნამდვილი ნიკოლოზოვიჩი და არა – ღმერთმა უწყის, ვისოვიჩი, რომ ყოფილიყო, განა სასწრაფოდ არ დააპატიმრებდა ამ პროვინციელ პროვოკატორებს, რომლებიც სახელს უტეხენ მას, რუსეთს არაორაზროვან სიგნალებს უგზავნიან საქართველოს ხელისუფლების ვითომდა დივერსიული ზრახვების შესახებ, თანაც სწავლება **„კავკასია-2012“**-ის პერიოდში?! და ამით სამხედრო ჩარევის (სულ ცოტა, პრევენციული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ჩატარების)საბაბს აძლევენ?!

***P.S.კეთილი, საქართველოს სათავეში ორეულია, მაგრამ ნამდვილი სააკაშვილი სადღაა? – იკითხავს მკითხველი.***

***ნუ ღელავთ, ის ცოცხალი და საღ-სალამათია! როგორც ამბობენ, ის დაამწყვდიეს ციხესიმაგრე იფ-იფ-იფ-ში, სადაც მიშა ხინკლისა და ქალების ნაკლებობას არ განიცდის, ოღონდ სახე რკინის ნიღაბში აქვს ჩაჭედილი...***

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

## პოეზიის კუთხე



### ჩქიმ მარდუალ ოჩამჩირე

ჩქიმ მარდუალ ოჩამჩირე,
ჩქიმი უმშო, მუჭო რექი?
დღასი მუჭო ითანუა,
სერსი მუჭო გაჩინექი.
ამდღა სქანდე შორს ვორექ,
კაკლარ-ბარდით იფორექი,
მარგალ კოჩიქ ვადირთუ და,
დამიჯერი – დინთხორუქი.
ჩქიმ ილორი დო ბედია,
მოქვი მუშენ ვარეკუნქი,
ჩქიმი შური თექი რენ დო
მუშენირე ვამძახუქი.
ქაგურგინე სქანი ზარი
მტერსი ქოხირცქი ბორზალი,
ურჯულეფი გეშაათი,
ქიგარზ დაჩხირიში ალი.
ჩქიმი მოხანდე კათეფსი
ქალუოდირთი, ქიმეხვარი.
ჭვირი დგუდგილი ამდღა რენდა
მოუსქვამი ოზე-კარი.
ვადებჯერქი ოჩამჩირე
ჩქიმი უმშო სერით ლუქი,
ვარა ჰამას ირძღუქუდო,
უდარდელათ ღვინსი შუნქი.
სქანი უმშო მა ვებრგუქი,
მუჭოთ ჩიჩქი უდიდეთი,
ოჩამჩირე ქიგიგალე
ჩქიმი ჟირიხოლო ხეთი.
დობღურუქუნ ქეგომშინი,
სქანი გურშენ ფჩხუფენდინი,
სუმონეჩ დო ჟირ წანერი
“ტანკით” გილებრულედინი.

**ავერიკო თორია**

# „სტიქიურ უბედურებებში დამნაშავე ხელისუფლებაა!“

კახეთში და სხვა რეგიონებში მომხდარ სტიქიურ უბედურებას **„ეკოლოგიური სამართლის ცენტრი“** ტყეების გაჩეხვის შედეგად შეცვლილ ეკოლოგიურ მდგომარეობას უკავშირებს.

ცენტრის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის შეფასებით, საქართველოს ტყეებში ვითარება კატასტროფულია, ხელერთპირად განადგურებულია ქარსაფარი ზოლები და სოფლების გარშემო არსებული ტყეები, ყოველწლიურად 2 მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყე ხელისუფლების წაქეზებით ბრაკონიერულად ნადგურდება, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს მთავრობას ეკისრება.

**„ეკოლოგიური სამართლის ცენტრში“** გამართულ პრესკონფერენციაზე მჟავანაძემ აღნიშნა, რომ 1990 წლის მონაცემებით, სატყეო მეურნეობის დაფინანსება 23 მილიონ ლარს შეადგენდა, დღეს კი, 7 მხოლოდ მილიონი ლარია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს ტყის გაჩანაგების აღკვეთის პოლიტიკური ნება.

მჟავანაძის განცხადებით, ტყეების გაჩეხვა სტიქიურ უბედურებებს მომავალშიც გამოიწვევს.

**გაზეთის ეს გვერდი ეძღვნება შესანიშნავ მამულიშვილსა და შემოქმედს, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" აქტიურ წევრს მისი დაფუძნების დღიდან, ქართული ეროვნული მოძრაობის ვეტერანს, ბატონ რინოს კვარაცხელიას, რომლის ლექსებსაც გთავაზობთ:**



### ამ ფერებს მიღმა

სატანა უფლის
ნიღაბს იფერებს
და თხზავს უღმერთო
ლექსს და სიმღერებს...
ამ შადრევნების,
ამ ფერებს მიღმა, –
ჯადოსნურ კვერთხით
ავ ზრახვებს ნიღბავს...
თვალთაგან მისი
ცრემლებიც წვეთავს;
ერთი სული აქვს, –
ირწმუნონ ღმერთად.
თუმც "სათნოება"
წინ უძღვის შირმად, –
საწადელს მისას
დრო მაინც შიფრავს.

### აბობოქრდება ერი და...

სამშობლოს დამარცხებასა,
ვინც გამარჯვებად თვლის, –
ის ჩვენი სისხლისმსმელია,
ჩვენი მტერია ის.
ვინც საქართველოს ბედ-იღბალს
სხვა ქვეყნის თარგზე ჭრის, –
ისაა ჩვენი დამქცევი,
ჭირზე გვიმატებს ჭირს.
წასაგებ ომს შეახოცა
მზეჭაბუკები ვინც, –
ის მოყვრის როლს თამაშობს და
საქმეს აკეთებს მტრის.
ომში ნამდვილი "ჯომარდი"
ეჯაჯგურება ცხვირს, –
ქართველი ხალხი, რომელსაც
ფარა გონია ცხვრის.
მავანს რად უჩანს რაინდად,
ვინც მამულს აცლის ღდინს, –
აბობოქრდება ერი და
ძირს! – დაარისხებს, – ძირს!

### წრებრუნვა

დაბადებამდე ხომ არ იყავი, –
ვის ოცნებაში შარიშურობდი;
ცაში სახლობდი, თუ დაფრინავდი,
თავად მდუმარე დუმილს გუობდი.
დაბადებამდე ქარს დაჰყვებოდი,
თუ იდუმალი იყავ ზმანება,
იქნებ ცვარ-ნამად ზეცას წყდებოდი
და მოიწევდი დაბლა თავნება...
ახლა რატომღაც მინდა ვიცოდე,
თუ ანგელოზის ფრთებქვეშ გეძინა? –
ვინ ჩაიფიქრა შენი სიცოცხლე,
რომ წუთისოფლის ბრუნვა გეხილა...
შენი გაჩენით გაჩნდა წუხილი,
გაჩნდა ღიმილი და მღელვარება,
მიწის კვნესა და ზეცის ქუხილი, –
დღეს შენთან ერთად რომ იარება...
აქ შუქზე მეტად უფრო მწუხრია,
ბევრი გოდებს და ეშმა ხარხარებს;
მდუმარებიდან ამ ხმაურიან
ცოდვილ მიწაზე შემოგასახლეს...
ზოგ-ზოგს ქვეყანა სურს ჩაიცოხნოს,
თითქოს ყველაფრის იყოს მომრევი;
ზოგი ამ ქვეყნად კაცურად ცხოვრობს,
ბევრიც ტივტივებს ცოდვის მორევში...
გულქვა საწუთრო მაცდურ გიხუტებს,
როს ვაგლახობენ მისი მდგმურები;
სიტკბოზე მეტად იგრძნობ სიმუხთლეს,
ვიდრე კვლავ დუმილს დაუბრუნდები.

### მონები

რარიგ მომრავლდნენ ჩვენში მონები, –
ყოფით მონურით თავმომწონენი.
ჭუჭყის მონები, კუჭის მონები,
გუშინ, გუშინწინ არას მქონენი.
ჯიპის მონები, ღიპის მონები,
მძლავრნი ქონებით, ჩლუნგი გონებით.
ისევ მონები, მონის მონები,
სატანის ძმანი, უფლის მგმობელნი,
ერთმანეთისგან განუყოფელნი, –
ერთია მათში მონათმფლობელნი.

### მე და მევალე

მე მევალენი ვნახე წუხელის,
სიზმრადაც კუშტად თვალი შემავლეს,
მე ვალი მმართებს გადაუხდელი
და ვემალები ახლა მევალეს...
მე ვალი მადევს ამ მთის და ბარის,
მე ვალი მადევს დედის და მამის,
მე ვალი მადევს მზისა და მთვარის, –
ვით გავისტუმრო ამდენი ვალი?
მე ვალი მმართებს ყოველი დღის და
მე ვალი მმართებს ყოველი წუთის;
ვალებზე ფიქრი უზომოდ მღლის და
მიახლოვდება დარდივით მწუხრი...
ჩანს ყოველ მხრიდან მომდევს მევალე,
გადახდისათვის დროც აღარ დამრჩა, –
მე ჩაფლული ვარ ვალში ყელამდე
და მიპოვიან ვალშივე ჩამხრჩვალს...

### რად აირია

ჩვენი ცხოვრება ასე უღვთოდ
რად აირია, –
მამასახლისი გუშინდელი
დღეს რომ გზირია...
ვირთხა ლომების წინამძღოლად
ვინ შეარჩია, –
ბედაურების ნაცვლად ვირებს
გააქვთ თარჩია...
რა დავაშავეთ, რის გამო ვართ
ასე წყეული, –
უფლის ადგილზე თავს იწონებს
ეშმაკეული...
ჩვენში სულელიც ბრძენი კაცის
ადგილს იფერებს, –
ყვავი გამხდარა მგალობელი
და ყელს იღერებს...
ჩვენი ცხოვრება ასე უღვთოდ
რად აირია, –
ბევრი ჯაბანი გუშინდელი
დღეს რომ გმირია...
თუმცა სჯობია უკადრისი
არვინ იკადროს:
დროა ისეთი უწმინდურიც
როცა წმინდანობს...
დროს ვნატრობ, როცა არ ვიქნები
არვის მძრახველი, –
როს დაერქმევა სუყველაფერს
თვისი სახელი.

### პოეტი

პოეტი აღარ დუმდება,
რა დაადუმებს პოეტს, –
ხშირ-ხშირად ძილი უკრთება,
იმდენ საწუხარს პოვებს...
წვა-ოცნებისთვის გაჩნდა,
ამონათებად ცისკრის,
არ მოასვენებს განცდა
და უსასრულო ფიქრი...
ფრენა-ქროლვაში დაღლილს
მოეძალება სევდა;
ისმენს იდუმალ ძახილს,
სხვისთვის უჩინარს ხედავს.
ზეცა ხსნილია მისთვის,
უფალთან რომ დგას ახლოს,
მისი ხმა ყველგან ისმის, –
თითქოსდა ყველგან სახლობს.

**რინოს კვარაცხელია**

# შემოვიღოთ ორდენი "ალისტრახო"

სახელი ალისტრახო არაქართული წარმოშობის არის და ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანის სახელს, თავისებური ახსნაც ექნება. ვეჭვობ უღირს ადამიანს, ან თვითმარქვია ჟურნალისტს ნიშნავდეს. თუმცა, ამ სახელმა საქართველოში სწორედ მსგავსი შინარსის დატვირთვა მიიღო მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ ასპარეზზე ე.წ. დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ჯგუფის, თვითმარქვიათა ბანდა გამოჩნდა, რომელთა მიზანს წარმოადგენს ერთადერთი რამ, წონასწორობა დააკარგვინონ და მოთმინებიდან გამოიყვანონ **"ინფო-9"**-ის ჟურნალისტები. ვაღიარებ, ზეწოლის ქვეშ მყოფ თითოეულ ჟურნალისტს რკინის ნერვები აქვს, ნამდვილად გამიჭირდებოდა ყველა მათგანის ადგილზე თავის ხელში ისე აყვანა, რომ საკადრისი პასუხი არ გამეცა სახე დაკარგული ადამიანებისთვის. სხვა რა ვუწოდო ამ ხალხს? – ხუთ-ხუთი ვიდეოკამერით შეიარაღებული და უზნეობით აღვსილნი დასდევენ უდანაშაულო ადამიანებს, ხელს უშლიან მუშაობაში და პიროვნულად ამცირებენ მათ.

რა არის მათი მიზანი, რომ საზოგადოებას დაანახონ, აი **"ინფო-9"**-ის ჟურნალისტები იმ სამსახურიდან არიან, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი აფინანსებსო? უცნაურია, რატომ იგივეს არ აკეთებენ **"რუსთავი-2"** -ის, **"იმედის"** და საზოგადოებრივი მაუწყებლის (მართალია, ეს უკანასკნელი საქართველოს მოქალაქეების გადასახადებით ფინანსდება, მაგრამ ფაქტია, ხალხის ინტერესების შესაბამისად არ მუშაობს) ჟურნალისტების მიმართ? რატომ არ ჰკითხავენ მათ კოპირებულივით რატომ ჰგავს სამივე არხის საინფორმაციო გამოშვებები ერთმანეთს და რატომ არ აშუქებენ რეალობას?

მიუხედავად იმისა, რომ ვინც ხელისუფლების თანამოაზრე არ არის, **"ქართული ოცნების"** მიმდევრად ითვლება, არავისტი არ ვარ. თუმცა, იმის გამო, რომ არასასურველ რეალობაში მიწევს ცხოვრება, ძალიან ბევრ რამეზე ვოცნებობ, როგორც ჟურნალისტი. ვოცნებობ, საქართველოში სრულიად დამოუკიდებელი იყოს მედია, ვოცნებობ, რომ საკუთარი მატერიალური სახსრებით შეეძლოს თავის შენახვა ყველა რედაქციას, ტელეკომპანიას და სხვა მედიასამსახურებს. ვოცნებობ, რომ ხელისუფლება არ ცდილობდეს ფარულად თუ აშკარად ყველა მედია საშუალების კონტროლს, ვოცნებობ, რომ ტელეკომპანიები და სხვა მედია საშუალებები არ იყოს დაყოფილი როგორც ხელისუფლებო, ან ოპოზიციური, როგორც ვინმეს ინტერესების შესაბამისად დაფინანსებული.

მიუხედავად იმისა, რომ მძიმე რეალობის გამო ამდენი საოცნებო მაქვს, აბსოლუტურად მიუღებლად მიმაჩნია ნებისმიერი ჟურნალისტისთვის ნებისმიერი სახით მუშაობაში ხელის შეშლა, თუნდაც ისე, როგორც ეს გააკეთა ბოლო დღეებში, სვანეთში **"ინფო-9"**-ის ჟურნალისტებს ადევნებულმა, ე.წ. დამოუკიდებელი მედიაჯგუფის ზუგდიდის **"დანაყოფმა"**, რომელსაც ტელეკომპანია **"მზის"** ყოფილი ჟურნალისტი და ღირსების ორდენის კავალერი მალხაზ ბასილაია ხელმძღვანელობდა. ამის შემდეგ ვცდილობ ჩემს თავში გავცე პასუხი კითხვას ბასილაია ჟურნალისტია? არა, ეკატერინე დუგლაძის და ნოდარ ჩაჩუას მიმართ ყოველგვარი ეთიკური კონტექსტიდან ამოვარდნილი მისი კითხვები, რეპლიკები და საქციელი ერთადერთ რამეზე მეტყველებს, მალხაზ ბასილაია, როგორც ჟურნალისტი, არაადექვატურია. არადა, როგორც მახსოვს, ის ერთხანს აქტიურად აკრიტიკებდა ხელისუფლებას, რის გამოც, როგორც ამბობენ დაისაჯა კიდეცო. დავიჯერო **"დაავერბოვკეს"** და კოლეგებისადმი მისი დამოკიდებულებაც სავარაუდო ზეწოლის შედეგია? ასეც რომ იყოს, რა გამართლებაა? თუმცა, ჯანდაბას, ჟურნალისტურ ღირსებაზე სულ ისე ხელის აღებას, სჯობს შიში იყოს ბასილაიას **"გამამართლებელი"**.

მისი, როგორც ღირსების ორდენის კავალერის ასეთი ფორმით საზოგადოებაში გამოჩენის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, რომ შემოვიღოთ ორდენი, რომელსაც პროფესიული და მოქალაქეობრივი ეთიკის მოღალატე ჟურნალისტს გადავცემთ, ორდენს კი ვუწოდოთ სახელად ალისტრახო. ბასილაიას ქუთაისელი კოლეგის, იმერელი ალისტრახოს გამო, ხომ უკვე ე.წ. დამოუკიდებელი მედიაჯგუფის ჟურნალისტებს ისედაც ალისტრახოებს უწოდებენ. შემოვიღოთ ორდენი ალისტრახო და მისი გადაცემით ვამხილოთ ისინი, ვისი მსგავსიც არასდროს არ უნდა იყოს ჟურნალისტი.

**რედაქციისაგან** – ცუდია, როცა ადამიანი ქოსმენს ჰგავს არა მხოლოდ სახიერად, არამედ თვისებებითაც! სიმსუქნე შეიძლება ვარჯიშების ან ექიმების დახმარებით მოიშორო, მაგრამ უზნეობას ვერ მოიშორებ, რადგან უზნეოები არ ხდებიან, უზნეოებად იბადებიან!

**ე. ლომიძე**



# მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანგელოზის დღე მიულოცა



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ანგელოზის დღე – ილიაობა მიულოცა.

**„თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ქრისტესმიერო მოძმევ! გულითადად მოგესალმები და გილოცავ თქვენი ზეციური მფარველის დღეს. წმიდა ილია წინასწარმეტყველის მსგავსად, მრავალი წლის განმავლობაში დაუღალავად აუწყებთ ადამიანებს სიმართლეს და ზრუნავთ თქვენზე მინდობილ საქართველოს მართლმადიდებელ მრევლზე. წმიდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვით მოგმადლოთ უფალმა გულუხვი დახმარება თქვენს მსახურებაში, მოგანიჭოთ სულიერი სიხარული და ჯანის სიმრთელე. უცვლელი ქრისტესმიერი სიყვარულით, კირილი, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი",** – ნათქვამია რუსეთის პატრიარქის წერილში.

# თელავში მყოფმა შეიარაღებულმა ძალებმა სტიქიის ზონა დატოვეს

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც ბოლო ათი დღის განმავლობაში თელავში, სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით, თელავი დატოვეს და დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ.

მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაშველო სამსახურებს, თელავში, სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

**"მინდა მადლობა გითხრათ იმისთვის, რომ გასაჭირში, ომში თუ მშვიდობაში, პირველი დამხმარე ჩვენი ხალხის, არის საქართველოს შეიარაღებული ძალები და თითოეული თქვენგანი. აქ თქვენ ხართ ჩვენი შეიარაღებული ძალების, საუკეთესო საბრძოლო შენაერთების წარმომადგენლები. თქვენ სხვადასხვა ვითარებაში მოგიწიათ თქვენი მოვალეობის შესრულება. ბევრი თქვენგანი ახლახან არის დაბრუნებული ავღანეთის ომიდან, ბევრიც ახლა მიდის. ბევრი თქვენგანი იყო 2008 წელს და გადაარჩინა საქართველოს სუვერენიტეტი, ასჯერ მეტ აღმატებულ მტერთან ბრძოლაში და დღეს საქართველო რომ დგას, ეს არის თქვენი დამსახურება. და ბოლოს, როდესაც კახეთს დაატყდა ამხელა ბუნებრივი უბედურება, რომელიც მართალია ადამიანის მსხვერპლი აგვაცილა ღმერთმა თავიდან, მაგრამ მატერიალური ზიანით არ ჩამოუვარდება იმ ზიანს, რომელიც მოგვაყენა 2008 წლის აგვისტოს ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ, თქვენ შემოხვედით აქ პირველები და პირველები გადიხართ აქედან, მაგრამ გადის ფორმიანი ადამიანი. მეც ფორმა ჩავიცვი თქვენი დიდი პატივისცემის ნიშნად და თქვენ მოგყვებიან სხვა ფორმიანი ადამიანები, რომლებიც თელავს ააშენებენ",** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, თელავში სტუმრობისას.

მოკლედ, მართლაც ვერ არის **"თავის მოტორზე"** ეს ადამიანი, რადგან იმ გასაჭირის ფონზე, რაც ამათი ავზნიანობის გამო ქვეყნის ხაზინის პრაქტიკულად დაცლის გამო გვადგას, ახლა ხალხიცა და ხელისუფლებაც ყოველ კაპიკს უნდა ზოგავდეს, რათა ოდნავ მაინც შეუწყოს ხელი სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას. სააკაშვილმა კი, იმისათვის, რომ თავის **"სიდიადეში"** დაერწმუნებინა ქართველი ხალხი, რამდენიმე ათეულ ათასობით ლარი იმას დაახარჯა, რომ ჯარი კახეთში ჩაეყვანა, იქ გადაეხადა მადლობა ხალხზე გაწეული სამსახურისათვის და შემდეგ უკან დაებრუნებინა.

თითქოს, ამის გაკეთება თბილისში არ შეიძლებოდა!

მართლაც ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელია, რომ ამგვარი არაადექვატური ადამიანი ქვეყანას უდგას სათავეში!

ჯერ კაპიკი საკომპენსაციო თანხა არ გადაუხდია სტიქიით დაზარალებულთათვის, უამრავი სახლი ისევ სახურავგადახდილი დგას და მათი პატრონები შიშის ძრწოლვით ელიან ზამთრის დადგომას, რომელიც, სპეციალისტთა პროგნოზით იმაზე არანაკლებ მკაცრი იქნება, ვიდრე წლევამდელი ზაფხული იყო, ეს შლეგი კი პომპეზურ სამთავრობო სხდომებს აწყობს და მთავრობის წევრებს ფარმაზონულ-ფანფარონული ყელყელაობით უცხადებს: **"უკვე ყველაფერი გავაკეთეთ, მცირე რამ დაგვრჩა გასაკეთებელი და, აბა თქვენ იცით, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთო!"**

უკვე ყველამ იცის, რომ ამათ მიერ დაწყებული საქმე საქართველოს დაქუცმაცება-დანაწევრებას და მის სრულ განადგურებას ითვალისწინებს, რასაც, მართლაც მიიყვანენ ბოლომდე, თუ ქართველები დროულად არ მოვეგებით გონს!

აღნიშნული თელავური დემარშით კი მან მოიმადლიერა არა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა (მას რომ ქართველი ხალხის ბედი ფეხებზე ჰკიდია, როცა თბილიში დატრიალებულ მსხვერპლით დამთავრებულ სტიქიურ უბედურებას იგი მილანის მაღაზიებში საყიდლებზე სირბილით შეეგება) არამედ ჯარი, რადგან კარგად იცის, რომ ხალხის სამართლიან რისხვას მას მხოლოდ ჯარი და სხვა ძალოვნები თუ ააცილებენ. მაგრამ ეს ძალოვნებიც ქართველებისაგან შედგება და ისინიც მალე მიხვდებიან, რომ სატანას ემსახურებიან და არა ქართველი ხალხის ინტერესებს.

აი, მაშინ კი მართლაც ძნელი იქნება იმის განჭვრეტა, თუ როგორ დაამთავრებს მოღვაწეობას საქართველოს დაშნაკური ხელისუფლება!



# ზურაბ კვარაცხელია: სახალხო მოძრაობა «სამეგრელო» უპირობოდ და ბრმად მხარს არავის დაუჭერს

*საზოგადოების დიდმა ნაწილმა მშვენივრად უწყის, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ცნობილი პოლიტოლოგის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითა და ძალისხმევით დაფუძნდა სახალხო მოძრაობა «სამეგრელო». ამ მოძრაობის მთავარ ამოცანად დღემდე რჩება ამ კუთხის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის განვითარება, მისი სახალხო მეურნეობის აღორძინება, ქვეყნის გამთლიანების პროცესში მისი პოტენციალის სრული გამოყენება. შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ამ პრობლემების მოგვარება შეუძლებელი გახდა, მაგრამ, ახალი ძალის მოსვლის შემთხვევაში, თუ როგორ იქნება ეს შესაძლებელი, თავის მოსაზრებას გვიზიარებს სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კვარაცხელია:*

– კარგად მაქვს შეგნებული, რომ, თუ მომავალი ხელისუფლების ორი მესამედი კვლავ **«ნაცმოძრაობის»** წარმომადგენლებითა და სატელიტი პარტიებით დაკომპლექტდა, ჩვენი საქმე წასულია. არ ვაჭარბებ, ასე თუ მოხდა, ჩვენს ქვეყანას ბედნიერი მომავალი არ უწერია. არადა, არსებული ხელისუფლების თითქოსდა საპირწონედ გამოჩენილი ძალა, ბიძინა ივანიშვილის **«ქართული ოცნების»** სახით, რაღა დაგიმალოთ და დიდი ოპტიმიზმის საფუძველს აღარ მიტოვებს. არ ვიცი, რამდენად მოულოდნელი იყო სხვებისთვის ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა პოლიტიკაში, მაგრამ ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი აღმოჩნდა. მოკლედ რომ გითხრათ, ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორი პოლიტიკური პოლუსი და, რაც დრო გადის, სულ უფრო მიღრმავდება ეჭვი, რომ ამით ვიღაც არის დაინტერესებული და თანაც აქ კი არა, შორს – ოკეანის გაღმა.

**– ბატონო ზურაბ, რა გაძლევთ ასეთი ეჭვის საფუძველს?**

– ამ სიტუაციაში, ბუნებრივია, პატრიოტი ადამიანი თუ ხარ, უნდა დაფიქრდე, ყველაფერი აწონ-დაწონო, იყო ობიექტური და სამართლიანი, ასეთ შემთხვევაში გაქვს უფლება, **«მოყვარეს პირში უძრახე»** პრინციპით იმოქმედო და გულწრფელად გამოხატო საკუთარი პოზიცია. რაც შეეხება ჩემს ეჭვს, თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არის ბიძინა ივანიშვილის **«ქართულ ოცნებაში»** ეროვნულ-პატრიოტული ძალების ძალიან დიდი დეფიციტი? სათოფეზე რატომ არ გაიკარა **«ქართული ოცნების»** ხელმძღვანელობამ ძალიან ბევრი პატრიოტი და ჭეშმარიტად ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ღირსეული მამულიშვილი? რატომ არის, რომ კოალიცია დაკომპლექტებულია ძირითადად დასავლურ-ლიბერალური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალებით? თუ ვინმე მეტყვის, რომ ეს დასავლეთისთვის, ამერიკისთვის სჭირდება, მაშინ მე მას ასე ვუპასუხებ: სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ **«ქართული ოცნებაც»**, ჩვენდა სავალალოდ, ოკეანის გაღმიდან იქნება მართული. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ამერიკიდან მართული პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მე ვერ ვიქნები ოპტიმისტურად და სიმპათიით განწყობილი. ცხადია, მაინტერესებს, თუ როგორ აპირებს ის ევროატლანტიკურ სრუქტურებში გაწევრიანებას და ამავე დროს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხის – რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოგვარებას.

**– ბატონ ბიძინა ივანიშვილისთვის თუ არის ცნობილი თქვენი მოძრაობის პოზიცია?**

– ვინაიდან მას ჰყავს პრესსამსახურიც და ანალიტიკური ჯგუფიც, წესით, უნდა იცოდეს. არაფერს ვამბობ ჩემ მიერ წინა თვეებში პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებზე, მაგრამ როგორ შეიძლება მან არ იცოდეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებები ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ საკითხებზე. გამორიცხულია, ამის თაობაზე მას არაფერი სმენოდეს. ამას ვერ დავიჯერებ. გამორიცხულია, ამაზე კოალიციის სხვა ლიდერებმაც არ იცოდნენ არაფერი. საქმეც ისაა, რომ ყველაფერი იციან, მაგრამ ეს პოზიციაა მათთვის მიუღებელი. იმ დასავლეთს კი ჩვენი ბედკრული სამშობლოს ინტერესები, უკაცრავად და, სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. იმ დასავლეთის ინტერესშია, რომ ჩვენი სამშობლო რუსეთთან მუდმივად კონფლიქტისა და კონფრონტაციის რეჟიმში იყოს. ჰოდა, უდიდესი ერისკაცის – ზვიად გამსახურდიას ძეგლის დამდგმელ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებებს **«ქართული ოცნება»** როგორ გაიზიარებს, როცა თავის სახეებად, იდეოლოგებად ჰყავს ბერძენიშვილები და ზაქარეიშვილი?! ის ზაქარეიშვილი, რომელიც ზვიად გამსახურდიას არადემოკრატს უწოდებს, გამსახურდიას, რომელსაც ტყვიას ესროდნენ, ის კი, ყვავილები ვესროლოთო, ამბობდა. ზაქარეიშვილი ცინიკურად აცხადებს, რესპუბლიკური პარტია ყველაზე ერთგული იყო ზვიად გამსახურდიასიო. მინდა შევახსენო ზაქარეიშვილს და მის თანამოაზრეებს: რაც თქვენ თავის დროზე გაუკეთეთ ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს, ერთგულება კი არა, ორგულობა და ღალატი ჰქვია. არ მინდა **«ქართული ოცნების»** კიდევ ერთი სახე დავით ზურაბიშვილი გამომრჩეს, რომელსაც, როგორ ჩანს, ასევე არ ეზარება ზვიად გამსახურდიას განქიქება. ზაქარეიშვილიც და ზურაბიშვილიც, ჩემდა სამწუხაროდ, ბერძენიშვილებზე წესიერი ხალხი მეგონა, მაგრამ ჩემს მიამიტობას რა ვუთხარი, თორემ წესიერიც იყო და საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრიც – ეს ხომ სრული ნონსესია.

**– ბატონო ზურაბ, თქვენ, როგორც სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» წარმომადგენელი, როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პროცესს სამეგრელოში და რას ურჩევთ კოალიცია «ქართულ ოცნებას»?**

– მე ახლა ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვი კოალიციის მისამართით, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მისი ხელისუფლებაში შესაძლო მოსვლის შემდეგ ის არსებულ ხელისუფლებაზე უარესი გამოდგება. გულწრფელად ვარ დაინტერესებული, რომ ეს რეჟიმი დამთავრდეს და ქვეყანას მიეცეს გადარჩენის შანსი. ამ თვალსაზრისით, კოალიციის ხელისუფლებაში ყოფნა ნამდვილად არ იქნება უფსკრულისკენ გადადგმული ნაბიჯი. **«ქართული ოცნება»** თითქოსდა ჩამოყალიბდა არსებული ხელისუფლების საპირწონედ, მან აიღო პასუხისმგებლობა, რომ ეს რეჟიმი გაუშვას მოუსავლეთში, თუმცა არის ერთი **«მაგრამ»** – თავისი მოქმედებით **«ქართული ოცნება»** ჩვენს რეგიონში ამზადებს სერიოზულ საფუძველს კრახისთვის. ღმერთო შეგცოდე, იმასაც ვფიქრობ, ხელისუფლებასთან ხომ არაა ფარულად გარიგებული და მეორე ადგილსაც ხომ არ დაყაბულდება-თქო. არ ვიცი. ეს ეჭვი ნამდვილად არ არის უსაფუძვლო და მერე, ალბათ, იტყვიან, აი მეგრელებმა არ მოგვცეს ხმა, თორემ ხომ გავიდოდით პირველ ადგილზეო. მითუმეტეს, რომ გია ბურჯანაძისნაირი ვაიერისკაცები საამისოდ უკვე ამზადებენ საფუძველს. აქვე უპრიანია, შევახსენო მათ, სანამ მეგრელებს პრეტენზიებს წაუყენებენ: ხომ არ აჯობებს, ჩემი მრავალტანჯული კუთხის მოსახლეობის ჭირვარამიც გულწრფელად გაიზიარონ, მათთანაც იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, დარშიც და ავდარშიც. მინდა შევახსენო მათ, რომ სტიქიური უბედურება სამეგრელოს მოსახლეობისთვისაც უბედურებაა...

**– ასეთ სიტუაციაში როგორ მოიქცევა სახალხო მოძრაობა «სამეგრელო»?**

– არავის ეგონოს, რომ ჩვენს მოძრაობას გავლენა მარტო სამეგრელოში აქვს, ჩვენი პოზიციები ცნობილი, მისაღები და ანგარიშგასაწევია ეროვნულ-პატრიოტული ძალებისთვის მთელ ქვეყანაში. ჩვენ მხარს დავუჭერთ ყველა იმ ოპოზიციურ ძალას, რომლებსაც შეუძლიათ ამ რეჟიმისათვის რეალური კონკურენციის გაწევა და ძალუძთ ხალხს რეალურად შესთავაზონ ალტერნატიული, მისაღები პოლიტიკა. აქვე, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია არ არის პოლიტიკური და შესაბამისად ჩვენს წევრებს არ ვავალდებულებთ, ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის მიმდევრები იყვნენ, ამდენად მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ სამეგრელოს რეგიონში და სხვაგანაც, მხარს დავუჭერთ იმ მაჟორიტარ კანდიდატებს, რომლებიც ჩვენი ნდობით სარგებლობენ. სამწუხაროდ, ისიც უნდა ვთქვა, რომ **«ოცნების»** მიერ საქართველოს რაიონებში წამოყენებული მაჟორიტარი კანდიდატები ბევრ არასასიამოვნო კითხვას ბადებენ და, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაუგებარია, თუ რა ნიშნით შეარჩია კოალიციის ხელმძღვანელობამ ბევრი მათგანი. გამონაკლისი ამ მხრივ არც სამეგრელოა. მაგალითად, ამასწინათ წალენჯიხაში გახლდით და იქ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობდნენ, ჩემგან გაეგოთ რამე **«ქართული ოცნების»** მიერ მათ რაიონში დასახელებული დეპუტატობის კანდიდატის შესახებ. ასე რომ, ჩვენი მოძრაობა, როგორც უკვე აღვნიშნე, როგორც სამეგრელოში, ასევე სხვა რეგიონებში, მხარს დაუჭერს მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომლებიც ხალხის ნდობას იმსახურებენ. ყველას აქვს უფლება, არჩევანი თვითონვე გააკეთოს, მაგრამ არავის აქვს უპასუხისმგებლობის უფლება და ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა მხარი არავითარ შემთხვევაში არ დაუჭირონ: **«ნაციონალურ მოძრაობას», «ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას»**, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, **«ახალ მემარჯვენეებს», «ევროპელ დემოკრატებს»** და მათ მონათესავე პარტიებს. იყვნენ ფხიზლად და არ დაუშვან საბედისწერო შეცდომა, მომავალ არჩევნებში აირჩიონ ის პარტიები და ის კანდიდატები, რომლებიც იქნებიან მათი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები, რომლებიც იქნებიან ჩვენი კუთხის და სრულიად საქართველოს ინტერესების გამომხატველნი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

**ესაუბრა ლადო ქირია, ზუგდიდი**

P.S. *ზუგდიდში ჩასახლებული დევნილები, დიდი ხანია, ითხოვენ აქტიურად ჩაერთონ წინასაარჩევნო კამპანიაში «ქართული ოცნების» სასარგებლოდ. მათ მიმართეს ცნობილ ნეიროქირურგს, სოხუმის მკვიდრს, ამჟამად ზუგდიდში მცხოვრებ ნაპო მესხიას და ისიც მზადაა, უხელმძღვანელოს დევნილებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ჯერჯერობით «ქართული ოცნებიდან» არანაირი გამოხმაურება არ ჩანს.*

# „პრეზიდენტი ხმამაღლა ყვიროდა, პატრიარქს ხელიც კი მოჰკიდა, არაფერი შეგეშალოსო!“



კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ნათია დანელიშვილის ინფორმაცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

**„22 ივლისს ალავერდში კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი იმყოფებოდა. ივანიშვილს ალავერდში მიტროპოლიტმა დავითმა უმასპინძლა და დალოცა.**

**იმავე დღეს ალავერდს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ეწვია. პატრიარქს თან პრეზიდენტი სააკაშვილიც ახლდა. პატრიარქმა იქადაგა. ეკლესიაში შეკრებილებს მიხეილ სააკაშვილმაც მიმართა. ქადაგების შემდეგ პატრიარქმა და პრეზიდენტმა ალავერდის მარანი დაათვალიერეს. მარნის დათვალიერების შემდეგ პატრიარქი და პრეზიდენტი ერთმანეთს ეპისკოპოსის რეზიდენციაში შეხვდნენ. შეხვედრა მედიისთვის დახურული იყო.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ერთ-ერთმა თვითმხილველმა აცნობა, პატრიარქმა პრეზიდენტი ტრაპეზზე მიიწვია.**

**„პატრიარქმა მიხეილ სააკაშვილი მოკრძალებულ ტრაპეზზე მიიწვია, მან კი ჯერ ექიმებს შეამოწმებინა საჭმელი, მერე კი პატრიარქს სუფრა დაუწუნა და უთხრა, რომ ეს პრეზიდენტის შესაფერი სუფრა არ იყო“, – განაცხადა თვითმხილველმა.**

**„პრეზიდენტმა პატრიარქი „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. ხმამაღლა ყვიროდა. ძალიან გაბრაზებული იყო, პატრიარქს ხელიც კი მოჰკიდა, არაფერი შეგეშალოსო. დაცვა ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას“, – აღნიშნავს მომხდარის მეორე თვითმხილველი.**

**მისივე თქმით, დაპირისპირების შემდეგ პრეზიდენტმა ალავერდი დატოვა. რამდენიმე წუთში გაემგზავრა პატრიარქიც.**

**ალავერდის სამონასტრო კომპლექსში მოღვაწე ერთ-ერთი სასულიერო პირის ინფორმაციით, რამდენიმე დღეში ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა პეტრე ცისკარიშვილმა, რომელიც 1 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში კენჭს „ნაციონალური მოძრაობიდან“ ისევ ახმეტაში იყრის, ალავერდის ეპარქიას კომბაინი წაართვა.**

**„როგორც იცით, ბიძინა ივანიშვილი 22 ივლისს კახეთში სტიქიისგან დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა, რის შემდეგაც ალავერდის მონასტერს ეწვია და ალავერდელ მიტროპოლიტ დავითს შეხვდა. ივანიშვილს თან ზურაბ ზვიადაურიც ახლდა. მეუფე დავითმა ბიძინა ივანიშვილი თავაზიანად მიიღო, რასაც პეტრე ცისკარიშვილის გაღიზიანება მოჰყვა. მეუფემ კარგად რომ მიიღო ივანიშვილი, ამაზე პეტრე ცისკარიშვილი გაბრაზდა და მეუფეს კომბაინი წაართვა. მოგეხსენებათ, რომ ალავერდის მონასტერს მიწის ნაკვეთები აქვს, მოსავალი მოგვყავს და კომბაინი მოსავლის ასაღებად გვჭირდებოდა“, – აღნიშნა სასულიერო პირმა.**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის ალავერდის მონასტრის მოძღვარს, მამა იოსებს დაუკავშირდა. მამა იოსების თქმით, მონასტერს ტექნიკა არ აქვს, სხვა კომენტარის გაკეთებაზე მოძღვარმა უარი თქვა და ტელეფონი გათიშა.**

**„მსგავსი რაღაცა მკრეხელობაა და გირჩევთ, რომ არც კი გაიმეოროთ. იქ იყო ძალიან ბევრი ადამიანი. სერიოზულად მაგ ინფორმაციას ვერც აღვიქვამ,“ – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ირმა ნადირაშვილმა.**

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი კომენტარისთვის პეტრე ცისკარიშვილსაც დაუკავშირდა.**

**– ბატონო პეტრე, ალავერდიდან მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ეპარქიას კომბაინი წაართვით მას შემდეგ, რაც მეუფემ ბიძინა ივანიშვილს უმასპინძლა.**

**– არ მცალია, ნახვამდის“.**

საქინფორმი

# ბიძინა ივანიშვილი – საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სასამართლო დავას იწყებს. ამის შესახებ **„ქართული ოცნების“** პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ფანჯიკიძის განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის დაცვა საერთაშორისო იურიდიულმა კომპანია **„სკადენმა“** ითავა, რომლის ვაშინგტონისა და ლონდონის ოფისების წარმომადგენლები საქართველოში 16 და 17 ივლისს იმყოფებოდნენ.

ფანჯიკიძის განცხადებით, ივანიშვილის უფლებების დასაცავად შეირჩა საერთაშორისო სასამართლო ინსტიტუტი – მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების განხილვის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც ვაშინგტონში მდებარეობს. ამ სასამართლოს დებულების შესაბამისად, **„სკადენმა“** ივანიშვილის სახელით მოამზადა იურიდიული დოკუმენტი **„უკანასკნელი შეტყობინება დავის შესახებ“**. ფანჯიკიძის განცხადებით, ეს დოკუმენტი არის ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოს მთავრობას შორის დავის დაწყების საფუძველი.

როგორც ფანჯიკიძემ განაცხადა, 31 ივლისს ეს შეტყობინება ჩაბარდა საქართველოს პრეზიდენტსა და იუსტიციის სამინისტროს. შეტყობინების ტექსტის ქართული თარგმანი ბიძინა ივანიშვილის **„ფეისბუქის“** გვერდზე განთავსდება. პროცედურის შესაბამისად, საქართველოს მთავრობას მიეცა 14 დღე, რათა მან აღიაროს ჩადენილი უკანონობა დ ამშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით შეთანხმებას მიაღწიოს ბიძინა ივანიშვილის სამართლებრივ მრჩევლებთან, რაც გულისხმობს ივანიშვილისათვის 230 მლნ დოლარის გადახდას (სწორედ ამ თანხას თვლის ივანიშვილი მისთვის საქართველოს მთავრობის მიერ მიყენებული ზარალის ოდენობად). ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემთხვევაში საინვესტიციო დავათა განხილვის ცენტრს დაუყოვნებლივ წარედგინება საჩივარი-მოთხოვნა არბიტრაჟის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც დავას საერთაშორისოდ აღიარებული ავტორიტეტული სამართალმცოდნეები განიხილავენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა არჩილ კბილაშვილმა, რომელიც ამ საქმეში ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს საერთაშორისო იურიდიულ ფირმასთან ერთად იცავს. კბილაშვილის თქმით, ყველა ის საინვესტიციო უფლება, რომელიც შეილახა გასული წლის ოქტომბრიდან, აღნუსხულია და ცენტრს განსახილველად წარედგინება. კბილაშვილმა წარმოადგინა იმ დარღვევათა ჩამონათვალი, რომელიც საინვესტიციო კუთხით გასული წლის ოქტომბრიდან დაფიქსირდა. კბილაშვილის განცხადებით, ეს არის **„ბანკ ქართუსთან“** დაკავშირებით უკანონო ქმედებები, მათ შორის, კანონის თავხედურად შეცვლა, რომლის საფუძველზე **„ბანკმა ქართუმ“** 119 მილიონი ლარის ზარალი ნახა.

**„კანონის შეცვლა შეეხებოდა იპოთეკისა და გირავნობით უზრუნველყოფილი ქონებების გაუფასურებას. ეს შეეხებოდა, ასევე, ბანკის უკანონო დაჯარიმებას, თითქოსდა იმ ბონუსების, რომელიც მან თანამშრომლებზე გასცა პოლიტიკურად მოტივაციის გამო“,** – განაცხადა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე თქმით, ეს შეეხება იმ უკანონო რეიდსაც, რომელიც შს სამინისტრომ მოაწყო 2011 წლის ოქტომბერში, როდესაც ფულის გათეთრების ბრალდებით **“ქართუ-ბანკის”** საინკასაციო მანქანა ძველრევოლუციური ექსპროპრიაციული მეთოდებით იქნა დაკავებული. ასევე, ეს შეეხება ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლით ბანკ **“ქართუდან”** კლიენტების გადინებას. არჩილ კბილაშვილის განცხადებით, 2011 წლის ოქტომბრის ბოლოს აღნიშნულის გამო ბანკიდან 45 მილიონი ლარი გაედინა. ასევე, დავა ეხება ყადაღას, რომელიც **„პროგრესბანკში“** ბიძინა ივანიშვილის წილს დაედო.

კბილაშვილის განმარტებით, დარღვევების ნუსხა ასახული იყო მთავრობისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში. კბილაშვილის განმარტებით, იმ ზარალს, რომელიც თანხობრივად ბიძინა ივანიშვილს მიადგა, პროცენტი დაერიცხება და ხელისუფლების მხრიდან ანაზღაურებას დაექვემდებარება არა მხოლოდ უშუალოდ ის ზიანი, რაც დაადგა, არამედ ამ თანხებზე დარიცხული პროცენტიც, რომელიც ბანკთა შორის საერთაშორისო ბირჟის მონაცემებით ერთობლივად გაირკვევა.

რაც შეეხება ჯარიმის სახით ბიძინა ივანიშვილის მიერ გადახდილ 80 მლნ ლარს, არჩილ კბილაშვილის განმარტებით, ეს თანხა დავათა ნუსხაში არ შედის, რადგან ივანიშვილმა ეს თანხა არა ჯარიმის სახით, არამედ სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გადაიხადა.

# ვალერი მელაძე “ქართული ოცნების” მხარდამჭერი?!




**“ქართული ოცნების”** ერთ-ერთი ლიდერის, კახი კალაძის **“ფეისბუქის”** გვერდზე მისი და ვალერი მელაძის ფოტოები გავრცელდა, სადაც კალაძესა და მელაძეს **“ქართული ოცნების”** ლოგოიანი მაისურები აცვიათ. ფოტოებს აქვს წარწერა – **“ვალერი მელაძე ქართველი ხალხის გვერდით”.** ფოტოები ბათუმში, სასტუმროშია გადაღებული.

როგორც ცნობილია, ბათუმის პიაცაზე ვალერი მელაძემ კონცერტი გამართა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო დავით ოქიტაშვილი.

**“ინტერპრენსიუსი”** დავით ოქიტაშვილის თანაშემწეს, რეზი ახრახაძეს დაუკავშირდა. **“რა სისულელეა, სად ნახეთ “ქართული ოცნების” მაისური? ნამდვილად ვიცი ის, რომ მელაძე ჩამოფრინდა ახლა. პრეზიდენტი მოდის კონცერტზე და ეს ინფორმაცია არარეალურია ჩემთვის. ვერ ვიჯერებ, წარმოუდგენლად მეჩვენება”,** – განაცხადა რეზი ახრახაძემ.

ინფორმაციის გადასამოწმებლად **“ინტერპრესნიუსი”** დავით ოქიტაშვილთან დაკავშირებასაც ცდილობდა, თუმცა ის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა. კახი კალაძის პრესმდივან ოთარ ჩრდილელს კი, მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა.

ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი კახი კალაძემაც გააკეთა.

**“ვალერი მელაძესთან უკვე წლებია გულითადი მეგობრობა მაკავშირებს. დიდი ხანია არსებობს კადრები, სადაც მე, გიორგი დემეტრაძე და ვალერი ერთად ვმღერით. ის ხშირად მოდიოდა ჩემთან როგორც უკრაინაში, ისე მილანში. ვიცოდი, რომ ის ბათუმში აპირებდა კონცერტის გამართვას. რამდენიმე დღის წინ დავუკავშირდი, 2 საათის წინ კი სასტუმროში მოვინახულე, სადაც “ქართული ოცნების” მაისურებით სურათები გადავიღეთ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ვალერი მელაძე არის სისხლით-ხორცამდე ქართველი, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი სამშობლო და ხალხი. ის პოლიტიკურ ვითარებაშიც გარკვეულია. ის ქართველი ხალხის გვერდით იდგა და დგას”** – განაცხადა კალაძემ **“ინტერპრესნიუსთან”** საუბრისას.

პიაცაზე კონცერტი საღამოს 9 საათზე დაიწყო. კონცერტი მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარეს ილია მეორეს, რადგან 2 აგვისტო ილიაობა, მისი მფარველი აგელოზის დღე გახლდათ.

მომავალი არჩევნების წაგების შიშით ატანილ, აშკარად პანიკაში ჩავარდნილ საქართველოს ხელისუფლებას კი არავითარი კომენტარი არ გაუკეთებია ვალერი მელაძის ამგვარ პოლიტიკურ დემარშზე. ან რა უნდა თქვან, როცა ხედავენ, რომ მათ თანამგრძნობთა რიგებს თანდათან სტოვებენ არა მხოლოდ ხელოვნების დარგის მუშაკები, არამედ პირწავარდნილი ნაციონალებიც კი.

ახლახან გახდა ცნობილი, რომ ნაციონალთა რიგები დასტოვა და ოპოზიციაში გადაინაცვლა აჭარის მთავრობის მეთაურის ლევან ვარშალომიძის მრჩეველმა ბაჩუკი ჩხეიძემ.

ჩაძირულ გემებს ხომ მგზავრებიც სტოვებენ და ვირთხებიც, თუმცა, ალბათ უადგილოა იმ ადამიანების ვითხებად მოხსენიება, რომლებიც დროზე მოეგნენ გონს, გაერიდნენ მართლაც ვირთხებად ქცეულ ნაციონალებს და და ღირსეული პოზიცია დაიკავეს.

# საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშები დააყადაღეს

ამ უკანასკნელ ჟამს იმდენი რამ გვესმის საპარლამენტო არჩევნების წაგების შიშით ატანილი ხელისუფლების მიერ ოპოზიციური თუ კერძო პირების დაჯარიმებისა და მათი ქონების დაყადაღების თაობაზე, რომ სიტყვა **“ყადაღა”** უკვე ჩვენი ყოფის განუყოფელ ატრიბუტად მიგვაჩნია. ოპოზიციონერთა დასჯა მაშინაც კი ხდება, როცა მათ წინააღმდეგ სამხილი არ არსებობს, მაგრამ სასამართლო, ამ შემთხვევაში, დადგენილებას იღებს იმ ადამიანთა **“გონივრული ეჭვის”** საფუძველზე, რომელთაც არც გონი გააჩნიათ და არც ზნეობა!

მაგრამ თუ აქამდე სახედაკარგული (სამართლიანი სასამართლო ხომ დიდი ხანია დაკარგულია ობიექტური იურიდიული გარემოსათვის) ხელისუფლება მხოლოდ სატელიტურ ანტენებს და ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების საბანკო ანგარიშებსა და ქონებას აყადაღებდა, ახლა მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანამზრახველი ნაციონალების ხელში ბლაგვ ნაჯახად ქცეული ვაისამართალდამცავები უკვე ინტელექტუალურ სფეროსაც გადასწვდნენ.

როგორც ამას წინათ საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის საბანკო ანგარიშები ყოველგვარი მიზეზის გარეშე დააყადაღა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ინსტიტუტის ხელმძღვანელმა თეონა აქუბარდიამ განუცხადა. მისი თქმით, **„პროგრესბანკში“** ინსტიტუტის ანგარიშები განმარტების გარეშე დაუყადაღეს.

**„არანაირი განმარტება არ მიმიღია და დაყადაღების მიზეზს არ მეუბნებიან. ბანკში შევიტყვე, რომ საქალაქო სასამართლომ დააყადაღა ანგარიშები“,** – განაცხადა თეონა აქუბარდიამ.

მისი თქმით, ყადაღასთან დაკავშირებულ დეტალებზე უახლოეს დღეებში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრებს.

# ნატო ვაჩნაძის საბედისწერო რეისი – ისტორია, რომელიც ჯერ არ გსმენიათ



14 ივნისი ნატო ვაჩნაძის დაბადების დღე იყო, რომელიც მის გარდაცვალების დღედ იქცა – დღე, როდესაც ჩემი მფრინავი პაპა ცაში დაიწვა მასთან ერთად!

მე პირველად ვწერ ამაზე! ვწერ, როგორც ამ საბედისწერო რეისზე მოხვედრილი ერთ-ერთი მთავარი გმირის შვილიშვილი. ეს იქნება ექსკლუზივი, მიძღვნილი ჟურნალ **"...და ქალის"** ივნისის ნომრისადმი.

არასოდეს მჯეროდა, რომ ჩვენი ცხოვრება წინასწარაა **"დაწერილი"**. იღბალს თუ უიღბლობას ბედისწერას რომ აბრალებდნენ, მეცინებოდა, რადგან მიმაჩნდა, რომ ადამიანი არის **"თავის" "უფალი"** და ყოველი მისი წარმატება საკუთარი შრომის, დამსახურების და ცოტაოდენი იღბლის შედეგია.

წარუმატებლობას კი არასაკმარის მონდომებას ვაბრალებდი. არავინ იცის, რეალურად ჩვენს ცხოვრებას თავად წარვმართავთ თუ უფლის ნებას ვასრულებთ; დაბადებისას **"გვეწერება შუბლზე"** საკუთარი ბედი თუ ღმერთი, უბრალოდ, წინასწარ განჭვრეტს ჩვენს მომავალს...

მჯერა იმის, რომ ღმერთი მხოლოდ მნიშვნელოვან მომენტებში ერევა, მაგალითად, როდის და რანაირად **"წაგვიყვანოს"**. ალბათ, ყველა თქვენგანის ცხოვრებაში ყოფილა უცნაური დამთხვევები და ნიშნები, რომლებიც რაღაცაზე მიგვანიშნებს და ვხვდებით, რომ ეს ყველაფერი **"ზემოდან"** არის...

1953 წლის 14 ივნისს ქართული კინოს მშვენება, ულამაზესი ვარსკვლავი – ნატო ვაჩნაძე საკუთარ დაბადების დღეზე თვითმფრინავის ბილეთს იყიდის... ასე მოხვდება რეისზე, სადაც მასთან ერთად 13 ადამიანის სიცოცხლე ცაში დაიფერფლება!

არაერთხელ დაწერილა იმის შესახებ, თუ როგორ იყიდა საბედისწერო ბილეთი ნატომ მოსკოვში, როგორ მოხსნეს მისი თხოვნით ჯავშანი სწორედ იმ ბილეთს, რომლის მფლობელსაც სიკვდილი ეწერა... როგორ ჩამოვარდა თვითმფრინავი მისი მეუღლის, ნიკოლოზ შენგელაიას სოფელთან ახლოს.

ვერ დაადგინეს, მიზეზი უამინდობა იყო, თუ **"ბერიას შურისძიება",** რაშიც ბევრი იყო დარწმუნებული... ეს ყველაფერი ისედაც იცით. მე ამ ამბავს სხვა კუთხიდან დაგანახებთ. თვითმფრინავზე მყოფი იმ 14 ადამიანიდან ერთ-ერთის შესახებ გიამბობთ: მფრინავ ირაკლი ხახუტაშვილზე, რომელიც ჩემი პაპა იყო.

განსაკუთრებით მიყვარდა ბებიასთან დარჩენა. უზარმაზარ ალბომს გადმოვიღებდი და გაუთავებლად ვათვალიერებდი პაპის სურათებს. გაუთავებლად ვაყოლიებდი ბებიას ისტორიას, რომელიც მილიონჯერ მქონდა მოსმენილი და მიუხედავად ამისა, არ მბეზრდებოდა.

მინდოდა, ყველაფერი მცოდნოდა ირაკლი პაპას შესახებ, რომელიც არაჩვეულებრივი, მხიარული, ხუმარა, საოცრად ნიჭიერი კაცი იყო და ყველას ძალიან უყვარდა.

ბებია ამ ამბის მოყოლას ყოველთვის ერთნაირად იწყებდა. ამოიღებდა თავის ერთ სურათს და მეტყოდა: **"აი, ამ სურათით გამიცნო პაპაშენმა"**... ჩემი ბებო, ნინო ზუროშვილი თელაველი ქალი გახლდათ.

მაღალი, თეთრი და მწვანეთვალება იყო. მისი სურათი პაპას მეგობართან უნახავს და გაცნობა გადაუწყვეტია. მეგობრები საპიკნიკოდ შეუკრიბავს, სადაც ნინოც უნდა მოსულიყო.

**"კოვბოიკა ჟილეტი ეცვა და ხელში წკეპლას ათამაშებდა. რომ მივედი, მომესალმა, ხელზე მაკოცა და თან გვერდით ამომიდგა. მივხვდი, რომ დამეტოლა.**

**რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში მოვდიოდი. გაქანებულ მატარებელს შეახტა და ვაგონში გამომეცხადა."**

განსაკუთრებულად მიყვარდა ის მომენტი, როდესაც შემწვარი ქათამი მიირთვეს, მკერდის ძვალი გადატეხეს და ერთ სურვილზე დანაძლევდნენ. ეს ამბავი ირაკლის ლექსადაც დაუწერია:

**"იქ ვითამაშეთ სანაძლეოზე**
**გავტეხეთ ქათმის ჩვენ ავქაშია,**
**ორჯერ მოვუგე მე სანაძლეო,**
**ხმალი მე მერგო, მას ქარქაშია."**

ირაკლიმ მოგებული სურვილი მალე გაუმხილა: **"ჩემი სურვილია, ცოლად გამომყევ!"**... წინააღმდეგი მხოლოდ ნინოს მამა იყო.

მფრინავს როგორ გავატანო შვილი, სულ ცაში იქნება და ცოლ-შვილს როგორ მიხედავსო... ეს პრობლემაც ადვილად მოაგვარა ირაკლიმ. ჩუმად მიეპარა მას, როდესაც ეზოში შეშას ჩეხავდა და ნაჯახიანად ხელში აიტაცა.

ასე დაარბენინებდა ეზოში. **"იქამდე არ ჩამოგსვამ, სანამ არ დაგვლოცავ"!** მომავალმა სიმამრმა სიცილი ვეღარ შეიკავა და სიძეს გადაეხვია. – აი, ასეთი ხალისით სავსე ადამიანი იყო. არაჩვეულებრივად ხატავდა, წერდა ლექსებს, გაწყობილ მაგიდას კბილებითაც კი სწევდა.

სკამებზე აცეკვებდა ქალებს... მის გამოგზავნილ წერილებს რომ ვკითხულობ, ბებიას რომ უგზავნიდა... ვგიჟდები, როგორი იუმორის პატრონი იყო.

სწავლის დამთავრების შემდეგ მას უფროსი პილოტის წოდება მიენიჭა. ქალაქ ოვრუჩში სწრაფ ბომბდამშენთა ლეგიონში გაამწესეს. 1939-1940 წლებში მონაწილეობდა ჩრდილოეთ ბუკოვინისა და დასავლეთ უკრაინის განთავისუფლებაში.

იბრძოდა დიდ სამამულო ომში. ოსტატურად ხელმძღვანელობდა საავიაციო რგოლს. იყო ავიაესკადრილიის მეთაურის მოადგილე. შეუპოვრად ურტყამდა მტერს ქერჩის მიმართულებით. 2000 ახალგაზრდა მოამზადა, რისთვისაც 6 სიგელი დაიმსახურა. შემდეგ მერვე გამანადგურებელ საავიაციო კორპუსში შტურმანად დანიშნეს.

რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რესპუბლიკური ავიაკლუბის სოხუმის ფილიალს. ასამდე პარაშუტისტი და მრავალი პილოტი მოამზადა. თვითონ ხომ მრავალი ტიპის თვითმფრინავზე იფრინა. ცაში სულ 3182 საათი გაატარა, 7 000-ჯერ მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. მხოლოდ ერთხელ უმტყუნა ბედმა...

არასოდეს გაუცილებია მანამდე ცოლ-შვილს, მხოლოდ ბოლო გაფრენის წინ გააცილა. დედაჩემი 12 წლის იყო. ის ყელზე შემოეხვია მამას და დააბარა: **"წითელი ფეხსაცმელი ჩამომიტანე"**... ბებია იხსენებდა, რომ დიდხანს ეფერა ორივე შვილს, თვითონ კი უყურებდა მიმავალს მანამ, სანამ თვალს არ მიეფარა.

იმ ღამით ცუდი სიზმარი ნახა, თითქოს შავ მიწაში ხელი ჩაჰყო. გაღვიძებისას მკითხავის ნათქვამი გაახსენდა: გათხოვებამდე მეგობარს წაუყვანია, მკითხავს 2 სანთელი დაუნთია. ერთი მალევე გადახრილა და ჩამქრალა. შეწუხებულ მკითხავს უთქვამს, შვილო, ქმარი ადრე მოგიკვდებაო... ბებია გაბრაზებულა და წამოსულა.

14 ივნისი. საღამოს მოულოდნელად ქარი ამოვარდა, ჩამობნელდა. ბებიას კედლის საათისთვის შეუხედავს. საათი სასწაულებრივად გაჩერდა. ისრები 6-ის ნახევარს აჩვენებდა, დროს, როდესაც თვითმფრინავი აფეთქდა... ნატო ვაჩნაძის მხოლოდ ხელი იპოვეს, რომელიც ბეჭდით ამოიცნეს, პაპას კი პანაშვიდი ტანსაცმლით გადაუხადეს.

ბებია მარტო დარჩა 2 პატარა ბავშვით. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შვილებს ყველაფერი ჰქონოდათ. ორ ადგილას მუშაობდა. შვილების სიყვარული რას არ გააკეთებინებს ქალს?.. უძლიერესი ქალი იყო! 93 წლის ასაკში გარდაიცვალა და ბოლომდე მარტო ცხოვრობდა.

ამ ამბავში საოცარი კიდევ ერთი რამ არის... გინდა დამთხვევა დაარქვით, გინდა ნიშანი... რეისზე ჩემი მეორე პაპა, ისიც მფრინავი ვახტანგ ინასარიძე უნდა გამოფრენილიყო. ბოლო წუთს რაღაც შეიცვალა და ირაკლი გამოიძახეს. საოცარია... ჩემი პაპებიდან ერთ-ერთი აუცილებლად დაიღუპებოდა ამ თვითმფრინავში.

რაღაცეებში მსგავსებას ვპოულობ ჩემსა და ირაკლი პაპას შორის. ის ხატავდა – მეც ვხატავ, ის წერდა – მეც ვწერ, ვგავარ იუმორშიც და ჩვენ ორივე დავფრინავთ! ის ცაში... მე კიდევ ოცნებებში...

მე ვამაყობ მისით, ვამაყობ ჩემი პაპით, რომელიც მხოლოდ სურათებიდან მიღიმის.

**"მომიხვალ მჯერა! რასაც კი ვკითხე**
**ნიავს, მზესა თუ ღამეს მთვარიანს...**
**თოვლის ფიფქებმაც ჩურჩულით მითხრეს**
**გჯეროდეს, მოვა! ის ცოცხალია!**
**მოლოდინს ეს რა ძალა ჰქონია,**
**შენზე ოცნებით ისე ვითვრები,**
**შენ მოგელიან ასე მგონია,**
**ჩვენი ოჯახის მუნჯი ნივთები."**

**ს. ხახუტაშვილი**

**სტატია ეძღვნება ამ ავიაკატასტროფაში დაღუპულთა ხსოვნას.**

SOS ! SOS ! SOS !

## საქართველოს საშინელი კატასტროფა ემუქრება ?!

ენგურჰესი ყველას მოეხსენება, რომ არის უზარმაზარი და ურთულესი ნაგებობების კომპლექსი და არ არის გასაკვირი, რომ ინჟინერული ჩანაფიქრის ზღვარს სცილდებოდეს, ამიტომ წინასწარ შეუძლებელია მისი კონტროლი. ექსპერტების განმარტებით თვითონ კაშხალი არასოდეს დაინგრევა, მთავარია რომ წყალსაცავის მარცხენა ფერდმა გაუძლოსო. თუ მეწყერი ჩამოწვა, ან წყალმა მაგანას ხეობაში გაჟონა შეიძლება წარმოუდგენელი მასშტაბის ტრაგედია დატრიალდესო, ამიტომაც ამ ზონის მუდმივი კონტროლი უნდა ხორციელდებოდესო, რადგან ეს ადგილი ძალზე მეწყერ საშიში ზონააო.

მაგრამ ვის ესმის ექსპერტების შეგონება, სწორედ ამ ადგილიდან დაემუქრა საფრთხე ჩვენს სიცოცხლეს. ჯვარიდან მე-9 კილომეტრზე პირობითად ხოკოს რომ ეძახიან, იქ სადაც მაქსიმალურად უახლოვდებიან ერთმანეთს მდ.ენგურის მარჯვენა და მდ. მაგანას მარცხენა სანაპიროები (მათ შორის მანძილი სულ 2 კილომეტრამდეა) დაუდგენელი პირების მიერ მრავალი წელია თაბაშირის მოპოვების მიზნით, მძიმე ტექნიკის ჩარევით მიმდინარეობს რყევითი, ნგრევითი და ფეთქებითი სამუშაოები. მოპოვებული თაბაშირი კი, გავრცელებული ვერსიით, ტრანსპორტით გადააქვთ რუსთავის ცემენტის ქარხანაში – ცემენტის გასამდიდრებლად. ამ მავნებლების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ექსპერტების აზრით არის საშიშროება, რომ ეს მეწყერსაშიში ზოლი დაიშალოს, დაიწყოს რღვევა, რომლის გამო შესაძლებელია ენგურის წყალსაცავიდან წყალმა გაიკაფოს გზა და ჩავიდეს მდინარე მაგანაში, ანუ ენგურის წყალსაცავი 300 მეტრით მაღლა მდებარეობს, ვიდრე მაგანის ხეობა და არის იმისი საშიშროება, რომ ეს უზარმაზარი მასის მქონე წყალსაცავი გადაბარგდეს მაგანის ხეობაში, რის შედეგადაც აღარ იარსებებს არც ენგურჰესი, არც ჯვარი, არც ჯვარი-მესტიის ტურისტული ზონა და არც ზუგდიდი და მისი მიდებარე ტერიტორიები.

ასე რომ ამ ადგილებში კარიერის გახსნა კი არა, მიწაზე ბარის დაკვრაც არ შეიძლება. ნუ დაგავავიწყდება, რომ ამ წყალსაცავის ქვემოთ თითქმის მესამედი საქართველოა. ეს დროზე უნდა იცოდეს ქართულმა საზოგადოებამ! ეს დროზე უნდა იცოდეს საქართველოს პრეზიდენტმა! საქმის კურსში უნდა იყოს პოზიციაც და ოპოზიციაც! ეს არ არის პოლიტიკა! საქმე საქართველოს ყოფნა არყოფნას ეხება. ამიტომ დროზე უნდა აღიკვეთოს იქ ვიღაცვიღაცეების პარპაში.

ძალიან მაინტერესებს რატომ არ ინტერესდება ამ საკითხით ე.წ. ენგურჰესის სამელთვაყურეო საბჭო თავისი 11 კაცის შემადგენლობით, რომლებიც ყოველწლიურად ბიუჯეტიდან 300 000 ლარზე მეტს იღებენ, ან გვითხრან და დაამშვიდოს მოსახლეობა, რომ ექსპერტები ცდებიან და ვიღაცის **„კრიშის"** ქვეშ მყოფი ამ ვანდალების საქმიანობა საქართველოს საშიშროებას არ უქადის.

შესაძლებელია შიში უსაფუძვლოც იყოს და ექსპერტები ცდებოდნენ, მაგრამ როგორც იტყვიან სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ბოლო ხანს იტალიაში, ჩინეთში, ფილიპინებში დიდი კაშხლებით დაგუბებული წყალსატევების მიერ დატრიალებული ტრაგედიებიც კმარა. ღმერთმა გვაშოროს და თურმე ბოლო ას წელიწადში ადამიანების გაუფრთხილებლობის გამო 100 ზე მეტი მსგავსი შემთხვევა მომხდარა და გამოუსწორებელი ტრაგედია დატრიალებულა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

## "სააკაშვილი ბუდა-ბარს სტრიპტიზორებთან ერთად სტუმრობდა"

**"ეს ქალაქი, რომელიც ახლა ნაფრონტალს ჰგავს, უახლოესი თვეების განმავლობაში საქართველოსა და მსოფლიოს წინაშე წარდგება უფრო მეტი ბრწყინვალებით, ვიდრე ოდესმე ყოფილა თავის ისტორიაში",** – ასე დააიმედა 31 ივლისს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სტიქიის შედეგად დაზარალებული კახეთის მოსახლეობა. ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში ქვეყნის პირველი პირი ადამიანის უფლებათა დამცველმა დაჩი ცაგურიამ ბუდა-ბარში შენიშნა. როგორც ჩანს, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დარდი პრეზიდენტმა სწორედ რიყეზე გახსნილ ბუდა-ბარში განიქარვა... გვესაუბრება **დაჩი ცაგურია:**

**– დაჩი, ვისგან შეიტყვე, მიხეილ სააკაშვილი ბუდა-ბარს რომ სტუმრობდა?**

– ბოლო ხანს პრეზიდენტის გარემოცვიდან უფრო და უფრო ჟონავს ინფორმაცია. ბუნებრივია, ვერ დავასახელებ, ვისგან შევიტყვე ეს ამბავი. მიხეილ სააკაშვილი ბუდა-ბარს ღამის 2-ის ნახევარზე ესტუმრა, როდესაც იქ არავინ იმყოფებოდა და დაახლოებით 2 საათს დაყო. მე და გადამღები ჯგუფი რომ არ მივსულიყავით, ალბათ, უფრო დიდხანსაც გაჩერდებოდა. ბუდა-ბარის მთელ პერიმეტრს აკონტროლებდნენ დაცვის პოლიცია და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანები, რომლებმაც ბუდა-ბართან მიახლოების უფლება არ მოგვცეს. ღამის 4 საათზე სააკაშვილმა, დაცვის თანხლებით, ბუდა-ბარი დატოვა. როგორც ვიცი, ბუდა-ბარში დისკოკლუბია და მიხეილ სააკაშვილი იქ იმყოფებოდა.

**– დაჩი, ვიდეოკადრებში ჩანს, პრეზიდენტი ბუდა-ბარში მარტო არ იყო. ბარიდან პრეზიდენტის შემდეგ რამდენიმე გოგონა გამოვიდა. ვინ იყვნენ ეს გოგონები?**

– ეს გოგონები იყვნენ სტრიპტიზ-კლუბ **"დივას"** მოცეკვავეები. იქ ცეკვავენ როგორც უკრაინელი, ასევე ქართველი გოგონები. როდესაც მიხეილ სააკაშვილმა დატოვა ბუდა-ბარი, ეს გოგონები **"ჰამერით", "ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200"**-ის ჯიპითა და კიდევ ერთი მანქანით უშუალოდ სააკაშვილის დაცვამ წაიყვანა და, ალბათ, დააბინავა. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა ეს გოგონები ახლა თავის დაცვას მიაბარა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, მისი პირადი მასაჟისტის, ამერიკელი დოქტორ დოტის გადაადგილებასაც ხომ პრეზიდენტის დაცვა უზრუნველყოფდა!

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" მწუხარებით იუწყებიან, რომ ჩვენს თანამებრძოლსა და მეგობარს ბატონ ზაურ გახარიას მოულოდნელად გარდაეცვალა სიძე**

# ანდრეი ტოლსტოი

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს**

# სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

## ბეთქილ შუკვანი – ლონდონიდან ნასვამ გია უდესიანს გამოვერიდე

ლონდონი ოლიმპიური თამაშების მონაწილე ქართველი ძიუდოისტის ბეთქილ შუკვანის განცხადებით, ოლიმპიური სოფლიდან საქართველოში დაბრუნება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ქართული დელეგაციის წევრმა გია უდესიანმა მასთან შეხვედრა გადაწყვიტა.

როგორც შუკვანმა ამ დღეებში **"ქართული ოცნების"** ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სპორტსმენს პრობლემები მხოლოდ მას შემდეგ შეექმნა, რაც ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა.

**"უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ოლიმპიადაზე მე მივდიოდი, არ შეეძლოთ რაიმე შეეცვალათ და სხვა წაეყვანათ. 22 ივლისს შევხვდი ბიძინა ივანიშვილს, გადავიღე მასთან სურათები და ვუთხარი, რომ ვდგავარ თქვენს გვერდით, დიდი სიმპათიები მაქვს თქვენს მიმართ და ვარ ქართველ ერთან ერთად-მეთქი",** – განაცხადა ძიუდოისტმა.

მისი თქმით, აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გახმაურდა. შუკვანის ცნობით, აეროპორტში, ოლიმპიადაზე გამგზავრებისას, ქართული დელეგაციის წევრებმა მას უცენზურო სიტყვებით მიმართეს.

**"ფსიქოლოგიურად ნერვებზე მომშალეს. ვეცადე, რომ ფსიქოლოგიურად მაგრად ვყოფილიყავი. გამომივიდა კიდეც და კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი",** – განაცხადა შუკვანმა.

ძიუდოისტმა ოლიმპიადაზე ასპარეზობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ 12 წელი სპორტშია და მსგავსი მიკერძოებულიმსაჯობა არ ახსოვს. შუკვანის თქმით, მან ღია და თავხედურ არაობიექტურ მსაჯობაზე რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს სპორტის მინისტრ ლადო ვარძელაშვილს, თუმცა მან პასუხი საერთოდ არ გასცა.

შუკვანის განცხადებით, ლონდონის ოლიმპიური სოფლის დატოვება და საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საფრთხე იგრძნო და ნასვამმა უდესიანმა მასთან შეხვედრა მოინდომა.

**"მირჩიეს, რომ უდესიანს არ შევხვედროდი და ამიტომ გამოვერიდე იქაურობას. ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ცხოვრობს ხორვატიაში და მას ვთხოვე დახმარება ბილეთის აღებაში. მან დამიჯავშნა ბილეთი, მითხრა მისამართი, სად უნდა მივსულიყავი და წამოვედი",** – განაცხადა შუკვანმა.

### სპორტის სამინისტრო – "ბეთქილ შუკვანის ბრალდებები უსაფუძვლოა"

საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ პოლიტიკური კოალიცია **"ქართული ოცნებისა"** და ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის ბრალდებები უსაფუძვლოა. ამის შესახებ სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

**"საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დელეგაციის წევრები ლონდონის ოლიმპიადაზე საპატიო სტუმრების სტატუსით იმყოფებიან და მსაჯების გადაწყვეტილების გაპროტესტების არანაირი უფლება არ აქვთ. სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო წუხს ლონდონის ოლიმპიადაზე ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის წარუმატებელი გამოსვლის გამო და აცხადებს, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად შეუწყო ხელი ოლიმპიადაში მონაწილე ყველა სპორტსმენს წარმატებული ასპარეზობისთვის",** – აღნიშნულია განცხადებაში.

რაც შეეხება პოლიტიკური კოალიცია **"ქართული ოცნებისა"** და ძიუდოისტ ბეთქილ შუკვანის განცხადებებს, საქართველკოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ მოუწოდებს სპორტსმენებს, რომ გამიჯნონ სპორტი და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა და საკუთარ სპორტულ წარმატებებს თუ წარუმატებლობას ნუ გამოიყენებენ იაფფასიანი პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად.

**"ქართული ოცნების"** ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ძიუდოისტმა ბეთქილ შუკვანმა განაცხადა, რომ ლონდონის ოლიმპიური სოფლიდან საქართველოში დაბრუნება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საფრთხე იგრძნო და ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ქართული დელეგაციის წევრმა გია უდესიანმა მასთან შეხვედრა გადაწყვიტა.

**"უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ოლიმპიადაზე მე მივდიოდი, არ შეეძლოთ რაიმე შეეცვალათ და სხვა წაეყვანათ. 22 ივლისს შევხვდი ბიძინა ივანიშვილს, გადავიღე მასთან სურათები და ვუთხარი, რომ ვდგავარ თქვენს გვერდით, დიდი სიმპათიები მაქვს თქვენს მიმართ და ვარ ქართველ ერთან ერთად-მეთქი",** – განაცხადა ძიუდოისტმა. მისი თქმით, აღნიშნული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გახმაურდა. შუკვანის ცნობით, აეროპორტში, ოლიმპიადაზე გამგზავრებისას, ქართული დელეგაციის წევრებმა მას უცენზურო სიტყვებით მიმართეს და დასძინა, რომ ლონდონიდან ხორვატი მეგობრის დამხარებით მოახერხა დაბრუნება. მოკლედ, ნაციონალებმა თავიანთი ბინძური პოლიტიკით უკვე სპორტიც საშინლად დააბინძურეს!



## ლევან ყენია: "ზენიტში" ჩემი ტრანსფერი ლუჩანო სპალეტის არ უნდოდა



სანკტ-პეტერბურგის **"ზენიტში"** ლევან ყენიას ტრანსფერი ჩაიშალა.

21 წლის ლევან ყენია რუსეთის ჩემპიონ გუნდს ჯერ პორტუგალიურ შეკრებაზე ახლდა, მერე პეტერბურგშიც გაჰყვა, წინასწარი კონტრაქტიც გააფორმა კლუბთან, მაგრამ...

ყენია ახლა თბილისშია და ჩაშლილ ტრანსფერთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა:

**"ველოდები შემოთავაზებებს. კონკრეტული ჯერ არაფერია, ჩემს ტრანსფერზე არაერთი მენეჯერი მუშაობს.**

**შეიძლება ისევ გერმანიაში წავიდე, ან რუსეთში... ვნახოთ, გარკვეული ჯერ არაფერია.**

**ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებას გამოვრიცხავ. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, თუმცა მსურს, რომ რომელიმე აქაურ გუნდში მივიდე სავარჯიშოდ.**

**რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოვიდა "ზენიტში" ჩემი ტრანსფერი, უეჭველია, რომ ეს გუნდის მთავარ მწვრთნელს არ უნდოდა".**

# იუმორი

– მივედი გუშინ სახლში და ვხედავ – ჩემი ცოლი ვიღაც მეგრელთან კოტრიალობს,– ამბობს კაცი.
– რა იცი, რომ მეგრელი იყო?
– რაღაც მითხრა მეგრულად.
– მერე, შენ რა უთხარი?
– რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვაც კი არ ვიცი მეგრული.

* * *

სვანს ქუჩაში ხვდება ნაცნობი, ცოლთან ერთად.
– გაიცანი, ეს ჩემი მეორე ნახევარია.
– პირველი ნახევარი რაღა უყავი? – გაუკვირდა სვანს.

* * *

გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:
– ჩემი ქალიშვილი რომ შენი ცოლი გახდება, შენ უნდა რეცხო სარეცხი, ხეხო იატაკი, ამზადო სადილი, რეცხო თეფშები...
– მერე, ერთადერთ ქალიშვილს ასეთ იდიოტს ატან?

* * *

– იქ იყავი, ის კაცი შენს სიდედრს რომ სცემდა? – ეკითხება მოსამართლე.
– კი, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.
– მერე, ვერ მიეხმარე?
– რავა, ორ კაცს გვეცემა ერთი ქალი?

* * *

ექიმმა გურული გასინჯა.
– შენ ისეთი ჯანმრთელი ხარ, რომ სიდედრის ქელეხსაც მოესწრები, სიმამრისაც, ცოლისაც...
– რას ამბობ,– შეწუხდა გურული,– მადგენი ფული სადა მაქვს?!

# მუდამ ესართიას გახსენება!



გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენს გვერდით აღარ იქნები, ძმაო მურად!

უამრავი რამ სასიკეთო გვაქვს შენზე სათქმელი, მაგრამ სიტყვებს ვერ ვუყრით თავს, იმდენად არ გვეგონა რომ, შენ ასე მოულოდნელად წახვიდოდი ამ ქვეყნიდან. თითქოს, ყველამ ვიცოდით შენი გულით ავადმყოფობის შესახებ, მაგრამ თავად არ გვაძლევდი მოწყენის და მოდუნების უფლებას – ავადმყოფობა რა სათქმელია, სამშობლოს ნახევარი წაგვართვეს, არავის რომ არ დამართნია ისეთი საქმე დაგვმართეს და მე ჩემს ავადმყოფობაზე ვინღა უნდა შევაწუხოო, ახლა საწუხარი ის დაავადებაა, რაც საქართველოს საავკაშვილმა და ნაციონალებმა დამართესო!

ასე რომ ამბობდი და ყველა გაჭირვებულის **„დამცველი"** შენ იყავი, ამიტომაც არ გვეგონა გული თუ გიღალატებდა, სხვათა გულისთვის მუდამ თავგადადებულს!..

თურმე როგორი სუსტები და სათუთები ვყოფილვართ ადამიანები!

თუმცა, არა ერთხელ გითქვამს – **„მომხვდური მტრისგან თავის დაცვა გაცილებით ადვილი ყოფილა, ვიდრე „სამშობლოგამეტებულ" თანამემამულეებთან!.. განახევრებულ ქვეყანას ისე ექცევიან, თითქოს ის ნახევარიც სხვისი იყოსო!**

**აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ არ მეგონა რამე თუ შემძრავდა, მაგრამ დღესაც რომ ქართველი ქართველს სასიკვდილოდ იმეტებს, ამას როგორ შევეგუო!"**-ო.

თქვი და – სრულიად უცნობს, წლების მანძილზე სამართალის მაძებარ შვილმოკლულ დედას, შენთვის ჩვეული შეუპოვრობით, სამართალი აპოვნინე (ვინ მოთვლის რამდენი ასეთი ადამიანისთვის დაგიბრუნებია სასოება და იმედი!) და პირველად გავიგეთ მაშინ შენგან – **„დავიღალეო"** და გამოეცალე კიდეც დედაქალაქს!

ასე დაუბრუნდი ანაკლიაში, ესართიების ტრაგიკულ ნაფუძვარს, რომელიც არც შენთვის გამოდგა ხანგრძლივი საცხოვრისი.

გვახსოვს, შარშან ანაკლიაში ჩამოგაკითხეთ. გაოცებული დავრჩით შენი ტიტანური შრომის შედეგით – მართლაც ედემურ წალკოტად გექცია წლების მანძილზე გავერანებული კარმიდამო. სახლში შეგვიპატიჟე. გაოცებულები გიყურებდით და გულალალად შეგიქეთ ნამუშევარი.

შენებურმა, დარდიანმა ღიმილმა დაგიფარა სახე, ყველას მოგვეფერე, თითო ჭიქაც დავცალეთ და დარდიანად წამოიწყე – **„რაც აქ გადმოვედი და მწვანეთი დაიფარა აქაურობა, თითქმის ყოველ ღამე ჩემი მშობლიური გაგრა მესიზმრება. გაგრელების სიხარულით გაბადრული სახეები მელანდება, თითქოს ვიცნობ და არც ვიცნობ ამ ხალხს, მაგრამ მაინც მიხარია მათი მხიარული სახეების დანახვა!.."**

ეს თქვი და კიდევ ერთი სასმისი გაგვივსე – **„ეს იმათ მოსაგონრად, ვინაც უდროოდ მიაბარა სული უფალს, აფხაზეთის თავს დატეხილი უბედურებისას და კიდევ – ვინაც ვეღარასოდეს ჩავა აფხაზეთშიო!"**

სამწუხაროდ, შენც იმათ რიგებში მიიჩინე ადგილი, დაუნანებლად!

ჩვენ კი, შენი წილი სადარდებელი და ტკივილი დაგვიტოვე, რომელსაც უცილოდ გადავინაწილებთ, და თუ გვეღირსა გაგრაში დაბრუნება, შენს სათქმელს სიხარულის ცრემლებად დავღვრით იმ მიწაზე, სადაც შენი ახლობლებიც განისვენებენ!

მშვიდად იძინე, ჩვენო ულალატო ძმაო და მეგობარო, მურად, უძველესი კოლხეთის მიწაზე, შენი დიდი წინაპრების სულიერ საუფლოში – ანაკლიაში.

გვჯერა, რომ შავი ზღვის ტალღების შხუილი ძილს არ გაგიკრთობს – აკი ბოლო დროს გაგრა გესიზმრებოდა, ისედაც, გამუდმებით!

**გაზეთ "ილორის" რედკოლეგია,**
**სახალხო მოძრაობა "სამეგრელო",**
**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ოფისი**

ISSN 1987-8966 "ილორი"
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ ქუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge